

აკაკი დაუშვილი

გულთან სატარებელი  
მინის ამბავი



საყმანვილო მოთხრობები

აკაკი დაუშვილი

**გულთან სატარებელი  
მინის ამბავი**

საყმაწვილო მოთხრობები

მერიდიანი 2022

**აკაკი დაუშვილი**  
**გულთან სატარებელი მინის ამბავი**

**რედაქტორი**  
**ზაალ ბოტკოველი**

**მხატვრები:**  
**სოფიო ქელიძე**  
**კარლო ფაჩულია**  
**უშანგი ხუმარაშვილი**  
**თამთა მამუკელაშვილი**  
**გიორგი ჩაჩანიძე**

**დამკაბადონებელი**  
**თამარ სტეფნაძე**

© ა. დაუშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022

ISBN 978-9941-34-180-9

## აუცილებლად ალაპარაკდება...

„ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ დედამიწის ზურგზე აღარავის ახსოვს. იკითხავთ, შენ როგორღა გაიგეო? ეს ყველაფერი ერთმა მუჭა მიწამ მიაშბო. მიწას თუ გულისყურით მოუსმენ, უამრავ რამეს შეიტყობ. მე კი, რაც ჩემმა მშობლიურმა მიწამ მიაშბო, იმას მოგიყვებით“.

და ყველა ამ სტრიქონების ავტორი ამ მთისა და ბარის ამბებს, ყველა სიყვარულითა და სასოებით სავსე, სევდითა და სინანულით სავსე და დაკვირვებული მკითხველი ზედმიწევნით ზუსტად ამჩნევს, რომ მთხრობელი მშობელ მიწას მართლაც რომ გულისყურით უსმენს და ცდილობს არ გამოორჩეს მისი თითოეული ამოსუნთქვა და ამონაკვნესი...

მთხრობელი კი აკაკი დაუშვილი გახლავთ, ჩინებული მწერალი და მესაიდუმლე დედაენისა, თქვენი და ჩემი საესავი დედაენისა, ლაზარედ ქცეული რომ ინახავს მირიად საიდუმლოს ქრისტესავით ჯვარცმული ქვეყნისა...

აკაკი დაუშვილი არაერთი პროზაული კრებულის ავტორია, რომლებშიც სრულად გაცხადდა მისი მწერლური ნიჭიერება, საგნებისა და მოვლენების აღქმის მისეული მანერა, მოყვასის თანადგომისა თუ თანალმობის ძალუმი მზაობა, დამოკიდებულება ქვეყნის დღევანდლობისადმი, იმ პრობლემებისადმი, დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია ჩვენი მამულის თავზე...

ამ წიგნის წაკითხვისას არაერთხელ მოგადგებათ თვალზე ცრემლი თუნდაც იმიტომ, რომ აკაკი დაუშვილი ამჩნევს და წერს იმაზე, რაც ჩვენს მეტისმეტად გაუხეშებულ და გათითოკაცებულ სამყაროში ლამის დაცინვის საგნად ქცეულა...

მწერალი წერს სიყვარულზე, სიკეთეზე, კეთილშობილებაზე, ვაჟკაცობასა და სათნოებაზე, წერს დედაშვილობის მაღლსა და ანდამატზე. ასე მაგალითად, მკითხველს თავდაპირველად ახირებადაც კი შეიძლება მოეჩვენოს მოთხრობა „ნიკას მზის“ მთავარი პერსონაჟის სურვილი, რომ არასოდეს ჩადიოდეს მზე და მუდმივად ანათებდეს და ათბობდეს დედამიწას, მაგრამ როცა ნიკა – ეს

ცეროდენა ბიჭი ამ სურვილის მიზეზს გაგვიმხელს (მამამ მითხრა, დედა მზესთან გაფრინდა და იმიტომ არის მზე ასე თბილიო. როცა მზე თვალეში გიჭყიტინებს დედა გიცინის, როცა დაგცხება, დედა გეფერება და გულში გიკრავსო...), არ შეიძლება ვეება გორგალი არ მოგანვეს ყელში და ცრემლი არ გაყლაპინოს.

აკაკი დაუშვილი გატაცებით წერს 70-იანი წლების თბილისზე, იმ საოცარ სითბოსა და თანადგომაზე, რომლითაც გამოირჩეოდა ჩვენი სათაყვანებელი დედაქალაქი. რა დამაჯერებლად მოგვითხრობს იმ სულიერ კათარზისზე, როდესაც დილემის წინაშე მდგარი ახალგაზრდა უარს ამბობს ემმასა და სატანის მსახურებაზე. რა საინტერესოდ ხატავს ავტორი გეგას, მოთხრობა „ტყავის ქურთუკის“ პერსონაჟს, რომელიც წამიერად გაიელვებს ჩვენს თვალწინ და განუკითხაობისა და გულცივობის მსხვერპლად იქცევა, მსხვერპლად და... ზნეობრივ ორიენტირად მათთვის, ვის სულშიც ჯერ კიდევ არ დამჭკნარა სიკეთისა და სათნოების უმშვენიერესი ყვავილი.

ამ კრებულის ერთ-ერთ მშვენიერ ნოველას წარმოადგენს „უცნაური ბიჭი“, რომლის მთავარ პერსონაჟს, მეექვსეკლასელ გელას სულ რაღაც ერთი წლის წინ უფროსი ძმა გარდაცვლია და ახლა დარდად და სევდად ქცეული იმასლა ცდილობს ძმის მსგავსება აღმოაჩინოს სხვებში. სხვათა შორის, ამ მოთხრობის მიხედვით, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

აკაკი დაუშვილის პიროვნებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმიან მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მას ხომ ნებისმიერი სახლის უფანჯრებო კედელი ზურგშექცეულ ადამიანს აგონებს, გულქვა და ბოროტი, ავისმზრახველ ადამიანს. ამიტომაცაა, რომ იგი ათწლეულების განმავლობაში გვაძლევს მშობელი ერის უებრო მსახურების ჩინებულ მაგალითს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება არ ვთქვათ იმაზე, რომ იგი სულისჩამდგმელია ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა „წმინდა ნინოს ჯვარი“ რომ ჰქვია სახელად. ლამის საყოველთაო უღმერთობის ჟამს ეს ფესტივალი ოაზისად მოჩანს დღევანდელ საქართველოში, როგორც ქართველთა რწმენის ურყევობისა და სიმტკიცის ბალავარი... ამავდროს, აკაკი დაუშვილის თავდადებას და ერთგულებას საერო საქ-

მეებისადმი საოცრად ესადაგება მისი თავმდაბლობა და მორიდებულობა, მწიფე თავთავის ალეგორიას რომ ახსენებს თანამოკალმეებს.

ისევ იმ სათქმელს მივუბრუნდეთ, რითაც დავინწყეთ ეს წერილი. „გულთან სატარებელი მიწის ამბავი“ ჰქვია იმ ზღაპარს, რომელიც მშობელი მიწის საგალობელს წააგავს და კიდევ კატეგორიულ გაფრთხილებას იმისა, თუ როგორ უნდა ვუვლიდეთ ჩვენს მთებსა და ველებს, ჩვენს წყალ-ჭალებს, თითოეულ გოჯს იმისა, სამშობლოდ რომ აღვიქვამთ ამქვეყნად მოვლინებისთანავე.

„თუ არ დაიზარებთ, მიწას ხელისგულში სიყვარულით მოიქცევთ, სათქმელს მშობლიურ ენაზე ეტყვიტ და გულისყურით მოუსმენთ, აუცილებლად აღაპარაკდება, ოდნავ გასაგონად, სევდიანად და იმედნიანად აღაპარაკდება“.

გვაიმედებს ავტორი და ჩვენც მტკიცედ გვინდა ვინამოთ, რომ დიახაც აღაპარაკდება მიწა, ოღონდ ამ ნალაპარაკებს მხოლოდ ისინი გაიგონებენ, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს მშობელი ქვეყანა, მშობელი ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მიწის თითოეული გოროხი, ვისაც გულწრფელად სწამს, რომ მიწას საკუთარი სული გააჩნია, სული, რომელსაც საგანგებო მოფრთხილება, საგანგებო მოვლა-პატრონობა სჭირდება, რათა არ მიილიოს და არ განქარდეს. მიწამ თავად უნდა იგრძნოს, რომ მისი უპირობო ჭირისუფალი და მეციხოვნე ხარ. და როცა ამას იგრძნობს, მაშინ შენც იგრძნობ მის თანადგომასა და გამხნევებას, მხოლოდ მაშინ დაგეხმარება, რომ ორივე ფეხით მყარად იდგე მის სისხლით გაპოხილ ბელტებზე და ნებისმიერი, თუნდაც უთვალავი მტრის შემხედვარემ არ დაჰკარგო მხნეობა და შემართება...

ყმანვილებო!

ეს წიგნი თქვენთვისაა განკუთვნილი და მისი გაცნობაც დაგარწმუნებთ, თუ რა დიდი ბედნიერებაა, დაიბადო ქართველად და თანაც საქართველოში, დაიბადო და მკერდით იცავდე, იმ სინმინდეებს, იმ სილამაზეებს, იმ ლაჟვარდებს, რითაც თითქმის უხილავი ძაფებით არსთაგამრიგესთან ვართ წილნაყარი.

**ზაალ ბოტკოველი**



## გულთან სატარეპელი მინის ამბავი

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ დედამინის ზურგზე აღარავის ახსოვს. იკითხავთ, შენ როგორღა გაიგეო? ეს ყველაფერი ერთმა მუჭა მინამ მიაგებო. მინას თუ გულისყურით მოუსმენ, უამრავ რამეს შეიტყობ.

მე კი, რაც ჩემმა მშობლიურმა მინამ მიაგებო, იმას მოგიყვებით.

ქალდელთა ქვეყანაში, რომელსაც მუდამ ჭკვიანი და ხალხზე მზრუნველი მეფეები განაგებდნენ, მოსახლეობა ბედნიერად ცხოვრობდა. ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე ნაყოფიერი მინა იყო. რა არ ხარობდა ამ მინაზე, შრომაც არავის ეზარებოდა. უცხოტომელები შურით შესცქეროდნენ, ბევრჯერ მინის მიტაცებაც განიზრახეს, მაგრამ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილები დიდი რუდუნებით მოტანილ-შენარჩუნებულ მინას არავის უთმობდნენ. ბევრმა ძვირფასეულობითაც მოიწადინა მინის ხელში ჩაგდება, მაგრამ მარჩენალი მინა

გასაყიდად არავის ემეტებოდა.

ბედის ჩარხი უკულმა მაშინ დატრიალდა, როდესაც მეფედ გაუმაძლარი და ხარბი მეფისნული აკურთხეს. ბაქბარ მეხუთეს ერთადერთი მიზანი ჰქონდა – სასახლის განძსაცავების სწრაფად შევსება. ქალდელთა ქვეყანაში ხომ ყველაზე ძვირფასი მინა იყო და ბაქბარ მეხუთემაც სწორედ მინის გაყიდვას მიჰყო ხელი. ეს ამბავი უცხო ქვეყნებში სწრაფად გავრცელდა და ქალდელთა სამეფოსაკენ ქარავანთა უწყვეტი ჯაჭვი გაიბა. ძვირფასეულობით დატვირთული ხარშებმული ურმები, აქლემები, ცხენები და სახედრები მეფის სასახლეში იცლებოდა და მერე დიდი ტომრები მინით იტვირთებოდა.

სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცები მექარავნეებს თავს ესხმოდნენ და მინას უკან იბრუნებდნენ. მაშინ ხელმწიფემ მექარავნეების დასაცავად უცხოტომელთა მრავალრიცხოვანი და საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი იქირავა. ბაქბარ მეხუთე სამშობლოს ერთგულ ვაჟკაცებს ატყვევებდა და ოჯახებთან ერთად ქვეყნიდან აძევებდა, მათ კი სახსოვრად ერთი მუჭა მინა მიჰქონდათ, რომელსაც ტყავის ქისებში ყრიდნენ და გულზე თასმით იკიდებდნენ.

გადიოდა წლები. ბაქბარ მეხუთემ მარნები და თავლებიც განძსაცავებად აქცია. მეფის სასახლე ძვირფასეულობით ივსებოდა, ქალდელთა ქვეყანა კი მინისგან იცლებოდა, ხრიოკდებოდა და უდაბურდებოდა. ბაქბარ მეხუთის მემკვიდრეც მეფესავით ხარბი გამოდგა, ისიც მშობლის დანყებულ საქმეს განაგრძობდა.

სხვადასხვა ქვეყანაში დასახლებული ქალდელები დაულავად შრომობდნენ და მშობლიური მინით სავსე ქისას არც დღე და არც ღამე გულიდან არ იშორებდნენ. მინა იმედსა და ძალას მატებდათ.

როდესაც მთელი სამეფო ქვიშით დაიფარა, ქარავნების ჯაჭვიც განყდა. ციხე-ქალაქის მიღმა არათუ ხეს, ბუჩქსაც კი ველარსად მოჰკრავდი თვალს. ციხე-ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა, მხოლოდ მეფის სასახლეში ღრეობდნენ და ხალისობდნენ.



გაძევებულებს სიბერემ უნიათ. მომაკვდავები მინას შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემდნენ. ისედაც ერთი ბენო მინას შუაზე ყოფდნენ და ბავშვებს დაბადებისთანავე აგრძნობინებდნენ მშობლიური მიწის სითბოს.

ბაქბარ მეექვსის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი ბაქბარ მეშვიდემ ჩაიბარა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ძვირფასეულობა საკმაოდ შემცირებულიყო, თუმცა მაინც დაუფიქრებლად ანიავებდა მიწის გაყიდვით დაგროვებულ ქონებას. ბოლოს უთვალავი ძვირფასეულობიდან აღარაფერი დარჩა. ბაქბარ მეშვიდემ გადანახული ოქროს სამკაულები ბოხჩაში გამოკრა და სასახლე მცირე ამალით დატოვა, ქვიშის უდაბნოში გემივით ამომართულ ციხე-ქალაქს კი ქვენარმავლები და მტაცებელი ფრინველები დაეპატრონენ.

მთელ მსოფლიოს მოედო ერთ დროს უმდიდრესი ქვეყნის იავარქმნის ამბავი. გაძევებულებმა და მათმა შთამომავლებმა უკან დაბრუნება და სამშობლოს აღორძინება გადაწყვიტეს.

მამულიშვილთა პირველი გემი მალევე მიადგა ქვიშიან სანაპიროს. „ესეც თქვენი სამშობლო!“ – მიმართა უცხოტომელმა კაპიტანმა და სანაპიროზე გადასულ, ქვიშის უდაბნოში ჩაკარგულ ხალხს აღტაცებული მზერა გააყოლა.

ასიოდე კაცი მზის გულზე მიაბიჯებდა. უცებ ქვეყნის უმთავრეს ციხე-ქალაქს მოჰკრეს თვალი. ახალგაზრდებმა ყიჟინა დასცეს. ციხე-ქალაქის ქონგურებიდან ფრინველები აიშალნენ. ვაჟკაცებმა ქისები ჩამოიხსნეს და უდაბნოს ნაღვლიანად გახედეს: რა უნდა დაეკლო ერთ პეშვ მინას ზღვასავით ქვიშისთვის? მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! – მინა ქვიშას შეეხო თუ არა, უზარმაზარი ფართობი ნაყოფიერი მიწით დაიფარა.

დაუჯერებელია, მაგრამ ასე იცის სიყვარულის და ერთგულების დაფასება მრავალი წლის მანძილზე გულთან ნატარებმა და გულით გამთბარმა მშობლიურმა მიწამ.

უსამართლოდ გაძევებული ადამიანები სამშობლოს ვეება ტალღებივით მოაწყდნენ – ყოველ მათგანს ტყავის ქისით ერთი სულის შებერვა მიწა მოჰქონდა.

თავს აღარ შეგანყენთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ქალდელთა ქვეყანა ისევ აყვავდა და ხალხმა კვლავ ბედნიერად იწყო ცხოვრება. ბაქბარ მეშვიდემ აღორძინებულ ქვეყანაში დაბრუნება მოინადინა, მაგრამ საზღვრამდეც კი არ მოუშვეს.

თუ არ დაიზარებთ, მინას ხელისგულში სიყვარულით მოიქცევთ, სათქმელს მშობლიურ ენაზე ეტყვით და გულისყურით მოუსმენთ, აუცილებლად ალაპარაკდება, ოდნავ გასაგონად, სევდიანად და იმედიანად ალაპარაკდება.



## უცნაური ბიჭი

პირველად რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე შემხვდა. თავქვე ვეშვებოდი. მას ხელში სასურსათე ბადე ეჭირა და შიგორი ცალი ფურნის პური ედო. შედგა და მოურიდებლად შემომხედა. მისი საქციელი არ მომეწონა, მაგრამ უსიამოვნება არ შევიმჩნიე და უხმოდ ჩავუარე. ვგრძნობ, ისევ მიყურებს. უკან მოვიხედე. გახევებული იდგა და დაჟინებით მომჩერებოდა, მაგრამ ჩემზე ბევრად დაბალი იყო და ხელის გასასვრელად არ ღირდა. გზა განვაგრძე. მისი მზერა შესახვევამდე მომაცილებდა.

მეორე დღეს, ისევ იმ ქუჩაზე შემეჩრება. ახლა ზევიდან მოდიოდა და ცარიელ ბადეს ხელში ათამაშებდა. დამინახა თუ არა, შეჩერდა და ყურება დამიწყო. ახლა კი ნამდვილად ვთეთქვავ. მივუახლოვდი, მაგრამ სუსტი აღნაგობის გამო, შემეცოდა და აღარაფერი ვუთხარი.

– ეი, ერთი წუთით! – მომესმა ზურგს უკან. შევბრუნდი

და ბიჭისკენ დაბლვერილი ნავედი. ის კი მილიმის და მშვიდად მეუბნება:

– არ გეწყინოს, შენი სახელი არ ვიცი და იმიტომ... მე გია მქვია. – ფეხი მოხარა და მუხლისთავზე ბადე წამოიცვა.

– მეორედ არ გაბედო, გაიგე? – რაც შეიძლება მკაცრად ვეუბნები.

– კარგი. რა გქვია? – გიამ ბადე დაგრიხა და მკლავზე გადაიხვია.

– მე?

– დიახ, შენ.

– დათო. რა გინდა? – ხმაში სიბრაზე გავურიე.

– არაფერი, – თითქოს შეეშინდაო, თავი ჩალუნა. შევბრუნდი და აღმართს ავუყევი.

– დათო!

შევჩერდი, უკან მოვიხედე. ბადე ახლა მხარზე გადაიკიდა. ცოტა არ იყოს გავბრაზდი.

– რომელ კლასში გადახვედი? – მკითხა მან.

– მერვეში.

ვატყობ, ფერი ეცვალა, თვალები დაუსევდიანდა. უცებ მეუბნება:

– მოდი, ვიჭიდაოთ. პატარა არ გეგონო, მეექვსე კლასში გადავედი.

სულ ადვილად მოვერევი, ცალი ხელით წავაქცევ. დამრიგებლური ტონით ვუთხარი:

– შენ ტოლებს ეჭიდავე.

– შეგეშინდა?!

– ვისი, შენი?!

– მაშ, ვიჭიდაოთ, – ბადეს პერანგში იტენის.

მისმა გამბედაობამ გამაღიზიანა. ჭკუა უნდა ვასწავლო. ახლოს მივედი, ცალი ხელი კისერზე მოვაველე, ფეხი დავუდე და ადვილად წავაქციე. უმალ წამოხტა, დაიკუზა და ფეხებში შემოძრომა დამიპირა, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცი და ძირს გამეტებით დავაგდე.

– რას შვრები, რამ გადაგრია ამხელა მუტრუკი! – ჩემი მისამართით თქვა მოხუცმა ქალმა.

გია წამოდგომას არ ჩქარობდა. ფეხები მოხერხებულად გამოტა, ბეჭები სახლის კედელს მიაბჯინა, პერანგიდან ბადე ამოიღო, გაოფლილი სახე შეიმშრალა და წყნარად მითხრა:

– ხვალაც ვიჭიდაოთ, კარგი?

მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. ასეც ვეუბნები:

– ნამდვილად აფრენ.

მან კი ჩემი ნათქვამი აინუნშიაც არ ჩააგდო, გამილიმა და თითები ბადეს ჯვარედინა ნაქსოვში გახლართა.

საზაფხულო არდადეგები იწურებოდა და მომდევნო დღეს უბნის ბიჭებმა სკოლის ეზოში ფეხბურთი გვიანობამდე ვითამაშეთ... გია არ გამოჩენილა. მეორე დღეს კი რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩის გადაკვეთაზე, სწორ, მოასფალტებულ ქუჩაზე შემხვდა. ახლაც მალაზიიდან მოდიოდა, ბადეში ქალაქში შეფუთული რაღაც პროდუქტი და კონსერვის ქილები ელაგა. ჩემს დანახვაზე შედგა და ბადე ხის ტოტზე დაკიდა, ფეხები განზე გადგა, დოინჯი შემოირტყა და ხმამაღლა მითხრა:

– დათო, მოდი ვიჭიდაოთ, დღეს ნაღდად წაგაქცევ.

გუშინწინდელი ბლლარძუნი აღარ მსურდა და მისი შეშინება გადავწყვიტე:

– იცოდე, გოგრასავით გაგორავენ.

– მაგასაც ვნახავ, ვინ ვის აგორავენს, – მოურიდებლად მიპასუხა და წელში მოიხარა.

მივხვდი, ასე ადვილად ვერ მოვიცილებდი და საქმის სწრაფად დამთავრება გადავწყვიტე. მეძგერა, წელზე მომეხვია და მუცელზე თავით მომანვა. არაფერი გამოუვიდა. ხელები ბეჭებზე დავანყვე და ღონივრად დავანექი. ასფალტზე მუხლებით დაეცა და სიმწრისაგან დაიგმინა. ხელს მაინც არ მიშვებდა და ხოხვით მომყვებოდა. თავი გავითავისუფლე და შორიანხლოს დავდექი. გაჭირვებით წამოდგა. მუხლისთავებთან შარვალის დახეოდა და გასისხლიანებული კანი მოუჩანდა. აღმართს ნაბიჯ-ნაბიჯ აუყვა.

– ტოტზე „სეტკა“ დაგრჩა, ნაილე! – დაფუყვირე და სანამ ხესთან მოვიდოდა, ტანსაცმელი საგულდაგულოდ გავისწორე. მან ბადე ჩამოხსნა, გამილიმა და კოჭლობით გამშორდა. დარწმუნებული ვიყავი, ჩემთან ჭიდაობას ველარ გაბედავდა. მწარედ მოვტყუვდი. ახლა შინაც აღარ მასვენებდა. ჩემი სახლი ისწავლა, ეზოდან ხმამაღლა მეძახდა და საჭიდაოდ მიწვევდა. გამარჯვებული მუდამ მე გამოვდიოდი. მიუხედავად იმისა, რომ გიას საქციელმა თავი მომაბეზრა, საცემრად ვერ ვიმეტებდი და ქუჩური ჩხუბის ილეთები არასოდეს გამომიყენებია. გიას ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება ვერაფრით ამეხსნა. რალა მე ამომირჩია? თანაც წლოვანებით მასზე უფროსი, ბევრად მაღალი და ღონიერი. გიას თითქოს თავად ჭიდაობის პროცესი ანიჭებდა სიამოვნებას. შორიდან, ასე ვთქვათ, პოზიციურად არასოდეს იბრძოდა, მუდამ ახლოს მოსვლას ცდილობდა და სხეულზე მეკვროდა. მეჩვენებოდა, გამარჯვება ნაკლებად აინტერესებდა.

იმ დღეს მეზობლის სადარბაზოსთან შემხვდა. მამიდასთან მივიჩქაროდი და მასთან ღლაბუცის დრო არ მქონდა. წინ გადამიდგა და მითხრა:

– ვიჭიდაოთ. გული მიგრძნობს, დღეს აუცილებლად წაგაქცევ.

– თავი დამანებე. იცოდე, აღარასოდეს დაგეჭიდები. შენი ტოლი ნახე!

– დამეჭიდე. იცოდე, ქუჩის მტვერი უნდა გაყლაპო!

გამეცინა. ხელით ჩამოვიცილე და აჩქარებით წავედი.

– რას იღრიჭები! – მისმა ნათქვამმა შემაჩერა. ასე უხეშად არასოდეს მოუმართავს. გაცელებულმა შევხედე.

– შენ გეუბნები. დაგიღია პირი და სულელივით იღრიჭები.

გავბრაზდი. სწრაფად მივუახლოვდი, მხრებში ხელები ღონივრად ჩავავლე, ძირს მოწყვეტით დავაგდე, გულაღმა ამოვაბრუნე და მკერდზე დავაჯექი. მერე მკლავები განზე გავანევირე და მუხლებით გავუკავე. დასარტყმელად მაინც ვერ ვიმეტებდი. უეცრად, ცალ ყურში მწვავე ტკივილი ვიგრძენი და ამ ტკივილმა სასწრაფოდ ფეხზე წამომამგდო. ვილაც კაცი აღშ-

ფოთებით მიყვიროდა და თან ჩემს ყურს აქეთ-იქით გამეტებით ქაჩავდა. ძლიერ გავმწარდი, მოძალადეს ხელი მოვუქნიე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მან მეორე ყურიც გულდაგულ დამიზილა და მხოლოდ ამის შემდეგ გამიშვა. შეურაცხყოფილი მოშორებით დავდექი. მოძალადე დაიხარა, გია წამოაყენა და თავზე მიუალერსა. მან კაცს ხელი აუკრა და ქუჩას სირბილით აუყვა. გაქცეულს გამოვედევნე, მაგრამ რომელიღაც შესახვევში გაუჩინარდა და თვალი ველარ მივადევნე.

ახელი ყურები საშინლად მტკიოდა და გიას მიმართ შურისძიების გრძნობა გამიჩნდა. ჩემს დამცირებაში ბრალი მასაც მიუძღოდა. მონდომებით დავეძებდი. ვხვდებოდი, ჩვენი შეხვედრა უწყინარი ჭიდაობით აღარ დამთავრდებოდა.

ეზოდან ვილაცამ დამიძახა. შუშაბანდის ფანჯარას დაფეთებული ვეცი და ეზოში მდგარ გიას გაკვირვებით დავაცქერდი. არ მეგონა, ამ ამბის შემდეგ თავისი ფეხით თუ მოვიდოდა. ახლა მთავარი იყო, არ დამეფრთხო და მისი ნდობა დამემსახურებინა.

– ვიჭიდაოთ? – ვუთხარი ღიმილით.

– ვიჭიდაოთ, – ხმამაღლა მიპასუხა და თვალი მომარიდა.

რალაც მონყენილი მეჩვენა.

– ახლავე ჩამოვალ, არსად წახვიდე, – შიშველ ფეხებზე სპორტული ფეხსაცმელი ამოვიცვი, შეუკრავი თასმები შიგ ჩავიტანე, საერთო აივანი სწრაფად გავიარე და საფეხურებზე სირბილით დავეშვი.

– სად ვიჭიდაოთ? – რაც შეიძლება, მოხერხებულ ადგილას მინდა მივიტყუო და ვცდილობ, სიბრაზე არ შემატყოს.

– ჩემთვის სულ ერთია, სადაც შენ იტყვი.

– სკოლის ეზოში ავიდეთ, – შუადღეა, მზე აცხუნებს და ახლა იქ არავინ იქნება.

– კარგი, ავიდეთ.

ეზოს ალაცაფის კარიდან გავედით თუ არა, დედის ხმა წამომენია:

– ამ სიცხეში სად მიდიხარ, ახლავე დაბრუნდი!

დედის ძახილისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და აღმართს ჩქარი ნაბიჯით ავუყევი. უკან მოვიხედე, გიაც შორი-ახლოს მომყვებოდა. მივხვდი, ჩემი არ ეშინოდა. ერთი მაგრად მივბეგვავ და ჭიდაობის სურვილს სამუდამოდ დაუწყარგავ.

სკოლა ძველ შენობაში იყო მოთავსებული და ებოს მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გია ჩემს პირდაპირ დადგა, გამიღიმა, წელში მოიხარა და თავდაღუნული მომვარდა. როგორღაც მოახერხა და ცალი ფეხი გამიკავა. ხტუნვა-ხტუნვით კედლამდე დავიხიე. მერე კედელს ხელები მივაბჯინე, გაკავებული ფეხი ღონივრად ავიქნიე და მუხლისთავი მუცელში ამოვარტყი. მოიკუნტა და ასფალტზე ჩაიკეცა. სიმწრისაგან სახე დაემანჭა. ღრმად სუნთქავდა და გაოცებული მიყურებდა. ეტყობა, ჩემგან ასეთ მოქმედებას არ ელოდა. ცოტა ხნის შემდეგ ფეხზე წამოდგა, გამიღიმა და წელში მოხრილი წამოვიდა. მოახლოება ვაცალე და მუშტი ყბაში გავარტყი. შექანდა და ხელები სახეზე აიფარა, მაგრამ ამან ვერ შემაჩერა და რამდენიმე მუშტი კიდევ ვუთავაზე. მერე ხის დაბალ, გრძელ სკამზე ჩამოვჯექი, მკლავები მუხლებზე დავაბჯინე და ოფლიანი შუბლი ხელებზე ჩამოვდე, აჩქარებით ვსუნთქავდი და გიასკენ არ ვიხედებოდი. წინ დამიდგა.

– უნდა დაგემშვიდობო. აქ ნათესავთან ვიყავი, დღეს მივიღივარ, – ლაპარაკი უჭირდა, სიტყვებს ანანევრებდა, – ვიცოდი, ჩემთან არ იჭიდავებდი და ამიტომ გაბრაზებდი. იმ კაცმა რომ ჩემ გამო ყური აგინია, ძალიან მეწყინა.

ავხედე, ცხვირიდან სისხლი სდიოდა, თვალებში ცრემლი ჩადგომოდა. შემეცოდა. სევდიანი ხმით განაგრძო:

– ძალიან ჰგავხარ ჩემს ძმას. ისიც შენსავით მაღალი და ლამაზი იყო. ერთი წლის წინ დაიღუპა. ახლა მერვე კლასში გადავიდოდა. ჩემს ძმას ლაშა ერქვა. ჩვენ ხშირად ვჭიდაობდით ხოლმე. ძალიან მომენატრა, – მეტი აღარაფერი უთქვამს, შეტრიალდა და წავიდა.





## შარი

ბიჭი სააბაზანოს კართან დგას, საძინებელი ოთახისკენ აფორიაქებული სახით იყურება და თითებს ერთმანეთში ხლართავს.

საძინებელი ოთახიდან ბიჭის დედა გამოდის, მას მკლავზე პირსახოცი და ახალი საცვლები აქვს გადაკიდებული. დედა ბიჭს ღიმილით უახლოვდება და სააბაზანოს კარს აღებს.

– შემოდი! – ამბობს ქალი.

ბიჭი ადგილიდან არ იძვრის.

– აბა ცოცხლად!

– არა დედა, – მორიდებით უარობს ბიჭი.

– რა არის?

– დედა, მე მარტო ვიბანავებ.

ქალს სახედან ღიმილი უქრება, სათქმელ სიტყვებს ვერ პოულობს და მკლავზე გადაკიდებულ პირსახოცს ანგარიშმიუცემლად უსვამს ხელს. ბიჭი დაბნეულ დედას პირსახოცსა და

საცვლებს ართმევს, ლოყაზე კოცნის და სააბაზანოში შედის.

– ზურგზე როგორ წაისვამ საპონს? – კითხულობს გონს მოსული ქალი.

– ნუ გეშინია, – მამაკაცური სიამაყით პასუხობს ბიჭი.

კარი იხურება. დედას ესმის საკეტის ხმა, შემდეგ წყლის ჩხრიალი.

„დაკაცდა“, – სევდანარევი სიხარულით ფიქრობს დედა და სამზარეულოსკენ მიემართება.



## სულის შარავანი

უბანში ბესოს ყველა გიჟს ეძახდა და მისი გამოჩენა ოხუნჯობის ხასიათზე გვაყენებდა. ორმოცდაათი წლის ბესო, თითქოს სულელებს წლები არ ემატებათო, ისევ ბიჭად მიგვაჩნდა. ჩვენი ლაზღანდარობით შეწუხებული, მაჯაზე გაკეთებულ ძველ, მექანიკურ საათს დახედავდა, თავს უკმაყოფილოდ გაიქნევდა, სქელ, სველ ტუჩებს გამოიშვერდა, მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ხელს გადაისვამდა და აჩქარებული ნაბიჯით გვმორდებოდა.

მზე აცხუნებდა და ასფალტზე ჩამოყრილი, გამვლელთა ფეხებითა და ავტომანქანების საბურავებით გასრესილი თუთის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. გზაჯვარედინის ერთ კუთხეში შენობის ჩრდილს ვეფარებოდით და ლუდს ბოთლიდან ვსვამდით. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ბესო გამოჩნდა, რომელსაც უზარმაზარი სარკე ამოეიღლიაგებინა და სწრაფი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა. მის დანახვაზე გავხალისდით. ბესომ ქუჩა გადმოჭრა. ზედაპირდალაქავებულ სარკეს, სიძველის-

აგან დაზიანებული, ხის მოჩუქურთმებული ჩარჩო ამშვენებდა. დავუძახეთ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია და სწრაფად გაგვშორდა. სახტად დავრჩით, ასე არასოდეს მოქცეულა. ერთი ფიქრი მოსვენებას არ გვაძლევდა, რაში სჭირდებოდა ვეება სარკე? ისევ ლუდის სმა განვაგრძეთ. გასრესილ თუთაზე პატარა გოგონას ფეხი დაუცდა და საჯდომით დავარდა. გულგახეთქილმა დედამ გოგონა წამოაყენა და დასვრილი ქვედაკაბა გაუნმინდა. ვილაცამ ჩუმად ჩაიცინა. ერთ-ერთი სახლის აივანზე ბესო დავინახეთ, მას სარკე გამოეტანა და აივნის ბოძსა და მოაჯირზე ჩარჩოთი ამაგრებდა. ამან მთლად დაგვაბნია. მისი ქცევა ვერაფრით აგვეხსნა. მან სარკე გაამაგრა და მზერა სივრცეს გაუსწორა.

მომდევნო დღე ასევე მზიანი გათენდა. მონმენდილი ცა მერცხლებს გაევსოთ. ამოჩემებულ სახლთან ვიდექით, ლუდს ვსვამდით და ფეხბურთსა და პოლიტიკაზე ვსაუბრობდით. უეცრად, სახურავებს შორის ამოჩრილი ეკლესიის გუმბათი სინათლის სხივმა გაანათა. ვერაფრით მივმხვდარიყავით რა ხდებოდა. მერე ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავედით და აივანს შევხედეთ. ბესოს მოაჯირზე ხელის გულები დაეყრდნო და სარკიდან არეკლილი მზის სხივით განათებულ ეკლესიის გუმბათს მონუსხული უყურებდა. მზის ნათელი გუმბათს ბესოს სულიდან ასხლექტილი შარავანდივით ედგა. თავი არარაობად ვიგრძენით, ლუდის ბოთლები თუთის ხესთან მივანყვეთ და გუმბათს მიჩერებულებმა პირფვარი გადავინწერეთ.



## ტყავის ქურთუკი

ბიჭს ტყავის მოდური ქურთუკი ეცვა. ო, როგორ მინდოდა, ქუჩიდან გადაეხვია, მაგრამ ის ჯიქურ ჩვენკენ წამოვიდა და კვლავ დაინყო მრავალჯერ გათამაშებული სცენა, რომელიც ზიზღს მგვრიდა, მაგრამ იძულებული ვხდებოდი, ამგვარი სცენების მონაწილე გავმხდარიყავი.

– ძმაკაც, ერთი აქ მოდი! – თქვა სკოლის რკინის ქიშკარზე ცალი ხელით მიყრდნობილმა დიტომ.

ქურთუკიანი შედგა და მშვიდად შეგვათვალიერა. გამიკვირდა, ასეთ დროს შიშისგან სუნთქვა ეკვრით, რადგან ხვდებიან, ყველაფერი ცუდად დამთავრდება, ის კი თამამად გვიყურებდა.

– რა გქვია? – აგდებულად ჰკითხა დათომ.

– გეგა.

– რომელი უბნელი ხარ? – თემომ სიგარეტს მოუკიდა.

– მთაწმინდელი.

– რომელ ქუჩაზე ცხოვრობ? – ჩაეკითხა ზურა.

- არსენაზე.
- კახას იცნობ? ლანცეტას? – დაკითხვა დიტომ განაგრძო.
- არა, არ ვიცნობ.
- კურტკა გაიხადე და აქედან აითესე! – დაემუქრა თემო. გეგამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით, რომლის გახსენებაც მუდამ სულს მიშფოთებს.

ჩვენ ხუთნი ვიყავით: დიტო, ზურა, დათო, თემო და მე. ერთ ქუჩაზე გაზრდილი ბიჭები, იმ ასაკისანი, ცხოვრებაში თავის დასამკვიდრებლად ზოგჯერ მიუღებელ ხერხებსაც რომ არ თაკილობ. იმხანად თანატოლებისგან გამორჩევის საუკეთესო საშუალება უცხოური „შმოტკებით“ სიარული იყო. ბევრად უფრო მაგარი ბიჭი იყავი, ჩასაცმელს თუ ვინმეს გახდიდი. ჩვენ საამისოდ კარგი ადგილი გვქონდა შერჩეული. საღამოობით სკოლაში აღარავინ იყო და, თუ მსხვერპლს ქუჩიდან ეზოში შეიყვანდი, არათუ საჭირო ნივთს გააძრობდი, დამატებითი სიამოვნებისთვის ლაზათიანადაც შემოულანუნებდი.

შმოტკებზე არ ვგიჟდებოდი, არიფების დაჩაგვრა კი არაკაცურ საქციელად მიმაჩნდა. სამწუხაროდ, ბიჭები ბურთს ძველებური ხალისით აღარ დასდევდნენ, სასმელსაც სვამდნენ, თამბაქოში „ბალახს“ ოსტატურად უკეთებდნენ და გოგონებზე უხამსად ლაპარაკობდნენ, მოკლედ, ქუჩურ ცხოვრებას აწვებოდნენ და ჩემდაუნებურად სისასტიკესა და ძალადობაში ვმონაწილეობდი.

ჩვენს შორის მხოლოდ თემო იყო ბუნებით დაუნდობელი – ბადალი არ ჰყავდა კატებისა და ძაღლების წამებაში. ვერაფრით ამეხსნა, რატომ სიამოვნებდათ ჩემს მეგობრებს თანატოლების ცემა, აბუჩად აგდება. ნუთუ მაგარი ბიჭობის სურვილია გახადათ ასეთი აგრესიულები? ბევრჯერ უსამართლოდ მოვქცეულვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ძმაკაცს არ ეღალატება. მინდოდა, ჩემი განცდები მეგობრებისთვის გამენდო, ისინი კი გატაცებით არჩევდნენ შავი სამყაროს ჩახლართულ საქმეებს. ეს მოსაწყენი ლაპარაკი ჩემთვის აუტანელი ხდებოდა, არადა,

სხვა გზა არ იყო, უნდა მესმინა, რადგან მეგობრებს ზურგს ვერ ვაქცევდი.

იმ დღეს აკაციის ხესთან ვიდექით. ლაყობით დაღლილი თემო და დათო სახლის კედელთან ჩაცუცქულიყვნენ. დიტო შარვლის ჯიბეში ნაპოვნ მზესუმზირის მარცვლებს გულმოდგინედ არჩევდა. ზურას შეყვითლებული ფოთლის ყუნწი გაეჩარა პირში. ოქტომბერი იდგა. საკმაოდ ციოდა. წინა დღით სათავგადასავლო წიგნის კითხვა დავინწყე და ერთი სული მქონდა, როდის გავაგრძელებდი. ბიჭებთან კი წიგნს ვერ ვახსენებ, დამცინებენ.

თემო ზღაზვნით წამოდგა, ჯინსის შარვალის მუხლთან ჩაიბერტყა და თქვა:

– წავიდეთ, ვინმე შევაყენოთ!

– წავიდეთ! – ზურამ პირიდან ფოთოლი გადმოაგდო და გაანიტა.

– ფეხბურთი ვითამაშოთ, სანაძლეოზე, – ვცდილობ, მეგობრებს განზრახვა შევაცვლევი.

– მოიცა, რა!.. – თქვა დიტომ. მისგან მიკვირს. ერთხანს ფეხბურთზე დადიოდა, კარგადაც თამაშობდა.

სკოლისკენ მიმავალ აღმართს ავუყევით. ნანვიმარი ქვაფენილი ფოთლებითაა სავსე და ფეხი ცურავს. დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია. სკოლის ამოსახვევში საშუალო სიმაღლის ბიჭი გამოჩნდა, ტყავის ქურთუკი ეცვა.

– შენი სიმაღლისაა. მაგარ კურტკას დაირტყამ! – ღიმილით მითხრა დიტომ.

– დათოსაც კარგად ექნება, – ვიუარე მე.

– კარგი რა, სულ ეგრე იცი, – დამანამუსა დათომ.

გეგა სკოლის ეზოში უშიშრად შემოვიდა.

– ვა, რა მაგარი ბიჭია, ტო! – დამცინავად თქვა ზურამ.

ზურა ჩვენს შორის ყველაზე მაღალი და ჯანიანი იყო, მსხვერპლს პირველად ყოველთვის ის უტევდა. ეს მისთვის არავის დაუვალებია, უბრალოდ, სიმაღლის გამო თავს ვალდებულად თვლიდა, ასე მოქცეულიყო.

– ბიჭო, გინდა, ვაფშე შიშველი გაგიშვა? – დაემუქრა თემო. მინდოდა, გეგა ცემას მაინც გადამერჩინა და საკმაოდ უხემად ვუთხარი:

– კურტკა გაიხადე!

გეგამ ისე უშიშრად შემომხედა, მივხვდი, ის მეტად ამაყი და გულადი იყო საიმისოდ, რომ ქურთუკი ნებით გაეხადა.

– მამაჩემის სახსოვარია! – მკაცრად თქვა გეგამ.

– სახსოვარი? – დათო გაოცდა.

– ჰო.

– მამაშენი ვინ არის? – ეს ზურაა.

– აღარა მყავს, – გეგამ თავი დახარა.

– რო დაგვინახე, რატომ არ გაიქეცი? – დაინტერესდა დიტო.

– არც მამაჩემი გაიქცეოდა, – ამაყად თქვა გეგამ.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– შევეშვათ, – ვთქვი მე.

– შევეშვათ, – დამეთანხმა დიტო.

ყველაფერი თემომ გააფუჭა.

– სიაფანდობს! – გამომწვევად ჩაისისინა, ბიჭთან მივიდა, ხელი ქურთუკში ჩაავლო და გახდა დაუპირა.

გეგამ მკერდზე ძლიერად უბიძგა, თემო უკან-უკან წაბარბაცდა და შეურაცხყოფილმა იყვირა:

– დავეკოთოთ ეს ახვარი!

ზურამ კვლავ ყველას დაასწრო და გეგას ხელი მოუქნია. ბიჭი დაიხარა, დარტყმა აიცდინა, მერე ზამბარასავით გასწორდა და ზურას ყბაში კაი მაგარი აჭამა. წამიერად გაჩენილი ლმობიერება სისასტიკემ შეცვალა და დიტო, დათო, თემო და მე ბიჭს ერთდროულად მივესიეთ. ძალები სამარცხვინოდ არათანაბარი იყო და ხელებს ყასიდად, უფრო მეგობრების დასანახავად ვიქნევდი. გეგამ დათოს აქნეულ ფეხში სტაცა ხელი, ზევით აუკრა და ცალ ფეხზე დარჩენილი მინაზე დაანარცხა. დიტოს წიხლს ვერაფერი მოუხერხა, ფერდში მოხვდა და ტკივილისგან ნელში მოიკუნტა. ახლა კი თემომ კისერში ხელი გამეტებით დაჰკრა, ძირს დავარდნილს მკერდზე მუხლებით დაანვა, სახეში



მუშტი ჩასცხო, ქურთუკი გახადა და გადმომიგდო.

– შენია!

ქურთუკი დავიჭირე და გეგას გავხედე. მინაზე წამომჯდარი დამცინავი თვალებით მიყურებდა. უცებ გვერდზე შებრუნდა და მთელი ძალით მოქნეული ფეხი თემოს წვივის ძვალში აჯახა. თემოს საყრდენი გამოეცალა, ფეხები ჰაერში აიშვირა, მინაზე გაიშლართა და თავი ქვას დაჰკრა.

– ვაიმე! – იღრიალა თემომ.

გეგამ დაბნეულობით ისარგებლა, ქურთუკი ხელიდან გამომგლიჯა და ნიკაპში მუშტი მატაკა. აზრზე რომ მოვედი, გამმაგებული მეგობრები ძირს დავარდნილ გეგას ნიხლებს დაუზოგავად ურტყამდნენ. დათომ ქურთუკი ისევ შემომამჩეჩა. პირქვე დავარდნილმა გეგამ ხელისგულები მინას დააბჯინა, თავი წამოსწია, ზიზლით შემოგვხედა და ქვედა ტუჩი სიმწრით ჩაიკვნითა.

შინ მისული სხვენში ავიპარე და ქურთუკი ძველი გაზეთებით სავსე ხის ყუთში დავმალე, მეგობრები კი მოვატყუე, ბიძაშვილი მესტუმრა, ქურთუკი ძალიან მოენონა და უარი ველარ ვუთხარი-მეთქი.

მალე ჩამოთოვა და რამდენიმე დღით ცხოვრება გახალისდა. ისე კი ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. დათოს ძალიან უნდოდა ზამთრის მოდური ქურქი და ვიღაც ბიჭს ადვილად გავხადეთ, სანყალს წინააღმდეგობის განწევის სურვილიც კი არ გასჩენია.

გაზაფხულდა. გეგა არ ჩანდა, რაც ძალიან მიკვირდა. ასეთი გულადი ბიჭი მამის სახსოვრის დაბრუნებას აუცილებლად შეეცდებოდა. სასკოლო არდადეგებიც დაიწყო. ერთი წელიც და სკოლას დავამთავრებ, ცხოვრებაც, ალბათ, სხვანაირად გაგრძელდება. მაგრამ როგორ? უბნის განაბებს დავუახლოვდით და აწი მათი სურვილებიც უნდა გაგვეთვალისწინებინა. მარიონეტად ყოფნა აუტანელი გახდა და გადავწყვიტე, მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით მეცხოვრა. ამ ნაბიჯის გადასადგმელად საჭირო იყო რაღაც საყრდენი და ეს საყრდენი

გეგა და სხვენში გადამალული ქურთუკი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ შევხვედროდი და ყველაფერი ამეხსნა, აუცილებლად გამიგებდა და ის ზიზლიანი მზერა თანაგრძნობითა და პატივებით შეიცვლებოდა.

ქუჩა, სადაც გეგა ცხოვრობდა, ადვილად გავიხსენე. სხვენიდან ჩამოტანილი ქურთუკი სპორტულ ჩანთაში ჩავდე და არსენას ქუჩაზე ავედი. ქუჩა რიყის ქვითაა მოკირწყლული. რკინის ალაცაფის წინ ქვიშა ეყარა და ბიჭები თამაშობდნენ. მათკენ წავედი:

- ბიჭებო, გეგას იცნობთ?
- აგერ, იმ სახლში ცხოვრობდა.
- ცხოვრობდა?
- გეგა შარშან მოკლეს.
- მოკლეს?!
- ჰო, იჩხუბა და მუცელში რაღაც გაუსკდა.

ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი ნამდვილი გაოგნება. ბავშვების სიტყვებიდან ისლა გავიგე, რომ გეგა მაგარი ბიჭი იყო, არც დედას და არც მილიციას არ უთხრა, სად იჩხუბა და ვისთან იჩხუბა.

სულამორთმეულივით მივდიოდი და ვგრძნობდი, ზურგს უკან როგორ იმსხვრეოდა ქვეყნიერება. მეგობრებს პირში მივახლი, რომ მკვლევლები და ნაძირალები ვართ. გზაჯვარედინთან გავჩერდი. შუქნიშანზე ფერები მხიარულად მონაცვლეობენ. უსულო საგანიც კი ჩემს დამორჩილებას ცდილობს. სპორტული ჩანთიდან ტყავის ქურთუკი ამოვიღე, აკაცის ტოტზე დავკიდე და გზაჯვარედინი წითელ შუქნიშანზე გადავკვეთე.



## სახალწლო ფოიერვერკი

მთაწმინდაზე დავიბადე და გავიზარდე, სადაც თითქმის ყველა სახლის სარდაფში ქურთები ცხოვრობდნენ. არსენას ქუჩის აყოლებაზეც ბევრნი სახლობდნენ, გრიბოედოვის ქუჩაზეც, ჭავჭავაძის ქუჩის სარდაფებშიც ბინადრობდნენ, სადაც 90-იან წლებში მოხერხებულმა თბილისელებმა პირველი მარკეტები გახსნეს.

ჩვენს ქუჩაზეც უამრავი ქურთი ცხოვრობდა. ერთად ვიზრდებოდით და ვამხანაგობდით. ხანდახან ვჩხუბობდით კიდეც. თუმცა, ერთმანეთს გამეტებით არ ვურტყამდით და მალევე ვრიგდებოდით.

ქურთის ქალებს ჭრელი (ფერებში მწვანე სჭარბობდა), გრძელი დაგოფრილი კაბები ეცვათ, თავზე თავისებური თავსაბურავი ეხურათ და დილაადრიანად ეზოებსა და ქუჩებს გვიდნენ. სქელულვაშა ქურთის კაცებს ღია ფერის პერანგები და განიერი შარვლები ეცვათ. ფიზიკური შრომის გარდა ისინი სამ-

ბორბლიან სატვირთო მოტოციკლებს მართავდნენ. ასეთ მოტოციკლებს, ყურისწამლებ ტრახტრახა ხმებს რომ გამოსცემდნენ, „დრანგულეტებს“ ვეძახდით.

იმხანად სახლს ქვანახშირის ლუმელით ვათბობდით. ქვანახშირის გასაღვივებლად კი ფიცრები იყო საჭირო. მაღაზიებში „ბორჯომი“, ლუდი და ლიმონათი ხის თხელი, ვინრო ფიცრებისაგან შეკრული ყუთებით მიჰქონდათ. „ბორჯომის“ ყუთებს თივაც ჰქონდა ჩაფენილი. ხანგამოშვებით მე და მამა უბნის მაღაზიებს მოვივლიდით, ყუთებს ვყიდულობდით და ერთ ადგილას ვაგროვებდით. თუკი ჩვენი უბნელი „დრანგულეტიანი“ ქურთები ჩამოვივლიდნენ აუცილებლად გაგვიჩერებდნენ, ყუთებს პატარა ძარაზე შეყრიდნენ და უსასყიდლოდ მიჰქონდათ. ჩვენ გზას ფეხით მივუყვებოდით, ყუთები კი ეზოში კოხტად დალაგებული გვხვდებოდა.

ქურთი მამაკაცები დანებს, მაკრატლებს, ცულებსა და ხორცსაკეპი მანქანის დანებსაც ლესავდნენ. კაცები მხარზე აკიდებული უზარმაზარი დაზგით ქურჩებში „ტოჩიტ ნოჟი ნოჟნიცის“ ყვირილით დადიოდნენ. ჩვენს ეზოშიც ხშირად შემოსულან. მხარზე მოკიდებულ დაზგას შედარებით მოსწორებულ ადგილას დგამდნენ, პედალზე ფეხის დაჭერით სალეს ქვას ატრიალებდნენ და მაკრატლებსა და დანებს ნაპერწკლებს აყრევიანებდნენ. ბავშვებს ეს ძალიან მოგვწონდა.

ასევე დადიოდნენ მხარზე მინებაკიდებული კაცები და გაჰყვიროდნენ: „სტიოკლა სტავლიატ“. მინების ზომაზე დაჭრის ყურებაც გვიყვარდა.

ასეთ შეძახილსაც გაიგონებდით: „სტარაია ოდეჟდა“. ეს იყო მაშინდელი ერთგვარი მოძრავი „სეკენჰენდი“. ისინი ძველ ტანსაცმელს კაპიკებად ყიდულობდნენ და სოფლებში ყიდდნენ.

ქუჩიდან ხშირად ქართველი კაცის შეძახილიც ისმოდა: „ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!“. კაცი ოჯახებში დაგროვებულ ბოთლებს ხუთ კაპიკად ყიდულობდა და მაღაზიებში ათ კაპიკად აბარებდა. მას მხარზე ორი ტომარა ეკიდა. ერთში ბოთლებს ალაგებდა, მეორეში – მომცროში კი მოხალული მზესუმზირა

და ფიჭვის კევეები ენყო. თუ ისურვებდი ბოთლს მზესუმზირასა და კევეში გაგიცვლიდა.

ქურთებს განსხვავებული ქორწილი ჰქონდათ და ორ ღამეს მთელს უბანში თითქმის გაუჩერებლად ისმოდა დოლისა და ზურნის ხმა. საქორწილო ცეკვები მცირე ხნით წყდებოდა და მაშინ თუ მოახერხებდი ჩაძინებას. ამის გაკეთება ძნელი იყო და დილით ყველა გამოუძინებელი და გაღიზიანებული დგებოდა. თუმცა, არ მახსოვს შენუხებულ მეზობლებს მილიციისთვის გამოეძახათ ან მექორწილებსთვის ესაყვედურათ.

ერთხელ, სკოლის ეზოში, ფეხბურთის თამაშამდე ვთქვი:

– ქართველები და ქურთები შევეჯიბროთ.

– ჩვენ იეზიდები ვართ! – თქვა თენგომ, ჩემმა თანატოლმა ბიჭმა.

– იეზიდები? – გავიკვირვეთ.

– კი, იეზიდები, – თქვა თენგოს უმცროსმა ძმამ ბახჩომ.

არ ვიცოდით რა განსხვავება იყო იეზიდებსა და ქურთებს შორის.

– ქურთები მუსულმანები არიან, – თქვა თენგოს უფროსმა ძმამ ქერიმმა.

სადღესასწაულო დღეებში, თბილისში, ორ ადგილას ისროდნენ ფოიერვერკებს, ბავშვები შუშხუნას რომ ვეძახდით – ფუნიკულიორიდან (მთანმინდის პარკიდან) და სოლოლაკის ქედის (მაშინდელი კომკავშირის ხეივნიდან), ქართველის დედის მონუმენტთან. ჩემი სახლის აივნიდან მხოლოდ ფუნიკულიორიდან გაშვებული შუშხუნები ჩანდა. თუ არ დავიზარებდი და სახლის სახურავზე ავძვრებოდი, კომკავშირის ხეივნიდან გასროლილ შუშხუნებსაც დავინახავდი. მთავარი ამბავი დილით იწყებოდა, როდესაც ბოლომდე ჩაუნველი შუშხუნების ასაკრეფად მამადავითის მთაზე ავდიოდით. ჯერ ფუნიკულიორის ტრამვაის ვაგონში ვსხედებოდით და ვაგონების შეხვედრის ადგილას, შუა სადგურზე ჩამოვდიოდით. მერე ბილიკს ავუყვებოდით და შუშხუნების ძებნას ვიწყებდით. ქურთები სახლიდან უთენია გამოდიოდნენ, ჩვენ კი სისხამზე მშობლები არ

გვიშვებდნენ. ნაპოვნ შუშხუნებს მუყაოს პატარა ყუთებში ვალაგებდით. ქურთების უთენია „ლაშქრობის“ შემდეგ შუშხუნების პოვნა ადვილი არ იყო. თუმცა, ხელცარიელები არასდროს დავბრუნებულვართ. ბოლომდე დაუნველი შუშხუნები ოთხხუთ სანტიმეტრამდე სიგრძის თაბაშირის გამხმარ მასასავით იყო. ვპოულობდით ორგვარ შუშხუნებს, შუშხუნებს რომელთაც თავზე ზოლები ჰქონდა და უზოლოებს. ზოლიანების ანთება მარტივად ხდებოდა, ასანთის ანთებული ღერო ზოლების ცენტრში, წერტილზე უნდა დაგეჭირა და შუშხუნაც მაშინვე ინთებოდა. უზოლო ზედაპირიანები ჯერ უნდა დაგეფშხვნა და ანთებული ასანთი დაგედო. ხან თითებსაც ვინვაავდით. ყველაზე უსაფრთხო შუშხუნების მშრალი სპირტით დანთება იყო. მშრალი სპირტი, რომელსაც წამლის ტაბლეტის ფორმა ჰქონდა სპორტულ მაღაზიებში ვყიდულობდით, ცეცხლს ვუკიდებდით და ზედ შუშხუნას ვდებდით. დაახლოებით ერთ წუთში შუშხუნა ნვას იწყებდა. განსაკუთრებით ეფექტური ღამით ანთება იყო. რამდენიმე წამით ირგვლივ ყველაფერი თვალისმომჭრელად ნათდებოდა.

9 მაისი იდგა. საღამოს, ზუსტად 9 საათზე შუშხუნებს გაისროდნენ. დილით კი შესაგროვებლად წავიდოდით. სკოლის ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით. კარის ძელები კედლებზე საღებავით იყო მიხატული და ბურთი ძელს მოხვდა თუ არა თვალთ უნდა განგესაზღვრა, ამიტომ ხშირი იყო კამათი. თამაში ექვს გატანილ გოლამდე გრძელდებოდა. ხუთით ოთხს ვიგებდით და გადამწყვეტი გოლიც შევავადეთ.

– შტანგას მოხვდა! – გაბრაზებით თქვა თენგომ.  
– სუფთა გოლი იყო! – ვთქვი მე.  
– არ ყოფილა! – თქვა ალიხანმა.  
– ქურთებმა სულ ეგრე იცით! – ხელი ჩაიქნია დიტომ.  
– ხო გითხარით, იეზიდი ვარ! – დაიძაბა თენგო.  
– რა მნიშვნელობა აქვს? ქურთი ქურთია! – აგდებულად თქვა გაამ.

თენგომ შეიგინა, რასაც ჩხუბი მოჰყვა. მაგრად ვიჩხუბეთ

და დავიშალეთ. დაღამდა. 9 საათზე ფოიერვერკი ისროლეს. დილით კი შუშხუნების მოსაძებნად წავედით.

ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან შეგვხვდნენ. უკვე უკან ბრუნდებოდნენ. ნაჩხუბრები ვიყავით და ერთმანეთს უხმოდ ჩავუარეთ.

– კაკო! – თენგოს ხმა შემომესმა.

მივტრიალდი. თენგო მომიახლოვდა და მუყაოს ყუთი გამო-  
მინოდა.

– შენი იყოს!

გაოცებით შევხედე. სევდიანი მეჩვენა. ძმებთან ერთად იყო. ისინიც მოვიდნენ და თავიანთი შუშხუნები გვაჩუქეს. მერე თენგო გადამეხვია, შეტრიალდა და ძმები სწრაფად გაგვშორდ-  
ნენ. გამიკვირდა, ადრე არასდროს გადამხვევია.

მეორე დღეს ტყეში წასვლა გადავწყვიტეთ. მთაწმინდის ფერდობებზე ძალიან კარგი ადგილებია. ულამაზეს ჭალაში, სადაც დიდი ხეები იდგა წყარო მოედინებოდა, ქვებით წყალს ვაგუბებდით და საჭყუმპალაოს ვაკეთებდით. ჯერ არ ცხელოდა და გადავწყვიტეთ ნუშის მწვანე ნაყოფი დაგვეკრიფა. ნუშს სა-  
ნამ ნაჭუჭი გაუმაგრდება ჭამა შეიძლება, ბებიაჩემი კი მაგარ მურაბას ხარშავდა.

თენგოს სახლს რომ გავუსწორდით სარდაფში ჩავიხედე. კარზე ფარდა ჩამოეხსნათ. ძველი განჯინა უჯრებგამოღებული დაეტოვებინათ. ყველაფერი არეულ-დარეულიყო. კარის წინ დასაფენზე ქუჩის დიდი ძალლი იწვა. დერეფნის ბეტონის იატ-  
აკზე ქალღლები და ძველი ჩვრები ეყარა. ჩამიჩუმი არ ისმო-  
და. მეორე სართულზე ქართველები ცხოვრობდნენ და აივანზე გადმომდგარ შუახნის კაცს ვკითხე:

– სად არიან?

– წავიდნენ.

– სად?

– რუსეთში.

თენგოს ნაჩუქარი შუშხუნები დასაწვავად ვერ გავიმეტე და ეზოს გალავანზე მიშენებულ საკუჭნაოში მშრალ სპირტთან ერ-

თად შევინახე. დრო გადიოდა. მალე ბიჭებს სხვა ინტერესები გაგვიჩნდა და შუშხუნების შესაგროვებლად სიარულს შევეშვი.

მერე საბჭოთა კავშირი დაიშალა და ცხოვრება ერთბაშად აირია. ქურთები მთანმინდაზე თითქმის აღარ დარჩნენ. მალე ის დროც დადგა, ქართველმა ქართველს ტყვია რომ ესროლა. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს შენობაში იყო გამაგრებული. შეიარაღებული ოპოზიცია კი მისი ქვეყნიდან განდევნას ცდილობდა.

ჩემი სახლის სხვენზე რამდენიმე ოპოზიციონერი მებრძოლი დაბანაკდა, საიდანაც უზენაესი საბჭოს სახურავს ზვერავენენ. შეიარაღებული ხალხი მეზობელი სახლების სხვენებშიც იყვნენ ჩამსხდრები. დაპირისპირებული მხარეები ღამით ძირითადად ტრასირებულ, მანათობელ ტყვიებს ესროდნენ ერთმანეთს და რამდენიმე სახლში ხანძარი გაჩნდა. მე და მამაჩემი სახლს არ ვტოვებდით და შესაძლო ხანძრის ჩასაქრობად ყველანაირი ჭურჭელი, ღვინის 20 ლიტრიანი ბოცებიც კი წყლით გავავსეთ. დედა და და ნათესავებთან საბურთალოზე გავხიზნეთ. ქუჩაში სიარული სახიფათო გახდა, ყოველ წამს შეიძლებოდა ბრმა ტყვია წამოგწეოდა. არსენას ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე დავუხვიეთ და ათარბეგოვისა და გრიბოედოვის ქუჩების ჩავლით დედა და და რუსთაველის მეტრომდე მივაცილეთ. იქ საფრთხე აღარ ემუქრებოდათ. მე და მამა შინ სწრაფად და მშვიდობიანად ამოვბრუნდით. სახლში ჩვენთან ერთად კიდევ სამი ოჯახი ცხოვრობდა. მათაც ნათესავებთან წასვლა გადანყვიტეს და ბინები ჩვენს იმედად დატოვეს. დაღამდა. სხვენიდან გინებისა და ნაბიჯების ხმა ისმოდა. მამა სანთლის შუქზე წიგნს კითხულობდა. რამდენიმე დღეში ახალი წელი დადგებოდა. არა, მთანმინდის პარკიდან ფოიერვერკს აღარავინ გაისროდა. საკუჭნაოში, წლების წინ გადანახული შუშხუნები გამახსენდა.

ეზოში ჩავედი, საკუჭნაოდან თენგოს ნაჩუქარი შუშხუნები გამოვიტანე და მუყაოს ყუთი გავხსენი. ცხრა ცალი ზოლიანი შუშხუნა იდო. სამ-სამი შუშხუნა მშრალი სპირტის სამ აბზე დავდე და ცეცხლი მოვუკიდე. მართალია, ახალ წლამდე რამ-



დენიმე დღე იყო დარჩენილი, მაგრამ ამ მამაც მებრძოლებს წინასწარ მივულოცავ და მაგრადაც შევაშინებ-მეთქი. ქალაქის აკლებისა და ანიოკებისთვის მეტსაც იმსახურებდნენ. ხის კიბეზე უჩუმრად ავედი და შუშაბანდის ფანჯარასთან დავდექი. უცებ არემარე განათდა. მამა შუშაბანდში გამოვარდა.

– შუშხუნები დავანთე, როგორც ბავშვობაში, – ვთქვი ხმადაბლა.

– ზევით ერთი ამბავი ატყდება, – გაელიმა მამას.

სხვენში სწრაფი ნაბიჯების და გინების ხმა გაისმა.

– ეზოში რალაც შემოაგდეს, ახლა აფეთქდება! – გაჰყვიროდა ვიღაც შეშინებული ხმით.

მეზობელი სახლის სხვენიდან ავტომატის ჯერის ხმა გაისმა. ჩვენს სხვენზეც ისროლეს იარაღი. მაგრად დაფეთდნენ.

ვიცი, ჩემი ეს საქციელი თენგოსაც მოეწონებოდა, რადგან ასეთი აოხრებული და დარბეული რუსთაველისა და მთაწმინდის ნახვა მასაც დიდ ტკივილს მიაყენებდა.



## ნიკას მზე

შვიდი წლის ნიკამ სამთვლიანი ველოსიპედი გააჩერა და მხერა მცხუნვარე მზეს გაუსწორა. მეორე სართულის აივნის სვეტზე ჩამოკიდებულ გალიაში ჩიტი აჭიკჭიკდა. ნიკამ ცრემლიანი თვალები ხელისგულით მოისრისა, გალიას ახედა და აივანზე მდგარ პატარა გოგონას გაუღიმა. ალაცაფის კარში, ასე, ცამეტი წლის ბიჭი შემოვიდა, ბურთი ასფალტზე გააგორა, გაოფლილი მაისური გაიძრო და წყლის ონკანი მოუშვა.

– დიტო, ფეხბურთი ითამაშე? – ნიკა ველოსიპედიდან გადმოვიდა.

– ხო, მოვიგე, – დიტომ წყალი სახეზე შეისხა, მერე ბეჭებო და მკერდი დაისველა. – სახურავზე ავალ და მზეზე გავშრები.

– დიტო!

– რა გინდა?

– მზე ღამით სად მიდის?

– მზე?.. მზეს... მთვარე ყლაპავს.

- მთვარე?
- ჰო, მთვარე. მთვარესაც უნდა, რომ ანათებდეს და იმიტომ, მაგრამ სიცხეს დიდხანს ვერ უძლებს, მზეს უკან ამოაგდებს ხოლმე და სწორედ მაშინ თენდება.
- თუ ყოველლამ ყლაპავს, მზე რატომ არ ფრთხილობს? დიტო დაფიქრდა, სველი თმა მოიქექა და უპასუხა:
- მზე ყველაზე კეთილია, იმდენად კეთილი, რომ განთავისუფლებულს ყველაფერი ავიწყდება, – მერე მაისური მხარზე გადაიკიდა და ხის კიბეს სირბილით აუყვა.
- დანალვლიანებული ნიკა ველოსიპედზე ჩამოჯდა. ღიად დატოვებულ წყლის ონკანს ბელურები მიესივნენ.
- ყურადღება, ყურადღება! ახლა საცირკო ნომერს გიჩვენებთ. ვისაც სუსტი გული გაქვთ, გთხოვთ, ეზო დატოვოთ! – სახურავის კიდეზე მდგარ დიტოს ხელში დიდი კატა ეჭირა. შეშინებული ცხოველი საბრალოდ ჩხაოდა.
- ნიკა ველოსიპედიდან წამოდგა. იქვე, ალვის ხეზე გასუსულ ათიოდე წლის ბუთხუზა ბიჭს ყელზე ნამცხვრის მოზრდილი ლუკმა დაადგა. დიტომ კატას ხელი გაუშვა. აივანზე გოგონამ შეჰკივლა. კატა ასფალტზე მშვიდობიანად დაეცა და დაფეთებული საკუჭნაოში შევარდა. დიტომ გულიანად გაიცინა, მაისური სატელიტურ თეფშზე გადაიკიდა და თუნუქის სახურავზე არხეინად წამოწვა. ალვის ხიდან ბუთხუზა გოჩამ დიტოს უკმაყოფილოდ გასძახა:
- არ შეგეცოდა? რომ დამტვრეულიყო?
- სულელო, კატას რა დაამტვრევს, ცხრა სული აქვს, – დიტომ შარვლის ჯიბეში ჩარჩენილი მზესუმზირა გაკვნიტა. – აი, შენ კი, ახლა ხიდან რომ ჩამოვარდე საზამთროსავით გასკდები.
- შენ კიდე, სახურავიდან რომ გადმოვარდე, უარესი მოგივა.
- მე არ გადმოვვარდები.
- ვითომ რატომ?
- იმიტომ, რომ ნამცხვარს შენსავით მალულად არ ვჭამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკამ ბურთს ფეხი გაჰკრა და სახურავისკენ აიხედა.

- დიტო!
- რა გინდა?
- მანდედან მზე ახლოა?
- ისე რა.
- მზე უნდა გავაფრთხილო, მთვარემ არ გადაყლაპოს.
- არაფერი გამოვა, მაინც გადაყლაპავს.
- გოჩა! - ახლა ბუთხუზა ბიჭს ასძახა ნიკამ.
- რა იყო?
- კენწეროზე ადი, მზესთან რაღაც უნდა დაგაბარო.
- მამა დამინახავს და მეჩხუბება.
- აძრომის გეშინია?! - დამცინავად გამოსძახა დიტომ.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ბიჭმა ზანტად და გაუბედვად დაიწყო ხის კენწეროზე ასვლა.

- მალლა, კიდევ უფრო მალლა! - აღტაცებით ყვიროდა ნიკა.

გოჩა ხეს კენწეროზე მოექცა და ის-ის იყო, ნიკას მზისთვის გადასაცემი სიტყვები უნდა ეთქვა, რომ გოჩამ ღრიალი მორთო. სიმაღლით შეშინებული ბიჭი ხეს ჩაფრენოდა. გოჩას მამამ კიბე თავპირისმტვრევით ჩამოირბინა და ხეზე ავიდა. მეზობლებიც მოცვივდნენ და აცახცახებული ბიჭი ძლივს ჩამოიყვანეს.

- კინალამ მართლა საზამთროსავით გასკდა, - დიტო შინისკენ წავიდა.

- დიტო!
- რა გინდა?
- ხო მომატყუე მთვარე მზეს ყლაპავსო?
- რა გამიჭირე საქმე შენი მზით.
- მითხარი, ხო მომატყუე.

- არა, მართალი გითხარი. მალე დაინახავ, აგერ, იმ მთის უკან ჩასაფრებული მთვარე მზეს როგორ გადაყლაპავს.

ნიკა ერთხანს ჩაფიქრდა და შინისაკენ - ბაბუა, ბაბუას ძახილით გაიქცა.

- რა იყო, რა გაყვირებს?! – უსაყვედურა ბაბუამ.
- გახსოვს, ცაში გასაშვები რომ გამიკეთე?
- ფრანი?
- ჰო, ფრანი.
- მერე?
- გეხვეწები, კიდევ გამიკეთე, რა.
- დალლილი ვარ. მამაშენი მოვა და გაგიკეთებს.
- ძალიან გთხოვ. ფრანს მზესთან წერილი უნდა გავატანო.
- მზესთან?
- ჰო, მზესთან.

კაცმა მაგიდაზე თეთრი ქაღალდი გაშალა, ზედ ცოცხის ორი მსუბუქი ღერო გადააჯვარედინა და ნებონასმული გაზეთის ნაკუნებით მიამაგრა. ერთ-ერთ სამკუთხედში სამართავი მოანყო, მოპირდაპირე ბოლოზე კი ქაღალდის კუდი დაჰკიდა.

– ფრანი მზად არის, – თქვა ბაბუამ. – ახლა წერილი დავაწებოთ.

ნიკამ ფურცელი გაუნოდა. კაცმა წერილი წაიკითხა, გაელიმა, შვილიშვილს მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და წერილი ფრანზე დააკრა. ნიკას გაუნაფავი ხელით დაენერა: „მზეო, კეთილო მზეო, ძალიან გთხოვ, მთვარემ არ გადაგყლაპოს. იფრთხილე, მთვარე მთის უკან იმალება“.

ბაბუა საკუჭნაოს თავზე ავიდა და ნიკაც აიყვანა. კაცმა პერანგის ჯიბიდან კოჭის ძაფი ამოიღო და ძაფის წვერი სამართავ ნასკვს ჩააბა. ფრანი ნიაგმა მსუბუქად აიტაცა და მზისკენ ააცურა. უცებ ბავშვების აღტაცებული შეძახილები გაისმა.

– უფრო შორს გაუშვი, უფრო შორს! – ყვიროდა ნიკა.

– ფრანი შენ დაიჭირე, – კაცმა ბიჭს ძაფის ბოლო მიანოდა, მაგრამ ნიკას ძაფი ხელიდან გაუსხლტა. ფრანმა წონასწორობა დაკარგა, ჰაერში დიდი წრე მოხაზა, სწრაფად იწყო ვარდნა და ერთმანეთზე მიჯრილ შენობების სახურავებს შორის ჩაიკარგა.

– ბაბუ, ფრანი კიდევ გამიკეთე, რა? – იხვეწებოდა ბიჭი.

– ველარ მოვასწრებთ, სადაც არის, მზე ჩავა, ხვალისთვის იყოს.

მზე მთის ქიმს უახლოვდებოდა.

– ნიკა, მალე მთვარე მზეს გადაყლაპავს, – დიტო ფიცრის გრძელ, უზურგო სკამზე იჯდა და ფეხით ბურთს აწვალავდა.

ნიკა ღელავდა, რალაცის მოფიქრებას ცდილობდა. მერე აივნის სვეტზე დაკიდებულ გალიას ახედა და გოგონას დაუძახა:

– ანა!

აივანზე გოგონა გამოჩნდა.

– ანა, ჩიტი მათხოვე. მზესთან რალაც უნდა დავაბარო.

– კარგი, – გოგონას გაუხარდა და გალიის კარი გააღო.

– დეიდა ნუცა, დეიდა ნუცა! – შეშფოთებით იყვირა დიტომ.

აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

– დეიდა ნუცა, ანა ჩიტს უშვებს.

ქალმა გოგონა დატუქსა, გალიის კარი ჩაკეტა და ანა შინ შეიყვანა.

– მაბეზლარა, მაბეზლარა! – ამის თქმაღა მოახერხა ნიკამ.

დიტომ, ცოტა არ იყოს, დაირცხვინა, მერე კი ბიჭს შეუტია:

– რა გაყვირებს, ხომ არ გააფრინე? შეიძლება მთვარემ მზე კი არ გადაყლაპოს, არამედ გემრიელად ჩაახრამუნოს და მზე ველარასოდეს ამოვა.

ნიკა დიტოსკენ გაექანა და პანია მუშტები დაუშინა. დიტომ ბიჭი ხელის კვრით მოიცილა. ნიკა უკან გადაქანდა და ასფალტზე ზურგით დაეცა. მერე წამოჯდა, ჩამავალ მზეს ახედა და ცრემლი წასკდა.

– რა იყო, რა გატირებს, ვაჟკაცი არა ხარ? ძირს დაცემაზე ასე უნდა იტირო? მოდი, შევრიგდეთ, – დიტო ბიჭთან მივიდა.

– მამამ მითხრა, დედა მზესთან გაფრინდა და იმიტომ არის მზე ასეთი თბილიო. როცა მზე თვალეში გიჭყიტინებს, დედა გიცინის, როცა დაგცხება, დედა გეფერება და გულში გიკრავსო.

დიტომ ნიკას თავზე ხელი გადაუსვა. ძალიან უნდოდა, რალაც თბილი ეთქვა, მაგრამ უხმოდ გასცილდა, რადგან გრძნობდა, თვალზე მომდგარ ცრემლს ველარ შეიკავებდა.



## თმის სარჭი

მზიანი დილა გათენდა. სასტუმრო ოთახიდან მამის ბუზ-  
ლუნი მესმის, დედა სამზარეულოში საქმიანობს. ჩემი და პატა-  
რა თეონას ტუქსავს. რამდენიმე საათში ბათუმში უნდა გავემგ-  
ზავრო – სამსახურიდან ერთკვირიან მივლინებაში მივდივარ.  
ყველაზე მეტად ჩემს დისშვილთან განშორება მიჭირს.

– ბავშვი არსად წაიყვანო, პირველ საათზე მივდივარ, –  
ხმამალლა ვამბობ დის გასაგონად.

– მალე დავბრუნდებით, – მოკლედ მიპასუხა დამ.

– კახა ბიძია მინდა, კახა ბიძია, – აყვირდა თეონა, რასაც  
ჩემი დის ისტერიული ხმა და თეონას ზღუქუნი მოყვა.

გავიზმორე, ხელები თავქვეშ ამოვიდე და მზერა გისოსებიან  
ფანჯარაზე გადავიტანე. ფანჯრის მიღმა ყოველივე უცვლელად  
გამოიყურება: მოპირდაპირე სახლის უფანჯრეზო კედელი, რო-  
მელიც ზურგშექცეულ ადამიანს წააგავს; ხის ტოტები; ტოტებს  
შორის ამოჩრილი ელექტროსადენების ბოძი; ბოძზე მიმაგრე-

ბული ღამის ფარანი და ხის ტოტებში გახლართული ელექტრო-სადენები. უეცრად ფანჯრისკენ გადმოხრილი ტოტი ბელურამ შეარხია. გაფოთლილი ტოტებისა და ნაცრისფერი კედლის ფონზე ბელურა ძნელი შესამჩნევია. ბელურამ ნისკარტი ცალი ფრთის ქვეშ შეიყო და რამდენჯერმე გააქან-გამოაქანა, შემდეგ მეორე ფრთა შეისწორა და ბუმბული ისე გაბურძენა, რომ ერთი ციდა ჩიტი შესამჩნევად გადიდა. სანოლიდან ვდგები, სპორტულ შარვალს ვიცვამ და ფანჯარასთან მივდივარ. მოპირდაპირე სახლის კედელზე ბავშვური ხელით მოხატულ ნახატებს შევყურებ, თავს ფანჯრის ჩარჩოს ვადებ და მეღიმება. კედელზე სასაცილო ადამიანები და ცხოველები ოცი წლის წინათ არის დახატული. გაუბედავი ხელით გამოყვანილი ასოები აღარ ჩანს. ეს ნახატები მუდამ მახსენებენ ჩავლილ ბავშვობას.

წლებთან ერთად როგორ იცვლიან საგნები სახეს, დანიშნულებას. ბავშვობისას ქუჩის ბოძზე მიმაგრებული ფარნის შუქზე ვაკვირდებოდი ფანტელებს. რამდენჯერ გამღვიძებია და ხვავრიელად მოფარფატე ფანტელების დანახვისას გული სიხარულით შემკუმშვია. მიხაროდა, რომ დილით უამრავი ბავშვი გამოიშლებოდა და მთელ დღეს ერთად ვიმხიარულებდით. ახლა ფარანმა ძველი, ზღაპრული მნიშვნელობა დაკარგა და ჩვეულებრივ ფარნად იქცა.

მოპირდაპირე კედელი მრავალ მოგონებას აცოცხლებს. ერთხელ, ზამთარში, უბნელმა ბიჭმა სწრაფად მიმავალი ციგის დამორჩილება ვერ შეძლო და კედელს თავით შეასკდა. ახლა, წლების შემდეგ, დაღუპული ბიჭის შავებში ჩაცმული დედა ქუჩაზე ავლისას კედელს თვალს არიდებს, რალაცას ჩურჩულებს და ქუჩის საპირისპირო მხარეს გადადის თავდახრილი.

ცხადად მახსოვს, ღამით ადამიანის მოთქმამ გამომალვოდა. სანოლიდან წამოვდექი და გისოსებიან ფანჯარაში გავიხედე. ვილაც კაცი კედელს მისდგომოდა და ფართოდ გაშლილ ხელებს გამეტებით უშენდა. ელექტროსადენების ბოძზე მიმაგრებული ერთადერთი ფარანი იქაურობას ცუდად ანათებდა და უცნობის სახის გარჩევა ვერ შევძელი. უცებ კაცმა ხელების ქნევას თავი



ანება, ერთხანს გაიღურსა და ღრიალით თავქვე წალასლას-და. ამომავალი ავტომანქანის შუქმა კაცის ჩრდილი კედელზე ააკრა. ჩრდილი უსაშველოდ გადიდა, მთელი კედლის სიმაღლეზე აღიმართა და წამში უკვალოდ გაქრა, თუმცა ჩემს მეხსიერებაში ის ვეება ჩრდილი სამუდამოდ აღიბეჭდა.

მზერა კედელს ავაცოლე და სანვიმარ ღარს შევხედე. ღარის თავზე ამოსული პატარა ხე მთლად დაჭკნა და, მიუხედავად შუა ზაფხულისა, რამდენიმე გაყვითლებული ფოთოლიდა შერჩა. შარშან გაზაფხულზე ამოვიდა ეს ხე, ალბათ, მილში დაგროვილ ნაგავში გაიდგა ფესვები. გული მწყდება, რადგან ხე მალე გახმება.

ქარისაგან გაღვივებული, ბოლოებშენითლებული მზე მთანმინდის ფერდობებზე იარუსებად განლაგებული სახლების სახურავებსა და საკვამურებს მიღმა ზანტად ფხიზლდება.

ტანსაცმელი ერთ ჩანთაში ჩავალაგე, მერე თეონა გულში ჩავიკარი, დავკოცნე, ხელები თეძოებზე მოვხვიე და მკლავები ჭალისკენ ავმართე. თეონა აღელვებისგან თუ შიშისგან კივის, იცინის და პატარა ხელებს უჩვეულო ძალით მიჭერს. ძნელი სათქმელია, რა მოხდა ჩემს დასა და მის მეუღლეს შორის... რის გამო, რანაირად უნდა დათმო კაცმა ამისთანა საყვარელი არსება!..

უცებ თეონა თავს დაბლა ხრის, მარჯვენა ხელის ზურგს მაჩვენებს, ზედ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს იდებს, სახე საცოდავად ეჯღანება და შემკრთალი ხმით მეუბნება:

– ნახე, გუშინ დავინვი.

– აბა, მაჩვენე! – პანია ხელს თანაგრძნობით დავცქერი. დამწვრობის არავითარი კვალი არა ჩანს. მაინც სევდა მომეძალა.

– დედამ დამწვა, – ამბობს თეონა და ცდილობს, კიდევ უფრო შემაცოდოს თავი.

ტყუილი და ამისთანა? ნამდვილად მისატყეპია, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებ.

ბათუმში თეონას ლამაზი თმის სარჭი ვუყიდე. წარმოდგენილი მაქვს, საჩუქრის დანახვაზე როგორ გაუბრწყინდება თვალები.

\* \* \*

თბილისში შელამებულზე დავბრუნდი. ერთი სული მაქვს, შინ როდის მივალ – იქ პატარა თეონა მელოდება. წინასწარ მსიამოვნებს იმის წარმოდგენა თუ როგორ გაახარებს თმის სარჭი. ნაბიჯს ვუჩქარებ, რადგან უკვე გვიანია და მეშინია, დაძინებული არ დამხვდეს. ვიცი, არაფრისდიდებით არ გააღვიძებენ. თეონას დაძინება არაფრად ეპიტნავენა და სწორედ ამის გამო შებინდებისთანავე გაუთავებელი დავა და ერთი ჭკუის დარიგება იწყება. ვერ წარმოიდგენთ, რა საყვარელია ასეთ დროს თეონა, რანაირად აფახულებს დიდ, ძილმორეულ, მაგრამ მაინც სიცოცხლით სავსე თვალებს. არ ხერხდება, თორემ ნამდვილად ცოცხლად გადავყლაპავდი. ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა დედაჩემმა მკაცრად დატუქსა, ერთი რიგიანად შემოჰკრა პატარა ღუნდულებზე და დაუყვირა:

– ახლავე დანეჭი და დაიძინე, შენი ხმა არ გავიგო!

თქვენ გგონიათ, თეონამ იქაურობა ტირილით აიკლო? სულაც არა. რაც შეიძლება სერიოზული სახე მიიღო, ცრემლმორეული თვალები შემოგვანათა და დინჯად თქვა:

– ვა, როგორ დავწვე, მერე თქვენ ვინ დაგაძინებთ?

ხანდახან ვეჭვობ, იმიტომ ხომ არ მიყვარს ასე ძალიან, რომ მას მშობელმა მამამ დააკლო სითბო? ეგებ სიბრაღის გამო ვეველები თავს? ერთს გეტყვით: მზად ვარ (მიუხედავად იმისა, რომ არ მეხერხება საკუთარი გრძნობების გამჟღავნება) ფართოდ გაშლილ ხელებში მოვიქციო მშობლიურ ალერსს დანატრებული ყველა ბავშვი და უკანასკნელი ძალის გამოცლამდე გადავცე მათ ჩემი გულის სითბო.

თუთის ხესთან გელა დავინახე. მარცხენა ხელში განუყრელი მაგნიტოფონი უჭირავს, ხოლო მეორე ხელით ხეს ეყრდნობა. გელა ჩემი უზნელია, სკოლიდან ვიცნობ, ჩემზე ორი წლით პატარაა. თავი იმით დამამახსოვრა (არა მარტო მე, არამედ მთელ სკოლას), რომ გაკვეთილებს შორის, შესვენებებზე, ამოჩემებულ ადგილას იდგა და ხმას არავის სცემდა. ვერც ცუდი სიტყვებით აღიზიანებდნენ და ვერც თავში წამორტყმით გამოჰყავდათ

მოთმინებიდან. ის გაუნძრევლად იდგა, სივრცეში რალაცას და-  
ჟინებით მიშტერებოდა, ხელში ჩანთა მაგრად ჩაებლუჯა (რამ-  
დენჯერმე სცადეს ჩანთის გამოგლეჯა, მაგრამ უშედეგოდ) და  
ზარის დარეკვას ელოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ გელას  
შესახებ აღარაფერი მსმენია, სულ ახლახან კი კვლავ გამოჩნდა  
უბანში. ამბობენ, დედას საგიჟეთში ყავდა ნაყვანილიო. ერთი  
რამ თვალშისაცემია: თუკი სკოლაში ხმას არავის სცემდა, ახლა  
თითქმის ყველა გამვლელს აჩერებს და ელაპარაკება. მისი  
ლაპარაკის საგანი ერთია – სახლში ნაიყვანონ და სანაცვლოდ  
„ბითლზის“ სიმღერებს მოასმენინებთ. რამდენიმე მოცლილი  
გელას შუა ქუჩაში ამღერებს „ბითლზის“ სიმღერებს და სი-  
ცილით იხოცებიან.

გელამ შემამჩნია, თუთის ხეს მოსცილდა, მომესალმა და  
გულიანად მომიკითხა:

– როგორა ხარ, კახა?

– კარგად. შენ როგორლა ხარ? – რატომღაც გელასთან თა-  
ვისუფლად ვგრძნობ თავს.

– ნამოდი, შენთან წავიდეთ, „ბიტლზებს“ მოგასმენინებ.

– ხო, კარგი იქნებოდა, მაგრამ სახლში პატარა ბავშვია და  
ახლა ეძინება.

– კარგი. ისე, შენი იმედი მქონდეს, არა?

– აბა რა, კარგად იყავი!

– შენი იმედი მაქვს.

გელამ თავისუფალი ხელი გამომშვიდობების ნიშნად მალა  
ანია. მე გავუღიმე.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ საკმარისია, გელას შევხედო  
და დაველაპარაკო, რომ სერიოზულობას მაშინვე ვკარგავ  
და რალაც უცნაური საქციელის ჩადენის სურვილი მიჩნდება;  
მაგალითად, ქუჩაში თავისთვის მოსეირნე ხანშიშესულ კაცს  
ცილინდრი მოვხადო და მოტვლეპილ თავზე მზრუნველად გადა-  
ვუსვა ხელი ანდა დედასთან ერთად მიმავალ პატარა გოგონას  
თოჯინა გამოვგლიჯო, ცეკვა-ცეკვით ვირბინო და, როდესაც  
ატირებული გოგონა თოჯინას დაკარგულად ჩათვლის, მაშინლა

დავუბრუნო. ჩემი ამ შესაძლო მოქმედებით გელასთვის იმის დამტკიცება თუ მინდა, რომ ის სულაც არ არის გიჟი.

სახლის კარი მამაჩემმა გამიღო. თეონას შუშაბანდში ფეხებს ბანენ. საყვარელმა არსებამ დამინახა თუ არა, ტაშტიდან ფეხები ამოყო და ჩემკენ ხელებგაშლილი გამოექანა. სველ ფეხებს წელზე მახვევს.

– კარგი, თავი დაანებე, – დედაჩემი თეონას მხრებში ხელს ჰკიდებს და ცდილობს, მომაშოროს. – ფეხები სველი გაქვს, გაცივდები. კახა ბიძიას ნუ ასველებ.

– ოოხ! – თეონა ლოყაზე მკოცნის. ვგიჟდები მისი პატარა ტუჩების შეხებისას.

– აბა, ჩქარა ჩამოდი, არ გესმის, ვის ვეუბნები?! – საქმეში მაკა ერევა, მაკა – ჩემი და.

– ოოხ, რა გინდა, ვაა! – თეონა კვლავ მკოცნის.

– მე ვიცი, რისთვისაც მაიმუნობ, ძილი არ გინდა, – არ ცხრება მაკა.

დედაჩემი ღიმილით შემოგვეყურებს. უცებ მაკამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შემოჰკრა თეონას ტაკუნებზე ხელი და მტაცებელი ფრინველივით დააცხრა. როგორც კი გოგონა ძირს დასვა, დამ გამიღიმა და მაკოცა, შემდეგ ისევ მოელუშა სახე და თეონა ძალისძალად გაიყვანა საძილე ოთახში. გათავებული საქმეა, თმის სარჭის ჩუქებით გოგონას დღეს ველარ გავახარებ.

სასტუმრო ოთახის კარზე მიყრდნობილ მამას ვკოცნი. მიუხედავად მისი გულგრილი გამომეტყველებისა, ვგრძნობ, რა ძლიერ ახარებს ჩემი დანახვა და, მით უმეტეს, კოცნა.

საწოლზე წამოვწეკი და გაზეთებს ვათვალიერებ. კარი ნელ-ნელა გაიღო და თეონა ლამის პერანგის ამარა გამომეტყვება.

– შენ რა, არ გძინავს? – არ შემიძლია, მკაცრი ტონით ველაპარაკო. ამას თეონაც ხვდება.

– ჩუმად, – ღიმილით მეუბნება თეონა და დიდ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. – არ მეძინება და რა ვქნა! თუ კაია, თვითონ დაიძინონ, – იგი საწოლზე ამოსვლას ცდილობს. გაზეთებს იატაკზე ვყრი, თეონას ხელებს წელზე ვავლებ, მკერდზე ვისვამ

და ვეკითხები:

– ახალი ლექსი არ გისწავლია?

– ჩემად ილაპარაკე! – მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო: – ახალი ლექსი? როგორ არა, ვისწავლე.

– მაშინ მითხარი.

– ახლავე?

– ჰო, ახლავე.

– აი, ისაა, ხო, მოიცა, ხოო.

თეონამ ჩემად და საყვარლად დაიწყო ლექსის კითხვა. ახლალა შევამჩნიე, ცალი ხელი მომუშტული აქვს და გულზე იხუტებს.

– ახალი სიმღერა არ იცი?

– სიმღერა? – თეონამ შეწუხებული სახე მიიღო. – ვიცი, როგორ არ ვიცი.

გოგონას სიმღერის დაწყება მაღალ ხმაზე მოუვიდა.

– უიმე! – თეონას გაელიმა, მცირე ხანს დადუმდა და უფრო ჩემად განაგრძო სიმღერა.

დაამთავრებს სიმღერას და თმის სარჭს ვაჩუქებ. ამაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არაფერია. ნამდვილად ჭკუას დაკარგავს, აუცილებლად მაკოცებს. უეცრად თეონა ჩუმდება, მომუშტულ ხელს შლის და მეუბნება:

– ნახე, მამამ რა მაჩუქა!

თეონას ხელისგულზე ისეთივე თმის სარჭი უდევს, როგორიც მე ვუყიდე. შევყურებ გახარებულ გოგონას, რომელსაც, ალბათ, ჰგონია, რომ მხოლოდ მამამისს შეუძლია ასეთი ლამაზი თმის სარჭის ჩუქება და მეც ბედნიერად ვგრძნობ თავს.

– შენ არაფერი არ მომიტანე? – თეონა გამომცდელად მიყურებს.

– იცი, თეონა, ახლა ვერაფერი მოგიტანე.

– მერე რა მოხდა, – მამშვიდებს თეონა.

როდესაც დავრწმუნდი, რომ სახლში აღარავის ეღვიძა, ჩემად ავდექი, ფანჯარა გამოვალე და თეონასათვის ნაყიდი თმის სარჭი ქუჩის წყლის სანრეტში ჩავაგდე.

\* \* \*

ზამთარში კვლავ მომინია შვებულებაში წასვლამ. ბნელდებოდა, თბილისში რომ დავბრუნდი. თოვს, ცივა. მთანმინდისაკენ ამავალ აღმართს ავუყევი. გელამ შემამჩნია, ხელის აწევით მომესალმა და ალელვებით მითხრა:

– კახა, რა არის, ნუთუ ადამიანების ნდობა დავკარგე? – მან სევდიანი და განცვიფრებული თვალებით შემომხედა, მერე მაგნიტოფონს დააცქერდა.

დავიბენი, ვერაფერი ვუპასუხე. ანაზღად სულელურმა აზრმა გამიელვა თავში: ნათლად წარმოვიდგინე, როგორ გაჩერდა გელა ხიდის შუა წელზე. ერთხანს მზერა სივრცეს გაუსწორა, სველი ჰაერი მშვიდად ჩაისუნთქა, ირგვლივ მომდგარ სიბნელებში გამეფებულ სიჩუმეს ყური მიუგდო, ხიდის მოაჯირს ხელისგულები დააბჯინა და მდინარეში გადაეშვა. ჩემს სმენას უსიამო ტლაშუნის ხმა მისწვდა და წყლის ზედაპირზე მრგვლად გაფანტული რგოლებიც ნათლად დავინახე.

– სახლში აღარავის მივყავარ, ყველა უარს მეუბნება! – გელას ხმამ ფიქრებიდან გამომიყვანა. კაცთმოყვარეობის შესახებ ვრცელი მონოლოგის წაკითხვის სურვილი გამიჩნდა. მინდა, რითიმე ვანუგეშო:

– ალბათ, არ სცალიათ, – ვრცელი მონოლოგის მაგივრად ამის თქმაღა მოვახერხე.

გელამ ერთხანს თავი დახარა, მერე მაგნიტოფონს ხელი გადაუსვა და კვლავ თვალებში შემომხედა. აუ, ბიჭო, რამხელა ტკივილი მოდის მისი არსებიდან!..

– შენი იმედი მქონდეს? – გელას ხმაში მუდარა გამოერია.

– მაგას თქმა უნდა? ხვალ დილით ამოდი ჩემთან, „ბითლზებს“ მოვუსმინოთ, – ვთქვი რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით.

– შენი იმედი მქონდეს? – გელას ხმა აუთრთოლდა.

ჩემს წარმოსახვაში ფიფქები ველზე ლამაზად გაშლილ გვირილებს დაემსგავსნენ. უეცრად ნაზმა ქარმა დაქროლა, ფიფქები ზევით ააფრიალა, მაგნიტოფონიან ბიჭს შარვლის

ტოტებსა და პალტოს სახელოებში შეუძვრა და გვირილისხელა ფიფქებიანად ცისკენ ააცურა.

გელა სატელევიზიო ანძას ასცდა თუ არა, მაგნიტოფონი ჩართო. უეცრად ცა განათდა და ქალაქს სასიამოვნო ჰანგები მოეფინა. ფანჯრები ერთმანეთის მიყოლებით გაიღო და ხალხი ღიმილითა და გაოცებით შეაცქერდა ცაში დატრიალებულ სას-ნაულს. სანახაობით გახალისებულ ადამიანებს ხანგამოშვებით ერთმანეთზე გადაჰქონდათ მზერა და მოწონების გამოსახატავად ხელებს მაღლა იშვერდნენ.

– ჩემი იმედი გქონდეს, სხვებისაც, – ვთქვი მე.

– მაშ, კარგი. ნახვამდის. ხვალ დილით ამოვალ! – გაეღიმა, თვალებიდან სევდა გაუქრა.

თოვამ მოუხშირა, სიცივემაც იმატა. ნაბიჯს ავუჩქარე, ვინრო ქუჩაზე შევუხვიე და თეონა დავინახე, რომელიც მხიარულად კისკისებს და მამამისს თოვლის გუნდას ესვრის. ჩაბნელებულ სადარბაზოსთან შევდექი. მოსიყვარულე მამა-შვილს თვალს ვერ ვაცილებ. მსხვილი, ვერცხლისფერი ფანტელები თავბრუდამხვევად ფარფატებენ. გაუნძრევლად მდგარს ხელები გამეთოშა, შემცივდა. უცებ გოგონას აღტაცებული შეძახილი მომესმა:

– კახა ბიძია, კახა ბიძია ჩამოსულა!

თეონა ხელებგაშლილი მორბის. წამიც და გოგონას ავიტაცებ, გულში ჩავიკრავ და უმაღ გავთბები.



## მანქანაში

საცხოვრებელ კორპუსთან მანქანა გაჩერდა.

– პატარა საქმე მაქვს, მალე დავბრუნდები, არ მოიწყინოთ, – თქვა საჭესთან მჯდარმა ახალგაზრდა კაცმა. იგი მანქანიდან გადავიდა, ტროტუარი სწრაფად გაიარა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

მანქანაში ორნი დარჩნენ. სიჩუმეა. ქუჩაში ხანშიშესული კაცი გამოჩნდა. კაცს ვეება, ლიმონისფერი ძაღლი მიყვებოდა გვერდზე. მამქანაში მყოფთ გაელიმათ.

– დოგია, – თქვა წინა სწავარძელში მჯდომმა ბიჭმა, თავი უკან შეაბრუნა და გაილიმა.

– დოგია, – ნათქვამი დაადასტურა გოგონამ, – რა ლამაზია.

სიჩუმე. – ადრე, პატარა ძაღლი მყავდა, ბალონკა, – თქვა გოგონამ.

– მართლა?

– დიახ.



– ალბათ ძალიან გიყვარდათ.

– ძალიან. ერთხელ სახლიდან გავიდა და დაიკარგა. ბევრი ვიტირე.

სიჩუმე. ბიჭი მანქანის კარზე თითებს მსუბუქად აკაკუნებს, ძლივს გასაგონად რაღაც მელოდიას ღიღინებს და სახლის სადარბაზოსაკენ იყურება. გოგოც სადარბაზოსაკენ იყურება და თითებით ხელჩანთის ზონარს აწვალებს.

– მე ძაღლები მიყვარს, აი კატებს კი ვერ ვიტან, – თქვა ბიჭმა.

– რატომ? – გაიოცა გოგომ.

– როგორ გითხრათ, ცბიერები არიან, ეშმაკები, – თქვა ბიჭმა.

ხანმოკლე სიცილი, კვლავ სიჩუმე. ხესთან ორი ბიჭი შეჩერდა. მალაღმა სკოლის ჩანთა თავში ჩაარტყა მსუქანსა და დაბაღს. ბიჭები ერთმანეთს დაეჭიდნენ.

– რა აჩხუბებთ! – აღშფოთდა გოგო.

ბიჭმა მანქანიდან თავი გადაყო. დაიყვირა:

– ეხლავე აქედან მოუსვით! პატარა ბიჭებმა ჩხუბი შეწყვიტეს და შეშინებულებმა მოკურცხლეს.

სიცილი. ისევ სიჩუმე. ბიჭი ხელს მუხლისთავზე ირტყამს, გოგონა ანგარიშმიუცემლად ისწორებს თმებს. ორივე სადარბაზოსაკენ იცქირება. მანქანიდან გადასულმა ახალგაზრდა კაცმა, მხოლოდ ნახევარი საათის წინ გააცნო ისინი ერთმანეთს.



## ქანაანელი ასულის ცრემლი

ბექას კარგად ესმოდა, რომ ღვთის შეურაცხმყოფელი საქმე უნდა ჩაედინა. ღამით, სოფლის განაპირას, ძველ, მიტოვებულ ნისქვილთან იგი ქალიშვილს უნდა შეხვედროდა. მან მდიდრულად მოჩუქურთმებულ, ღვთისმშობლის ტაძარს მზერა მოარიდა და ცას ახედა. მთვარეს თხელი ღრუბელი გადაჰკვროდა და მღვრიე გუბეში არეკლილივით მოჩანდა. ეკლესიისთვის ხარაჩოები სანახევროდ ჩამოეხსნათ და შემოდგომის საღამოს სუსხით შეწუხებული ხელოსნები ნახმარ, უვარგის ფიცრებს ცის ქვეშ დანთებულ ცეცხლში ყრიდნენ. უღლიდან გამოხსნილი, სამშენებლო მასალების ზიდვით გასავათებული ხარები გამოქანდაკებულებივით იდგნენ და ზანტად იცოხნებოდნენ. კალატოვებს თავიანთი საქმე თითქმის დაემთავრებინათ და ახლა ტაძრის შიდა სივრცეს მხატვრები დაჰპატრონებოდნენ. ტყის პირას, ბარაკებიდან გამოშლილი მშენებლები ცეცხლის გარშემო ღრეობდნენ და ოხუნჯობდნენ.

ბექა უკვე მეორე ტაძრის მოხატვაზე მუშაობდა. იგი დიდოსტატ თევდორეს საყვარელი მოწაფე იყო. მას ფრესკების აღდგენაზეც უმუშავია. ბექას მობეზრდა დიდოსტატის მიერ მოხაზული კონტურების მიმქრალი ფერებით დამუშავება. ფიგურები დუნე, უსიცოცხლო და არამინიერი სილამაზისა გამოდიოდა. მას ერთი ამოსუნთქვით ხატვა სურდა და თითქოს დიდოსტატი სურვილს მიუხვდაო, ხუროთმოძღვართან შეთანხმებით, ეკლესიის ჩრდილოეთ აფსიდაში, ქანანელი ასულის განკურნების სცენის დახატვა ანდო. ბექას სიხარული ორმაგი იყო. ჯერ ერთი, მას დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება ეძლეოდა და მეორეც, ბიბლიის ეს ეპიზოდი ქალის სხეულის ნაწილობრივი სიშვილის გამოსახვის საშუალებას აძლევდა. იგი ხორციელი სამყაროს სილამაზით იყო შთაგონებული. მას მოკვდავი ქალიშვილის სხეულის გრაციოზული, მინიერი სილამაზის გამოსახვა სურდა.

ბექა შუაგახლეჩილი ლოდიდან წამოდგა. ლოდს ჩამონათალის პირზე, რამდენიმე ადგილას, საჭრეთელის ღრმა კვალი ემჩნეოდა. იგი სოფლისკენ მიმავალ საურმეს გაუყვა. ქალიშვილი ალბათ უკვე წისქვილთან ელოდა. უგონოდ მთვრალი ბერძენი ქვის მთლელი დაკუნთული ხელებით ხეთა ტოტებს ეჭიდებოდა, წონასწორობას იცავდა და გაღეღილ, ბანჯგვლიან მკერდს ცივ ნიავს უშვერდა.

თითქმის ერთი თვე გავიდა, რაც ბექას დამოუკიდებელი სამუშაო მიანდევს, მაგრამ ჯერ საკურთხეველის აფსიდაში გაბრიელ მთავარანგელოზის ფიგურა ჰქონდა დასასრულებელი. მიქაელ მთავარანგელოზს ოსტატი არსენი ხატავდა. თავად დიდოსტატი კი ღვთისმშობლის სახეზე მუშაობდა. ბექა ქანანელი ასულის განკურნების კომპოზიციაზე განუწყვეტილ ფიქრობდა და იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ქანანელი ასულის სრულყოფილად დასახატავად ცოცხალი ნატურა ესაჭიროებოდა. ბექამ იცოდა, ტაძარში ქალიშვილის მიერ სხეულის თუნდაც მცირე ნაწილის გაშიშვლება ეს დიდი ცოდვა და ღვთის გამოა იყო, მაგრამ მისი მისწრაფება, ადამიანური სული შთაებერა

ნახატისთვის, მეტად ძლიერი გახლდათ. იგი დღედაღამ ლოცულობდა და ასეთი უწმინდური ზრახვებისთვის ღმერთს პატივბას შესთხოვდა. ბექას დასახული მიზნის განსახორციელებლად ისეთი ქალიშვილი უნდა მოენახა, რომელიც მენატურეობაზე დათანხმდებოდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ყველაზე უკანასკნელ მეძავსაც კი, მიუხედავად გასამრჯელოს სიდიდისა, ეკლესიაში გახდა გაებედა. პირიქით, რაც შეიძლება უმანკო სულის ქალიშვილისთვის უნდა მიეგნო, რომელსაც საკუთარი მიზნის სისწორეში დაარწმუნებდა, რომ ნახატი მარადიულ მშვენიერებად იქცეოდა, რომლის ხილვითაც აღფრთოვანებული მომდევნო თაობები წინაპრების მიერ ფრესკაში განსხეულებულ ვნებასა და გენის სიძლიერეს პირველქმნილი სიცხადით შეიგრძნობდნენ. მარადიულობასთან შედარებით კი მხატვარი და ქალიშვილი არარაობას წარმოადგენდნენ. ბექამ მახლობელ სოფელში სიარულს მოუხშირა და ერთ მზიან დღეს, წყაროსკენ მიმავალ ქალიშვილს მოჰკრა თვალი. მხატვრის ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, ქალწულის უმანკო მზერამ მიიპყრო, რომლის სხეულის დახვეწილობა და კანის ფერი ისეთი იყო, გეგონებოდა დიდოსტატის მიერ თეთრი მარმარილოსაგან გამოთლილმა ქანდაკებამ ფეხი აიდგაო. მომავალი ნახატისთვის ზვარაკად გამიზნულ ქალიშვილს გვანცა ერქვა. ბექას ნალაპარაკევით მოხიბლულმა ქალიშვილმა ვაჟს გულის კარი გაუხსნა. გვანცას განსაკუთრებით ის მოსწონდა, რომ ბექას ამქვეყნიური სილამაზის ასახვა, ადამიანის მოძრაობის ამეტყველება სურდა. მხატვარი არ ჩქარობდა და ტაძარში წელზევით გაშიშვლების აუცილებლობას ქალიშვილს საგულდაგულოდ უმაღავდა.

მთის კალთებს შორის მოქცეული მდინარე გაბრაზებით ბუყბუყებდა. წისქვილის მორყეულ კართან, თხელ, ჩითის კაბაზე ჯუბანამოსხმული გვანცა იდგა. იგი ბექას დანახვაზე თავდაპირველად შეცბა, მერე გაელიმა, მისკენ გამოიქცა და ისე ახლო შედგა, რომ მხატვარს ქალიშვილის აჩქარებულმა სუნთქვამ ლოყა გაუთბო. ბექამ გვანცას გაყინული თითები პირთან მიიტანა და შემეკრთალმა გაიფიქრა, ვუყვარვარო. მხატვარი მასში

მხოლოდ მშვენიერების წყაროს ხედავდა, რომელსაც მთელი არსებით უნდა დასწაფებოდა და წყურვილმოკლულს სილამაზე ტაძრის კედელზე გადაეტანა.

– სახლიდან ძლივს გამოვიპარე, – ქალიშვილმა თავი გვერდზე შეაბრუნა.

– ხელები გაგყინვია, – ბექამ თითები დაუორთქლა, – მაპატიე, დღისით ტაძარში ვერ შეგიყვანდი, ამის უფლებას არავინ მომცემდა.

– ვიცი, წავიდეთ, – გვანცა მხარზე მიეკრო და ვაჟმა მისი სხეულის თრთოლა შეიგრძნო.

ღრუბლების თხელი ფენა თანდათან სქელდებოდა და მთვარე სულ უფრო და უფრო მკრთალად ანათებდა. მშენებლები ბარაკებში შეკრეფილიყვნენ. მინავლებული ცეცხლი აქა-იქ წითლად ღვიოდა. ღამით ტაძრის სიახლოვეს არავინ რჩებოდა და ბექამ რკინის მძიმე კარი უშიშრად შეაღო. მერე სათლიდან ორი ჩირაღდანი ამოიღო და ნიშში მბუჟტავი კანდელით ცეცხლი მოუკიდა. ერთი მათგანი კედელში ჩაამაგრა, კარი მიხურა და გვანცას ტაძრის სიღრმისკენ გაუძღვა. საკურთხეველი და სამხრეთის აფსიდა მთლიანად ხარაჩოებში იჯდა. გუმბათის კამაროვანი ნაწილიდან დეკორატიული ჯვარი მოჩანდა, ხოლო გუმბათის ყელში წინასწარმეტყველთა ფიგურები იყო გამოსახული. საკურთხევლის ჩრდილოეთ-დასავლეთის კედელზე დიდოსტატი თევდორე ჯვარცმულ ქრისტეს ხატავდა. სამხრეთის აფსიდის ზემოდან მეორე და მესამე რიგში ოსტატი გაბრიელი შობისა და ამალლების კომპოზიციებზე მუშაობდა. დასავლეთის კედლიდან ჯვარაღმართული წმინდა ნინოს გამოსახულება მოჩანდა. ბექას ჩრდილოეთი აფსიდის ზემოდან მესამე რიგი უნდა მოეხატა და კედელთან დაბალი ხარაჩო აეგოთ. მას გული მძლავრად უძგერდა. საღებავების თავისებური სუნითა და ტაძრის ვრცელი სივრცით გაბრუებული გვანცა გაუნძრევლად იდგა და მხატვრის სიტყვას ელოდა. ბექამ არ იცოდა, საუბარი რით დაენწყო. მან რამდენიმე საფეხური აიარა, ხარაჩოზე დადგმული სათლიდან ჩვარი ამოიღო და ბათქაში დაასველა. მერე მობრუნდა და

ქალიშვილს დაკვირვებით შეხედა. გვანცამ გაუღიმა.

– უნდა დამეხმარო, – მხატვარმა ღრმად ამოისუნთქა. მისი ხმა ტაძრის სიმყუდროვეში არაამქვეყნიურად გაისმა.

– სად დავდგე? – გამოცოცხლებული ქალიშვილი ხარაჩოსთან მივიდა.

– გვანცა, მხოლოდ შენი სახე და კაბით შემოსილი სხეული საკმარისი არ არის, – ბექამ მზერა გუმბათის ყელზე გადაიტანა. მდუმარება ჩამოვარდა და ცეცხლის ტკაცუნის ხმა მკაფიოდ გაისმა. თითქოს რალაცას მიხვდაო, ქალიშვილმა შეშფოთებით იკითხა:

– რასა მთხოვ?

ბექამ ფართოდ გახელილ თვალებში ჩახედა და ხმადაბლა უთხრა:

– წელზევით უნდა გაიხადო.

გვანცამ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. იგი ცახცახმა აიტანა. მისი ხმა დანანებრებით მოისმოდა:

– ბექა, გემუდარები, მაგას ნუ მთხოვ.

– გვანცა, ამას მხოლოდ შენ შესძლებ, – მხატვარი საფეხურებზე ჩამოვიდა, – ღმერთი მოწყალეა, ვილოცოთ და ცოდვებს შეგვინდობს.

– მაპატიე ბექა, ამას ვერ შევძლებ, – ქალიშვილს სახის თითოეული ნაკვთი უთრთოდა.

– ქანაანელ ასულს მარადიული სილამაზე უნდა მიანიჭო, – მხატვარი გვანცასკენ წავიდა, – ჩემი ნუ გერიდება, მე მხოლოდ ამ სილამაზის მონა და ერთგული მსახური ვარ.

– არა! – ქალიშვილი ეკლესიის სამხრეთის კედლისკენ გაიქცა და ხარაჩოს ბოძს ამოეფარა.

ბექა საკურთხევლისკენ შეტრიალდა, დიდოსტატის მიერ მონაზულ ჯვარცმულ ქრისტეს კონტურებს შეხედა, ხარაჩოს ხელი გამეტებით დაარტყა და ხმამაღლა თქვა:

– რა იქნებოდა ოცნება ამხდენოდა და ქანაანელი ასულისთვის სული ჩამედგა.

ღუმილი აუტანელი ხდებოდა. მხატვარს სამოსის შრიალი

შემოესმა. იგი ნელა შეტრიალდა და ნანახმა ერთხანს სინამდვილეს მოსწყვიტა. სამხრეთის კედლის ხარაჩოს წინ გვანცა იდგა, თითქოს ყვავილს კოკორი გაშლია და დაფარული მშვენება გამოუმზეურებიაო. მას მზერა აღმოსავლეთით, საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახული ღვთისმშობლისკენ მიეპყრო და პირჯვარს იწერდა. მხატვარმა კიდევე ორი ჩირაღდანი აანთო, ქალიშვილი ხარაჩოზე აიყვანა, დაბალ სკამზე დასვა და ცალი ხელი წინ გაანვდენინა. ბექამ სველი ჩვრით ბათქაში დანამა და სხეულის მოხაზვას შეუდგა. ახლა მისთვის ქვეყნად აღარაფერი არსებობდა, რადგან კედელზე ქანაანელი ასული იბადებოდა. მხატვრის შუბლზე ოფლის წვეთებმა გამოჟონა. მან ბათქაშზე ფერადოვანი ფენის დადება დაიწყო. ყოველი ტონი ისე უნდა შეერჩია, რომ მონახატის სრული გაშრობის შემდეგ, ზედა ფენასთან ჰარმონიული შეხამებისთვის მიეღწია. ჩირაღდნებს ცეცხლი პირვანდელი სიძლიერით აღარ ეკიდათ და ტაძარში ბინდი ჩამოწვა. მუშაობით კმაყოფილი და ქანცგაცლილი ბექა ნახატს მიაჩერდა. უცებ ხელის შეხება იგრძნო. გვანცას კაბა ჩაეცვა. ელვამ ცა გაკვესა და მხატვარს მოეჩვენა, თითქოს ქანაანელი ასულის სხეული წამიერად ათრთოლდა. ელვას ჭექაქუხილი და კოკისპირული წვიმა მოჰყვა. მალე აღმოსავლეთის სარკმლებში ცა წითლად შეიფერა. ბექამ გვანცა სოფლამდე მიაცილა და უკან გათენებულზე დაბრუნდა. ქანაანელ ასულს ხელოსნები შემოხვეოდნენ. საღებავის ზედა, ძირითადი ფენის დადება ჯერ ადრე იყო. შეკრებილებს, ასულის სხეულის მეტყველი კონტურების უჩვეულოდ დინამიური მოხაზულობა, მისი მინიერება აოცებდათ. ასულს მკლავები, თეძო და მუცლის არე შიშვლად მოუჩანდა, ხოლო მკერდისა და ფეხების თხელი საფარველი სხეულის ხორციელების აღქმას ხელს არ უშლიდა.

ბექა გვანცას ყოველდღიურად ხვდებოდა და მის კანის ფერსა და ნაკვთების სისავსეს გულმოდგინედ აკვირდებოდა, რათა ზედა ფერადოვანი ფენა რაც შეიძლება ბუნებრივი გამოსულიყო. მხატვარს უნდოდა, რომ გვანცასთვის გრძნობაც დაეტყუა და ქანაანელი ასულისთვის გადაეცა, მაგრამ ფრეს-

კის დასრულების დღე რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო გრძნობდა, რომ ამას ვერ შესძლებდა, რადგან ხვდებოდა, სოფლისკენ გვანცას ნახვის სურვილი ენეოდა და ამ გრძნობას სიყვარული ერქვა.

გაზაფხულის იმ ლამაზ დღეს მშენებლები კათალიკოს-პატრიარქის ჩამობრძანებას ელოდნენ. ბექამ და გვანცამ გადანყვიტეს, რომ ჯვარი ტაძრის კურთხევის დღეს დაენერათ.

მახლობელი სოფლებიდან მოსულ მრევლს მრავალი სტუმარი დაემატა და ეკლესია ხალხით გაივსო. ტაძრის კურთხევის შემდეგ ბექამ და გვანცამ ჯვარი დაინერეს და, როდესაც კათალიკოს-პატრიარქი მხატვარს თავზე საქორწილო გვირგვინს ადგამდა, ბექამ ჩრდილოეთის აფსიდისკენ გაიხედა და მოეჩვენა, რომ ქანაანელ ასულს ღანვზე ცრემლი ჩამოუგორდა.





## ასო-გბერთა აყალმაყალის ამბავი

ერთხელ ანბანეთს უხილავმა და ვერაგმა მტერმა – ამპარტავნობამ შემოუტია და პირველობის მოსურნე ასოები ერთმანეთს დაერივნენ. აყალმაყალი კი „მ“-მ ატეხა:

– აბა, ჩამოქვეითდი, ადგილი დამითმე! – ქედმაღლურად უთხრა „მ“-მ. „ა“-ს.

– მე მეუბნები? ნახე, რა ძვირფასი სიტყვები იწყება „ა“-თი: ანგელოზი, ანბანთქება, ალმასი, არწივი, აბრეშუმი, ასფურცელა, ათინათი... – საკუთარი პირველობის დამტკიცებას შეეცადა „ა“.

– ხმა ჩაიწყვიტე! – დაჰყვირა „მ“-მ. – უამრავი ქართული სიტყვაა, „მ“-თი რომ იწყება. თანაც, რა სიტყვები: მზე, მამული, მშობელი, მეფე, მამალი, მუხა, მანდილი, მოძღვარი, მონასტერი, მარანი... ასე რომ, აქედან დაიკარგე! – „მ“-მ „ა“-ს ხელი უბიძგა.

– ერთი აქეთ მოიხედეთ! თვალში ხომ არ გეპატარავებით?!  
– ანბანის ბოლოდან გამოხტა „ხ“. – აი, რა სიტყვები იწყება ჩემით: ხატი, ხალიჩა, ხე, ხეხილი, ხარი, ხავერდი, ხალასი, ხაჭაპური...

– ხინკალი?! – შეჰყვირა „ფ“-მ და ხინკლის ხსენებაზე სულ იფ-იფ-იფ! იძახა.

„ქ“-მ ორი ნაბიჯი წინ წადგა:

– განა არსებობს სხვა ამგვარი სიტყვები: ქართველი, ქვეყანა, ქვევრი, ქორწილი, ქოლგა, ქარავანი, ქონგური, ქრისტიანობა...

– ქრისტე?! – კვლავ „ფ“-მ გამოიძო თავი და პირჯვარი გამოისახა.

ქრისტეს ხსენებაზე ასოები ერთხანს დადუმდნენ. მერე კი „ღ“ მეზობლად მდგარ „ფ“-ს თავზე გადაეწო, „ქ“-ს წინ დაუსკუბდა და სიტყვები ღიღინ-ღიღინით წარმოთქვა:

– ღმერთი, ღვთისმშობელი, ღვინო, ღიღილო, ღრუბელი, ღანვი, ღაბუა, ღირსება...

უცებ ანბანის შუაგულიდან „ს“-მ წამოყო თავი:

– სამშობლო, სალოცავი, სანთელი, სამება, სხივი, სამაია, სიმღერა, სინდისი, სიმართლე, სამოსელი...

ასოები სკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდნენ.

– ჭირხლი, ჭალი, ჭადარი, ჭიაკოკონა, ჭიამაია, ჭანჭური, ჭიკჭიკი... – აჭრიჭინდა „ჭ“.

– ძახველი, ძონეული, ძმადნაფიცი, ძუა, ძილისპირული, ძროხა, ძენა... – „ძ“-მ. „ჭ“-ს ძიძგილაობა დაუწყო.

– ჟოლო, ჟირაფი, ჟინჟვლა, ჟურნალი, – აჟიჟივდა „ჟ“.

– ოჯახი, ორბი, ოქრო, ოკეანე, ოაზისი, ოფოფი, ორნამენტი... – მღელვარებისგან „ო“-ს ცივმა ოფლმა დაასხა.

– გმირი, გვრიტი, გოგრა, გემი, გულაბი, გედი, გოზინაყი, გლობუსი, გუშაგი... – გაგულისდა „გ“.

– „დ“-თი ისეთი სიტყვები იწყება, პირველობას ვერავინ

შემეცილება: დედა, დედამინა, დედასამშობლო, დაბადება, დედმამიშვილობა, დაფნა, დღესასწაული, დიდგორი, დოლი...  
– „დ“-მ დავლური დაუარა.

– ვაზი, ვენახი, ვაჟკაცი, ვარდი, ვარსკვლავი... – „დ“-ს ცეკვით გახალისებულმა „ვ“-მ ვარლალალი-ვარლალო შემოსძახა.

– შვილი, შარავანდი, შველი, შინდი, შურდული, შაშვი, შარაგზა, შროშანი, შანდალი, შუქურა... – აშიშინდა „შ“.

– ეეეეე! – „შ“-ს შეუტია „ე“-მ, – ახლა ჩემი ჯერია: ეკლესია, ერისკაცი, ენძელა, ეჟვანი...

– ჯვარი, ჯაფარა, ჯანლი, ჯეირანი, ჯეჯილი... – სიბრაზისგან „ჯ“-ს სახე დაეჯღანა.

– თაფლი, თიბათვე, თელა, თავანკარა, თავთავი, თივა, თოვლი... – თრთოლვით თქვა „თ“-მ.

უცებ მდუმარედ მჯდარი, რალაცაზე მწარედ ჩაფიქრებული „ჰ“ ნელ-ნელა ფეხზე წამოიმართა, მხრები შეარხია და ჩაახველა.

– ანბანის მაჩანჩალას მოვუსმინოთ! – ირონიულად ჩაიქირქილა „ჩ“-მ.

– დიას, ჩემი ადგილი ანბანის ბოლოშია, მაგრამ განა ეს დასაცინია? – ბოხი, თბილი ხმით დაიწყო „ჰ“-მ. – „ჰ“-ს გარეშე სიტყვები გაუგებარი გახდება: ჰაერი – აერად გადაკეთდება, ჰამაკი – ამაკად, ჰანგი – ანგად, ჰიმნი – იმნად... ასეთივე საჭირო, შეუცვლელი და განუმეორებელია ყოველი ასო. მართალია „ა“ ანბანის პირველი ასოა, მაგრამ მხოლოდ „ა“-თი სიტყვებს ვერ გამოთქვამთ და ვერც დაწერთ. უჩვენოდ „ა“ არაფერს წარმოადგენს.

– სწორია, – დაეთანხმა „ფ“ და ის იყო, ჩამოთვლა ფრესკით უნდა დაეწყო და ფიანდაზით დაესრულებინა, რომ შორიახლოს მდგარმა „ც“-მ შეუბღვირა.

– ერთმანეთის მხარში დგომის გარეშე, როგორც იტყვიან, კაპიკია თითოეული ჩვენგანის ფასი. ქართული ანბანი ჩამო-

ქნილი და სრულყოფილია, თქვენ კი ამპარტავნობამ გძლიათ და კინალამ ეს ღვთიური ჰარმონია დაარღვიეთ.

ასობმა ერთმანეთს დარცხვენით გადახედეს...

მას შემდეგ არც ერთ ასო-ბგერას აზრად აღარ მოსვლია საკუთარი უპირატესობის დამტკიცება და ამიტომაც არის, ქართული ანბანი სილამაზით, სისადავითა და კეთილხმოვანებით ახლაც რომ გვატკბობს.



## დურბინდი

ბავშვობისას, როდესაც ფიცრისაგან გამოთლილი ხმლებით, ქვაბების სახურავებით, პლასტმასისა და თუნუქისაგან დამზადებული იარაღით ვებრძოდით ერთმანეთს, ყველაზე სანატრელი ნივთი ნამდვილი დურბინდი იყო. ოპერის თეატრში, კოლექტიურ დასწრებაზე შეყვანილი მოსწავლეები, მეგარდერობე ქალებისაგან სათეატრო დურბინდებს ვჭირაობდით. ნაირფერად ელვარე ჭალები, ლამაზად მოხატული დარბაზები, სუსტად განათებული ტალანები, ლოყებში შესასვლელი უამრავი კარი, სარდაფებში მოწყობილი გარდერობები, იარუსებზე ასასვლელი მარმარილოს ხვეული კიბეები ჩვენს ფანტაზიას ალაგზნებდა და თეატრის მომსახურე პერსონალი და მასწავლებლები ამოდ ცდილობდნენ აჭრიამულებული ბავშვების დაშოშმინებას. სპექტაკლის დამთავრებამდე არ წყდებოდა სკამების ქრიალი, სიცილი, უადგილო ტაში, რიგებს შორის სიარული, ხმამაღალი გადაძახილი, ხოლო ყველაზე თავზეხელაღებულები იარუსიდან

ქალაღდის მტრედებსაც კი უშვებდნენ. ჩვენს დასაწყნარებლად ამოო მცდელიობით დაღლილი მასწავლებლები მხოლოდ თავსღა აქნევდნენ და უხმოდ გვემუქრებოდნენ. გულწრფელად მეცოდებოდნენ თავმომწონედ მდგარი მომღერლები, ენერგიულად მოძრავი ღირიჭორი და ორმოში ჩამალული მუსიკოსები, რადგან სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის სრული გაუგებრობა სუფევდა. მუსიკოსები ამოო თავგამოდებით ცდილობდნენ ჩვენი სულების გაფაქიზებას, მუსიკის სამყაროსთან ზიარებას.

ძნელია იმ სიხარულის აღწერა, რომელიც საველე ღურბინდის ჩუქებამ გამოიწვია ჩემში. ღურბინდი მამაჩემს სამხედრო ქალაქში მომუშავე ამხანაგმა ვიღაც ოფიცრისაგან აყიღვინა. აივანზე გავედი, ღურბინდში გავიხედე და ორასიოდე მეტრის დაშორებით, ოთხსართულიანი სახლის მესამე სართულის აივანზე ჩემი მეგობარი დავინახე. იგი სადღაც იყურებოდა და ცხვირს გულმოდგინედ იჩიჩქნიდა. ოთახში შევბრუნდი, ყურმილი ავიღე, ნომერი ავკრიფე და სოსოს დავაკვირდი. მის ზურგს უკან, შეღებულ კარში, შუშაბანდის ნაწილი მოჩანდა. იგი ადგილიდან არ იძვროდა. დაბალ მაგიდასთან მეგობრის მამა მივიდა და ყურმილი აიღო.

– გისმენთ! – თქვა მან.

სოსო კვლავ ცხვირის ჩიჩქნას განაგრძობდა.

– გამარჯობათ, შალვა ძია, მე აკაკი ვარ.

– გამარჯობა აკაკი.

– თუ შეიძლება, სოსოს დაუძახეთ.

– ახლავე!

გამეხარდა, რომ შალვა ძიამ სოსოს სახლში ყოფნა არ დამიმაღა. აივანზე მდგარმა მეგობარმა ცხვირის ჩიჩქნას თავი ანება და შუშაბანდში შევიღა.

– ალო!

– სოსო, გინდა გითხრა წელან რას აკეთებდი?

– რას?

– აივანზე იდექი და ცხვირს იჩიჩქნიდი.

მაგიდაზე ჩამოჯდა და მცირე ხნის შემდეგ მიპასუხა:

- ცხვირს არა!..
  - აივანზე იდექი და მარჯვენა ხელით იჩიჩქნიდი.
  - რას მიჰქარავ! – ხმა გაულიზიანდა და ხელი კვლავ ცხვირისკენ წაიღო.
  - დურბინდით დაგინახე.
  - რა დურბინდით?
  - ნამდვილი, დიდი სამხედრო დურბინდით. ისე ახლოს ჩანხარ, რო ნახო, გაგიჟდები.
  - სოსომ ნესტოში გაჩხირული თითი იმავე წამს გამოიღო.
  - სამხედრო დურბინდი? – მის ხმაში გალიზიანება ცნობის-მოყვარეობამ შეცვალა.
  - ხო, ნამდვილი!
  - აბა, დედა დაიფიცე!
  - დედას გეფიცები!
  - ახლავე მოვალ!
  - გელოდები.
- აქოშინებული სოსო დურბინდს მონუსხული დააცქერდა. მერე აივანზე გავედით. იგი სიმკვეთრის გასასწორებელ რგოლებს აღლევებით ატრიალებს, მერე წელში იხრება, მკლავებს რკინის აივნის მოაჯირზე აბჯენს, რალაცას დაძაბულად შესცქერის და ხმას არ იღებს. სიჩუმე დიდხანს გრძელდება.
- რას უყურებ? – ვკითხე.
  - სოსო დუმს.
  - რა დაინახე? – ვეუბნები ხმამაღლა და გაბრაზებით.
  - სანოლზე გოგო წევს, ფეხი ფეხზე აქვს შემოდებული და წიგნს კითხულობს, – ისე მპასუხობს, დურბინდს სახიდან არ იცილებს.
  - გამახედე! – ხელი დურბინდისაკენ მიმაქვს.
  - სოსო უხალისოდ სწორდება წელში.
  - სად დაინახე? – ვეკითხები.
  - აგურის სახლში. მეორე სართულის გამოღებულ ფანჯარაში.
- დურბინდში ვიხედები. კედელს მიფრენილი ბელურა აგურის

ჩამონაშალს კენკავს. დურბინდმა რომ არ იმოძრაოს სუნთქვას ვიკავებ. სანოლზე მართლაც გოგო წევს. მას ცალი ფეხი მოხრილი აქვს, მეორე ზედ გადაუდვია და აჭიმული ცისფერი კაბიდან ბარძაყები მოუჩანს. იგი წიგნს მკერდზე იდებს, მკლავებს გარდგარდმო შლის და მომხიბვლელად იზმორება.

– აღარ კითხულობს, – ვთქვი მე.

სოსო დურბინდს მართმევს.

– სანოლიდან ადგა... ოთახიდან გავიდა, – ამბობს იგი.

– ვინ არის?

– არ ვიცი.

– არც მე.

მცირე ხნით ვდუმვართ.

– აგურის სახლთან დიდი ეზოა და შეიძლება გარეთ გამოვიდეს, – ვამბობ მე.

– ნავიდეო!

ერთხანს დურბინდით ცარიელ ოთახს ვაკვირდები და მერე კიბეზე ჩავრბივართ.

საღამოს ნიავს სასიამოვნო სიგრილე მოჰქონდა და ხალხი ეზოში გამოშლილიყო. მავთულის ბადეებით შემოლობილ ადგილას ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ; პატარა ბავშვები მიწას ჩიჩქნიდნენ; მამაკაცები თუნუქის მაგიდას დომინოს ქვებს უჭახუნებდნენ. გოგონების ერთ ჯგუფს წრე შეეკრათ და ბურთაობდნენ, ხოლო მეორე ჯგუფს, რომელნიც ასეთ გართობას უკვე შეუფერებლად მიიჩნევდნენ, ხის გრძელ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და საუბრობდნენ. მოხუცები ყოველივეს დამკვირვებლის თვალით უმზერდნენ.

– შეხედე, ის არის! – აღელვებით თქვა სოსომ და ხელი აგურის სახლის სადარბაზოსაკენ გაიშვირა.

სადარბაზოსთან მართლაც ის გოგო იდგა. ცისფერი კაბა ფეხებს ახლა მუხლებამდე უფარავდა. ძალიან ლამაზი იყო. იგი ხის სკამზე ჩამომსხდარი თანატოლებისაკენ გაემართა. რამდენიმე ბიჭმა ფეხბურთის თამაშს თავი ანება და მობურთავე გოგონების წრე კიდევ უფრო გაიზარდა.



– წამოდი, ვითამაშოთ, – თქვა სოსომ.

– არ მინდა, აქ ვიქნები.

– კარგი, მალე მოვალ, არსად წახვიდე! – იგი თამაშში ყოველგვარი მორიდების გარეშე ჩაება.

ბიჭები თავგამოდებით, განსაკუთრებული ჟინით მოქმედებდნენ და დროდადრო ცისფერკაბიანისაკენ იხედებოდნენ, წრეში ჩაცუცქულებს არ ზოგავდნენ და ბურთს მთელი ძალით ესროდნენ. უეცრად ცისფერკაბიანი წამოდგა, გოგონებს დაემშვიდობა და სადარბაზოში ფერიასავით გაუჩინარდა. მოთამაშეთა თავგამოდება უმალ ჩაცხრა. ბიჭებმა კვლავ მავთულის ბადით შემოღობილი ადგილისაკენ გადაინაცვლეს. სოსო აქომინებული მომიახლოვდა.

– ლელა ჰქვია, ახალი გადმოსულია, – მან სული მოითქვა, – შენთან ავიდეთ, იმ ოთახში შევა.

აივნიდან ოთახს დიდხანს ვზვერავდით, მაგრამ ლელა აღარ გამოჩენილა. გულში მიხაროდა, სოსო წავა და ლელას მარტო ვუყურებ-მეთქი. იმდენი ქნა, სანამ მთლად არ ჩამოხნელდა და დედაჩემმა აივნიდან არ გაგვრეკა.

მომდევნო დღიდან მოყოლებული, უბნის ბიჭები გამალეზებით დამეძებდნენ და დურბინდში გახედვას მთხოვდნენ. საძილე ოთახში, კედელზე ლურსმანი მივაჭედე და დურბინდი დავკიდე, რათა სანატრელი ნივთისათვის წამოწოლილს მეცქირა და ათას რამეზე მეოცნება. რამდენიმე დღეში დურბინდისადმი ინტერესი მინელდა. თუმცა ვგრძნობდი, თანატოლები კვლავ შურით მიმზერდნენ. რას იზამ, ასეთი დურბინდი ყველა ბიჭის ნატურაა. სოსო სახლში მაკითხავდა და თავისუფალ დროს აივანზე ატარებდა. რაც მთავარია, მას დურბინდი აღარ აინტერესებდა. სოსოს მიზანი ლელას მოშიშვლებული ფეხების დანახვა იყო. ლელა მეთე კლაშის სწავლობდა და სამი წლით უფროს გოგონასთან დალაპარაკება და დაახლოება წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. სამაგიეროდ, ოცნებას ვერავინ დამიშლიდა და ფიქრებში მასთან ერთად სად აღარ დავეხეტებოდი, ათას საგმირო საქმეს ჩავდიოდი. სოსოს უდიერი მცდელობანი ჩემთ-

ვის აუტანელი ხდებოდა. ისიც მალიზიანებდა, რომ ძვირფასი ოთახი მისი აღმოჩენილი იყო. ამის გამო იგი გარკვეულ უპირატესობას გრძნობდა. მისი უმსგავსი ზრახვანი ლელას შეურაცხყოფდა და ჩემთვისაც, წარმოსახვაში უამრავი გმირობის ჩამდენისთვისაც ძლიერ დამამცირებელი იყო. ასე დიდხანს ველარ გაგრძელდებოდა, მისთვის რამენაირად ხელი უნდა შემეშალა. დურბინდის თხოვებაზე უარს ვერ ვეტყოდი, ჩემს განცდებს ვერავინ მიხვდებოდა და ამ ფაქტს უბნის ბიჭებში სხვანაირი შეფასება მიეცემოდა. სახლში შემოსვლასაც ვერ ავუკრძალავდი. არც ის მაძლევდა ხელს, რომ იდუმალი გრძნობები სოსოსთვის გულახდილად გადამეშალა, დამცინებდა და სხვების დასაცინსაც გამხდოდა. აზრი, რომელიც ჩემში დაიბადა, სოსოს უხამს საქციელს ბოლოს მოუღებდა, მაგრამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა მიჭირდა.

იმ დღეს, დურბინდი კისერზე თასმით არ ჩამომიკიდა. ნელში მოხრილი ვიდექი, მკლავები რკინის აივნის მოაჯირზე მქონდა დაბჯენილი, გული გამალეებით მიცემდა და ხელები მიცახცახებდა. გვერდით სოსო მედგა და თავის ჯერს ელოდა. ძირს ჩაშვებული თასმა ნელა ქანაობდა.

– გამახედე, – თქვა სოსომ და მხარზე შემეხო.

ნელში გასწორებისას დურბინდს თითები გაფუშვი. იმავე წამს ქვემოდან მსხვრევის ხმა მოისმა.

– გაგიჟდი?! – შეჰყვირა სოსომ.

– მეგონა, ჩამოკიდებული მქონდა, – ვთქვი მე.

სოსო აივნიდან გავარდა. გაუნძრევლად ვიდექი. ვისაც სანატრელი ნივთის დაკარგვით გამოწვეული სინანული არ განუცდიდა, ჩემს შინაგან მდგომარეობას ვერ გაიგებს. მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი, რადგან სოსო, რომელიც დურბინდის ნამსხვრევებთან იდგა, ლელას ველარ შეურაცხყოფდა და ჩემი ოცნებებიც კვლავ ფრთებს შეისხამდა.



## ქნელი ყოფილა მწერლობა

მესამე კლასში გადავედი, უკვე კარგად ვწერ და ვკითხულობ. მამაჩემი მწერალია, მთელი დღე წერს. ის წერს, მე კი ვთამაშობ, ვმღერი, ხან მის ოთახში შევირბენ და რაღაცას ვეკითხები. მამა მიბრაზდება, მთხოვს არ ვიხმაურო. მიყვირის კიდევ. ერთხელ მითხრა:

– სოფო, შენც დაწერე.

– რა დაწერო? – გავიკვირვე.

– ზღაპარი, მოთხრობა, ლექსი, რაც გინდა.

– რაზე დაწერო?

– რამაც გაგახარა ან გული დაგწყვიტა. შეიძლება რაღაც მოიგონო. აი, ვითომ ფისომ დაბადების დღეზე თავუნას საჩუქრად თხილის გული მიართვა...

– მერე?

– მე თუ განვაგრძე, ჩემი დაწერილი გამოვა.

ერთხელ საბავშვო ბაღში მივდიოდი. დედამ მკითხა:

– ცხვირსახოცი გაქვს?

– ორი ცალი მაქვს, ერთი ცხვირისთვის და ერთი ცრემლ-  
ლებისთვის.

მამამ კარადიდან ჩამომსვა. მე ბებიას ვუთხარი:

– მამამ ჩამომანვეთა.

მამამ ინდაურთან მიმიყვანა. ავტირდი:

– ინდაური არ მიყვარს, მარინე დეიდა მიყვარს, ბუმბულები  
არა აქვს.

მამას ძალიან მოეწონა ჩემი გამოთქმები: „ზღვა ფართხა-  
ლებს“, „ქარი სარეცხს აცეკვებს“.

ადვილი ყოფილა მწერლობა. ფურცელი და ფანქარი მოვი-  
მარჯვე. მამა შემოვიდა, შედგა, შემომხედა:

– რას აკეთებ?

– ვწერ.

– რას წერ?

– დავწერ და მერე წაგაკითხებ.

გაილიმა და გავიდა. მალევე შემობრუნდა, კარადის კარი  
ხმაურით გამოაღო, რაღაც დააბრაზუნა. აზრები გამეფანტა.

– მამა, გთხოვ, ხელს ნუ მიშლი.

ის კი ვითომც არაფერი, კვლავ თავისას განაგრძობს, სიმ-  
ღერაც შემოსძახა. ეტყობა, სამაგიეროს მიხდის.

– მამა, ველარ ვწერ.

თავზე ხელი გადამისვა და გავიდა.

დავფიქრდი და დავწერე:

„ბებიამ და ბაბუამ თხილი დაარჩიეს. დანწინენ. დაღლილ ბე-  
ბიას ძილში ჩხაკუნი ჩაესმოდა და ფიქრობდა, ნეტავ, რა ხმაუ-  
რობსო. უცებ გაახსენდა, რომ თხილით სავსე კალათა იატაკზე  
დარჩა. ადგა, სინათლე აანთო და რას ხედავს – თავუნა თხილს  
სოროში მიაგორებს. ბებიამ კალათა შეინახა. მსუნაგი თავუნა

კვლავ გამოცუნცულდა, მაგრამ თხილის ნაცვლად სათაგური დახვდა და გაეზა“.

მგონი, რალაც გამომივიდა. კიდევ დავწერ და მამას წავაკითხებ.

„დათუნის ტყის პირა ბილიკზე მსუქანი ბიჭუნა შემოხვდა. ბიჭს შოკოლადი ჩაებლუჯა და გემრიელად ილუკმებოდა.

– მაჭამე, რა? – შეეხვეწა ბელი.

– თავი დამანებე, შენმა დედიკომ გიყიდოს, – უთხრა ბიჭმა და შოკოლადი ჯიბეში ჩაიდო.

– დედა არა მყავს, – ბელს თვალზე ცრემლი მოადგა“...

დათუნია შემეცოდა. მერე თვალწინ სათაგურში გაბმული თავი დამიდგა. წარმოვიდგინე, სოროში პანანინა წრუნუნები როგორ მოუთმენლად ელოდნენ და ავტირდი.

ოთახში დედამ და მამამ შემოირბინეს. მამამ ხელში ამიტაცა და გულში ჩამიკრა.

სული მოვითქვი და ავლულულდი:

– სათაგურში გამომწყვდეულ თავუნას პანია წრუნუნები ელოდებიან. დათუნის დედა არა ჰყავს, ღორმუცელა ბიჭი კი შოკოლადს არ აჭმევს...

– სად წაიკითხე? – მამამ ხელის ზურგით ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი შემიმშრალა.

– კი არ წავიკითხე, დავწერე.

– მართლა?

– მაგიდაზე დევს.

– მერე რა გატირებს? ამბავი შენი მოგონილია და როგორც გინდა, ისე დაამთავრე, – მაგიდასთან დამსვა. – დაწყნარდი და დაწერე, მერე კი ერთად წავიკითხოთ.

– კარგი, – ფანქარი ავიღე.

სალამოს ჩემს გამოგონილ ამბებზე ბევრი ვიცინეთ: ღამით, ბერიკაცმა სათაგურს ფეხი წამოჰკრა, კარი გაიღო და თავუნა შვილებთან გაიქცა; ბუთხუზა ბიჭს ბილიკი აერია და უღრანი ტყიდან დათუნამ გამოიყვანა; ბიჭი მშობლების ნაყიდ შოკოლადს პირს არ აკარებდა, ბელთან მიჰქონდა. დათუნია გას-

უქდა, ბიჭი კი გახდა. სიგამხდრე ძალიან მოუხდა.

– აი, ყოჩაღ, – მითხრა მამამ.

დედამაც შემაქო.

ხაფანგში გაბმული თავუნა და დათვის ბელი ისევ შემე-  
ბრალენ. მართალია, ამბავი კარგად დავამთავრე, მაგრამ  
სინამდვილეში ბერიკაცი ხაფანგს ფეხს წამოჰკრავდა? ანდა  
ლორმეცელა ბიჭი შოკოლადს ბელს წაუღებდა? მოვინყინე.  
მერე მამა გამახსენდა და ძალიან შემეცოდა. საწერ მაგიდას-  
თან მჯდარი, თავის მოგონილ ამბებზე, ალბათ, ჩუმად ტირის  
ხოლმე.

ძნელი ყოფილა მწერლობა.



## ჯვარზე გაკრული მზის ამბავი

17 მარტის მოღრუბლული დილა გათენდა. უსიამოდ ჟინ-ჟლავდა. გალაკტიონი სახლიდან გამოვიდა, ხელნაწერებით გაძეძგილი შავი, უზარმაზარი პორთფელი აკაცის ხესთან დადო, ღრუბლებს ახედა, ხელი წვერზე დაისვა და წუხანდელი სიზმარი გაახსენდა: ქალაქში ხეტიალისას უცებ მინდორში აღმოჩნდა და ეკალბარდში ჩავარდნილ ზარს გადააწყდა. მზერა მთას ააყოლა, მწვერვალზე წამომართული ტაძარი დაინახა და ეკალბარდში შეაბიჯა. მთელი სხეული დაეკანრა, თეთრ პერანგზე სისხლის ლაქებმა გამოჟონა, მაგრამ მაინც წინ მიიწევედა. როგორც იქნა, ზარს მიეახლა, დაიხარა, ხელი მოხვია, გაჭირვებით ასწია და მთის ფერდობს მძიმედ აუყვა. ბილიკი ხან ხრიოკზე და ხან ხეებს შორის მიიკლაკნებოდა... ქანცმილეულმა მიაღწია მწვერვალს. ოფლი ღვარად სდიოდა, გადატყაული მუხლები დასისხლიანებოდა. უცებ ანგელოზები მოფრინდნენ და ზარი სამრეკლოზე ციმციმ აიტანეს. მერე ფრთები დაიქნიეს და

ზარმაც ხმა გაიღო. ანგელოზების ფრთებიდან მონაბერი ქარი გალაკტიონს წვერს უწუნავდა და ერთი გამოუთქმელ ნეტარებას განიცდიდა. გუმბათის ჯვარზე ნითელი მზე წამოიშარდა. პოეტმა თანაგრძნობით შეჰყვირა:

– ეჰე, ჰეიიი! ჯვარზე გაკრულო მზეეეე!

\* \* \*

გალაკტიონმა შავი ფეტრის ქუდი შეისწორა და ვერის ხიდს გაუყვა. ხიდის ბოლოს შედგა, პორთფელი ტროტუარზე მიაგდო, პალტო შეიხსნა, მკერდი გაიღელა, ცივი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ხელი მოაჯირს ჩაავლო და მდინარეს ჩახედა. გამვლელები გაოცებით შესცქეროდნენ მოაჯირთან გაქვავებულ პოეტს, რომელიც მდინარეს თვალს არ აცილებდა. გალაკტიონი კი ვულკანივით დუღდა, – მდინარეში პოეზიის სულის აჩრდილი დალანდა, რომელსაც მთელი ცხოვრება დაეძებდა, მაგრამ ვერა და ვერ მოეხელთებინა. არადა, ყველგან პოეზიის სული ელანდებოდა, – ცაში, მიწაზე, წყალში, ქარში, ცეცხლსა თუ მზის ელვარებაში, მაგრამ ვერ პოულობდა და ბორგავდა. პოეზიის სულს გამოდევნებულს ადამიანებთან ხანგრძლივად ყოფნა, მშვიდი საუბარი არ შეეძლო.

გალაკტიონი მოაჯირს მოსცილდა, წელში გაიმართა, ხიდი ჩქარი ნაბიჯით გადაიარა და ელბაქიდის აღმართს აუყვა.

პოეტმა პალტოს ჯიბეები მოიჩხრიკა, პაპიროსის კოლოფი მოძებნა, გახსნა, ერთი ღერი ამოიღო და კბილით გაღეჭა. ახლადა გაახსენდა, რომ პორთფელი ხიდზე დარჩა. ოციოდე წლის წინ ლექსები დაკარგა და 1940 წლის 4 თებერვლის კალენდრის ფურცელზე მიაწერა: „ყველა დღეზე უფრო საშინელი დღე: დავკარგე პორთფელი ლექსებით“.

გალაკტიონი შებრუნდა, დაღმართს აჩქარებით დაუყვა, მოაჯირთან მიგდებულ პორტფელს რომ მოჰკრა თვალი, ნაბიჯი შეანელა, ღრმად ამოისუნთქა და პაპიროსს მოუკიდა... წარმოსახვა პოეზიის სულს ათასნაირად ხატავდა. ის ხან ცისფერთ-



ვალა, ულამაზესი ქალწულის სახეს იღებდა, ხან – ფაფარაშლილი ცხენისას, ხან – რქებიანი დემონისას, ხანაც – ზღაპრული ფრინველისას, თუმცა კონკრეტულ სახეს ვერ უძებნიდა, რასაც წონასწორობიდან გამოჰყავდა იგი, – ლელავდა, ადგილს ვერ პოულობდა... გულზე სიმძიმე დააწვა, ტკივილიც იგრძნო და სანახევროდ მონეული პაპიროსი მტკვარში მოისროლა.

– ნუთუ ჩემი მარადი მეგობარი – სიკვდილი – ისე მენწვევა, რომ პოეზიის სულის ნახვას ვერ ვეღირსები? – წაიბუტბუტა გალაკტიონმა და შავ პორთფელს დასწვდა: – ბატონო გალაკტიონ, წავიდეთ სახლში!

პირველი საათისათვის ძმისშვილმა ნაცნობ საავადმყოფოში მიაცილა, სადაც არაერთხელ უმკურნალია ნერვულ განყოფილებაში. პალატები დაკავებული იყო და ვიდრე ორსაწოლიან პალატაში მესამე საწოლს დაამატებდნენ გალაკტიონი მთავარი ექიმის მისაღების სავარძელში იჯდა. ძალიან ნუხდა, რადგან შალვა დადიანის დასაფლავებას ვერ ესწრებოდა. გალაკტიონი გასინჯეს. დამლაგებელმა ტანსაცმელი შეუცვალა და მეოთხე სართულის მეხუთე პალატამდე მიაცილა. პალატაში დიდხანს არ გაჩერებულა, დერეფანში ეწეოდა, ბოლთას სცემდა და წარამარა ფანჯარაში იყურებოდა. პალატაში რა გააძლებინებდა, როდესაც პოეზიის სული უხმობდა.

გალაკტიონი აივნის კართან მივიდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– რისთვის დუმს, რისთვის არ ხმაურობს, რისთვის არ აინყვეტს ყოველდღიურობის საშინელებით განწამებული კაცის გონება?!

– ბატონო გალაკტიონ, აივანი სველია და გასვლა არ ღირს. თუ გნებავთ, კარს გავაღებ და აქვე დაბრძანდით, – თავაზიანად უთხრა ექთანმა.

– აივანი ნამდვილად სველია, გასვლა მართლაც არ ღირს, – დანანებით თქვა პოეტმა და დერეფანს გაუყვა.

საცაა დალამდებოდა.

– ბატონო გალაკტიონ, პალატაში დაბრუნდით, დაისვენეთ,

– ურჩია სანიტარმა ქალმა და ცოცხისა და აქანდაზის შესანახად სააბაზანოში შევიდა.

გალაკტიონმა „რეკორდის“ კოლოფი გახსნა, ერთი ღერი ამოიღო, ნერვული განყოფილების გამგის კაბინეტში შევიდა და მოუკიდა (კაბინეტს არ კეტავდნენ, რადგან იქ ავადმყოფობის ისტორიები ინახებოდა).

ვინ აღარ ცდილა პოეზიისთვის რალაც კონტურები მოეხაზა, ყველასთვის მისაღები განმარტება თუ შედარება გამოეთქვა, მაგრამ, როდესაც ნაღდ პოეზიას პირისპირ შეეყრები, ყველა ეს შედარება თუ მეცნიერული ტრაქტატი უმალ ქრება და პოეზიის მხოლოდ შენეული ხატება დაგიდგება თვალწინ. გალაკტიონს სწამდა, რომ პოეზიას ჩარჩოში ვერავინ მოაქცევდა, რადგან ნამდვილი პოეზია მინდორში მონავარდე ქარივით ანცი და თავისუფალია.

– პოეზია სამუდამო გამოცანაა! – დაბეჯითებით ჩაილაპარაკა გალაკტიონმა.

ოთახი მზის სხივებმა გაანათა. პოეტი ფანჯარას მივარდა. გუმბათის ჯვარზე გაკრულ მზეს ღრუბლებისგან თავი დაეღწინა. გალაკტიონმა ფანჯარა გამოაღო და მზეს შესძახა:

– ეჭეე, ეჭეჭეეიი, მზეო! გაგტანჯეთ, მზეო, გაგტანჯეთ! ადამიანთა ცოდვების ყურებას ველარ გაუძელი და ჯვარზე გაკრული ჩვენს ნაცვლად ეწამები! საბრალო მზეო!

პოეტმა მზის სხივებს ხელისგულები შეაგება, ერთხანს ასე იდგა, მერე თავი დახარა, ხელისგულებში მოქცეული მზის სხივები დაკოცნა, ცას გახედა და შეჰყვირა:

– მიხსენი, პოეზიავ, გვეედრები!..

გალაკტიონი მოულოდნელობისგან გახევედა, – ღრუბლებში პოეზიის სული ლივლივებდა. ნაცრისფერ ნისლში გახვეულმა პოეზიის სულმა გალაკტიონს ხელი გამოუწოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. პოეტმა საავადმყოფოს ხალათი ზიზლით გაიძრო, სკამს წაეპოტინა, ფანჯრის რაფაზე ავიდა და გამონვდილი ხელისკენ აცურდა. ხელს ვერ მისწვდა, თუმცა თითებით გამჭვირვალე სამოსელს ჩაეჭიდა, მოეხვია, მუხლე-

ბი დაუკოცნა... ქარმა დაბერა, ნისლი ნელ-ნელა გაიფანტა და პოეზიის სულის სახეზე გალაკტიონის ნაკვეთები და თვალები გამოიკვეთა. გაოგნებულმა პოეტმა მკლავები მოწყვეტით ჩამოყარა და მიწისკენ ტყვიასავით ჩაქანდა. მერე ზარის რეკვის ხმა ჩაესმა, – მზეს დაუნყო ძებნა და, სანამ მარადისობის ვარდისფერ გვირაბში ჩაინთქმებოდა, ტაძრის გუმბათის ჯვარზე საკუთარ სილუეტს მოჰკრა თვალი.

– მზე გათავისუფლდა, მზე გათავისუფლდა, მზე გათავისუფლდა! რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, გალაკტიონ! – შვებით აღმოხდა პოეტს.



## ფრთამოტახილი ანგელოზის ამაჯავი

ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში, ქრისტეშობის წინა ღამეს, ქრისტეს სადიდებლად, ალილოს აღარ მღეროდნენ, ეკლესია-მონასტრებშიც დუმილი და სიცარიელე გამეფებულიყო. ადამიანებს ღმერთისთვის ზურგი ექციათ და სული ეშმაკისთვის მიეყიდათ.

ნიკოს ღამფა აენტო და ხატავდა.

სოფლის გორაკზე მდგარ ტაძარს მთვარე მკრთალად ანათებდა. უცებ ციდან მოციმციმე, ფრთიანი არსებები დაეშვნენ და გუმბათს შემოერტყნენ. მერე სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ. ერთმა ანგელოზმა თეთრი ფრთები ნიკოს სახლის სარკმელთან დაუშვა და ოთახში შეიხედა. მხატვარი ზურგით იდგა.

ნიკოს სახლს რამდენიმე კაცი ქურდულად უახლოვდებოდა. მათ ხელში ქვეები ეჭირათ და შობის ღამეს ღვთის ანგელოზებზე ნადირობდნენ. სარკმელთან მდგარ ანგელოზს ოქროსფერკუ-

ლულებიანი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. წამით ნიკო პალიტრი-სკენ დაიხარა, სარკმელთან მდგარმა ანგელოზმა მუშამბაზე გამოსახული ანგელოზი დაინახა და გაელიმა. მერე კვნესა აღ-მოხდა, თვალები მილულა და გონწასული მინაზე მიესვენა. სხვა ქვამ სარკმლის მინა ჩაამსხვრია... ნიკომ ფუნჯი პალიტრაზე დააგდო, სარკმელთან შედგა და მინაზე გაშლილ ოქროსფერ კულულებსა და ქათქათა ფრთას ჰკიდა თვალი. ანგელოზებზე მონადირენი მიიმალნენ. ნიკო ეზოში გავიდა და გულწა-სულთან ჩაიმუხლა. ანგელოზი მთლად ბავშვი იყო და სახეზე ვარდისფერი გადაჰკრავდა. მხატვარმა ცალი ხელი ფრთებქვეშ ფრთხილად შეუცურა, მეორე ხელი მუხლებთან ამოსდო, ნელში გაიმართა, სახლში შევიდა და ანგელოზი ტახტზე დაანვინა. მხარში მოხვედრილ ქვას ფრთა მოეტეხა. ნიკომ ტილოს თეთრი პირსახოცი წვრილად დახია, ფრთა გადანატეხ ადგილას გაუს-ნორა და მაგრად შეუკრა. ანგელოზმა დაიკვნესა, თვალი გაახ-ილა. მხატვარმა ცისფერ ტბებში ჩაიხედა და მშვიდად უთხრა:

– ნუ გეშინია!

ანგელოზმა მუშამბას შეხედა და დამშვიდდა. კომოდზე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები ესვენა. მუშამბაზე გამოსახულ ანგელოზსაც ოქროსფერი კულულები და დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა.

– ფრთა შეგიხვიე.

– ველარ გავფრინდები, – სასონარკვეთით თქვა ანგელოზ-მა, – მომკლავენ...

– არ მიგატოვებ!

ნიკომ ალილო წამოიწყო, ანგელოზიც აჰყვა. მხატვარმა ჭიქაში წითელი ღვინო ჩამოასხა, უფლის სადიდებელი თქვა და ჭიქა ანგელოზს გაუნოდა. ანგელოზმა ერთი ყლუპი მოსვა და უმალ ჩაეძინა.

ინათა. გორაკზე ტაძარი გამოიკვეთა. ნიკოს სახლს ორი კაცი მიადგა.

– გამოდი, საქმე გვაქვს! – გაისმა ღობის გადაღმიდან.

ნიკომ ანგელოზს შემკრთალ, ცისფერ თვალებში ჩაიხედა,

ოქროსფერ კულულებზე მიეფერა, კედლიდან თოფი ჩამოსხნა და ეზოში გავიდა.

– რა გინდათ?!

– კარგად იცი, რაც გვინდა!

– ნადით!

– ანგელოზი მოგვეცი!

– არა!

– სოფელს ნუ დაუპირისპირდება!

– სოფელი შეიშალა! ღმერთი აღარა გნამთ! ნადით! – მხატვარმა თოფი გადატენა.

– კარგად დაფიქრდი, მალე დავბრუნდებით! – კაცები ლობეს გასცილდნენ.

ნიკო სახლში შებრუნდა, თოფი კართან მიაყუდა, ანგელოზს მიეახლა და ცრემლჩამდგარ თვალებში ჩახედა.

– ჩვენი გამოჩენით ადამიანებს ღმერთის რწმენა გვინდა დავუბრუნოთ, – თქვა ანგელოზმა.

– მჯერა, ნახატს გავაცოცხლებ, – ნიკო პალიტრას დასწვდა, ფუნჯი მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა,

მოსალამოვდა. ის იყო ნიკომ ნახატი დაასრულა, რომ ჩოჩქოლი და შეძახილები გაისმა. მხატვარმა ცალი ხელით ანგელოზი გულზე მიიხუტა, მეორე ხელით თოფი ჩაბლუჯა და გარეთ გავიდა. აღელვებულმა ბრბომ კარი შემოანგრია და ეზოში შემოვარდა. თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო, ქვები და ჯოხები ეჭირათ. ახალგაზრდამ, ბრბოს რომ მოთავეობდა, მბრძანებლურად თქვა:

– ანგელოზი მოგვეცი!

ნიკოს მკერდზე მიხუტებულ ანგელოზს მხატვრისთვის კისერზე ხელები შემოეჭდო.

– ანგელოზებს უბედურება მოაქვთ! მოგვეცი, თორემ შენც ჩაგქოლავთ!

ბინდმა კიდევ უფრო იძალა.


– უფლებას არ მოგცემთ ანგელოზს უწმინდური ხელებით შეეხოთ! – ნიკომ თოფი შემართა.

– ანგელოზი მოგვეცი! ანგელოზი მოგვეცი! – იღრიალა ბრ-  
ბომ და ქვებმომარჯვებულები მხატვრისკენ დაიძრნენ.

ნიკო შეშინებული ანგელოზის თრთოლას მთელი სხეუ-  
ლით გრძნობდა. მხატვარმა თოფი ჰაერში ისროლა. ცოდვილ-  
ნი წამით შედგნენ. ნიკო შეტრიალდა და გორაკზე წამომარ-  
თული ტაძრისკენ გაიქცა. ბრბო ღრიალით დაედევნა. ნიკოს  
ფერდობზე არბენა გაუჭირდა. უცებ ქვა ზურგში მოხვდა, მერე  
კიდევ. ქვებს წვიმასავით უშენდნენ... ტაძარი სულ ახლოს იყო.  
ნიკომ ანგელოზს ოქროსფერკულულებიან თავზე ლოყა დაადო,  
უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ნაბიჯს აუჩქარა. რამდენიმე  
ქვა ფეხებსა და ბეჭებში მოხვდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ  
აქცევდა. მთავარია, ბრბოსთვის ტაძარში შეესწრო, – დარწ-  
მუნებული იყო, შესვლას ვერ გაბედავდნენ. მთლად ჩამოლამდა.  
ნიკო ტაძარში შევიდა და ძალაგამოცლილი კედელს მიეყრდნო.  
სიბნელეს ანგელოზის ოქროსფერკულულებიანი თმა ოდნავ  
ფანტავდა. ბრბო ტაძარში შესვლას უფრთხოდა.

– კარი ამოვქოლოთ! – თქვა ვიღაცამ.

ცოდვილნი ნელ-ნელა ტაძრისკენ დაიძრნენ. უცებ გუმბ-  
ათის სარკმლებიდან თბილ სხივებად გადმოიღვარა მძლავრი  
ნათება. ბრბო შედგა. ციდან ანგელოზები დაეშვნენ და გუმ-  
ბათს შემოერტყნენ. მერე ვარსკვლავები ამოძრავდნენ და  
ცაზე მაცხოვარი, იესო ქრისტე, ძე უფლისა გამოისახა. იე-  
სომ ქვეყნიერებას პირჯვარი გადასახა. ეკლის გვირგვინიდან  
სისხლის წვეთებმა იწყო ცვენა, მიწაზე შეხებისას ხან ანთე-  
ბულ სანთლად რომ იქცეოდა, ხანაც – ბატკნად თუ მტრედად.  
ტაძრის კარში მკერდზე ანგელოზმიხუტებული მხატვარი გა-  
მოჩნდა. ვიღაცამ ქრისტეს სადიდებლად ალილო წამოიწყო. ან-  
გელოზმა ნელა გაშალა ფრთები და ანგელოზთა დასთან ერთად  
მაცხოვრისაკენ აცურდა.



## მსუნაბი

პაატა მეშვიდე კლასში სწავლობს. მეორე დღეა უმიზეზოდ აცდენს გაკვეთილებს და სახლის ეზოში თავისთვის ერთობა. უეცრად მან ქრთულის მასწავლებელი და რამდენიმე კლასელი დაინახა. ბიჭს ფერი ეცვალა, ხვეული კიბით მეორე სართულის აივანზე აირბინა, შინ შევარდა და კარი ჩარაზა. პაატამ ოთახს აფორიაქებული მზერა მოავლო, მეტი საიმედოობისათვის მაგიდის ქვეშ შეძვრა და სმენა დაძაბა.

– პაატა! – ეზოდან გიას ძახილი მოისმა.

– პაატა, პაატა! – სხვა ბავშვების ხმებიც გაარჩია მაგიდის ქვეშ განაბულმა ბიჭმა.

– აივნიდან ავიდეთ! – განკარგულება გასცა მასწავლებელმა.

კიბის საფეხურებზე ნაბიჯების ხმა გაისმა.

„რას მოდიან, კარს მაინც არ გავაღებ, – გაბრაზებით გაიფიქრა პაატამ, – ხვალ სკოლაში მივალ და ვიტყვი: ბებია



ცუდად გახდა და დედამ სოფელში წამიყვანა-მეთქი“.

ოთახის კარზე დააკაკუნეს.

– პაატა, ვიცით, რომ სახლში ხარ. რატომ იმალები?! – ხმა-  
მალა გაიძახის გამხდარი და აწონილი გოგო, თან ფანჯარაში  
იჭყიტება და ოთახის დათვალიერებას ცდილობს. უცებ გოგო-  
წამ ამხანაგებს დაუძახა და თითოთ რალაც დაანახვა.

– იქნებ სახლში არ არის? – იკითხა მასწავლებელმა.

– ალბათ არ არის, – ნათქვამი დაადასტურა სახედაჭორ-  
ფლილმა ბიჭმა.

– ფანჯარას მოსცილდით, სირცხვილია! – თქვა მასწავლე-  
ბელმა.

„აი, ეს მესმის“, – კმაყოფილებით გაიფიქრა პაატამ, მცირე  
ხანს შეიცადა, მერე თავი ფრთხილად ამოყო, ტორტის ნაჭერი  
აიღო, ისევ მაგიდის ქვეშ შეძვრა და წამცხვარს მაღიანად შე-  
ექცა.

– ბავშვებო, წავიდეთ! – თქვა მასწავლებელმა.

მაღალმა და აწონილმა გოგომ კვლავ ფანჯარასთან მიი-  
ბინა და ოთახში შეიჭყიტა.

– მასწავლებელო, მასწავლებელო! – გაისმა გოგონას აღტა-  
ცებული ძახილი, – მაგიდაზე ტორტის ნაჭერი აღარ დევს, პაა-  
ტას შეუჭმია!


კლასელები ფანჯარას მისცვივდნენ და გულიანად ახარხ-  
არდნენ.

– რა ტორტის ნაჭერი?! – გაიკვირვა მასწავლებელმა.

– ტორტის დიდი ნაჭერი, წელან მაგიდაზე იდო, ლელამ  
დაგვანახა. ახლა აღარ დევს, პაატას შეუჭამია! – მხიარულად  
თქვა მონრიპულმა გოგომ.

მასწავლებელი წამით ჩაფიქრდა, თავი უკმაყოფილოდ გაი-  
ქნია და გაიღიმა.

მაგიდის ქვეშ გასუსულ ბიჭს თვალზე ცრემლი მოადგა და  
დარჩენილ ტორტის ნაჭერს სინანულით დააცქერდა.



## გლადიატორები

დღეს ისევ უნდა ვიჩხუბო. რატომ? იმიტომ, რომ კლასში ჩემსავით ზორბა ტანის ბიჭი გადმოვიდა, რომელიც უთუოდ უნდა გავლახო, დავაჩოქო და საკუთარი უძლეველობა კიდევ ერთხელ დავამტკიცო. რამდენიმე საათში სკოლის უკან მაგარი ბათქი ატყდება. ჩხუბი არ მიყვარს, არც სხვათა მიბეგვა და დაჩაგვრა მსიამოვნებს, მაგრამ წამქეზებელთა გამოისობით იძულებული ვარ, მუშტები მარჯვედ ვატრიალო.

ჩემი მოწინააღმდეგე ჯანიანი ბიჭი ჩანს და მხოლოდ ის ვიცი, რომ გოჩა ჰქვია. წესად იქცა, თუკი ახმახი ბიჭი შემოგვემატა, აუცილებლად უნდა მაჩხუბონ. დიახ, მაჩხუბონ. ის ბიჭები, ასეთ მუშტი-კრივეებს რომ აკვარახჭინებენ, ახლაც უმალ დაფაცურდნენ. გოჩას თავს დასტრიალებენ, რალაცას უმტკიცებენ, აღიზიანებენ. ხან ჩემთან მოდიან, მამხნევებენ, რომ სკოლა არ შევარცხვინო. თურმე, ამ ჩხუბით უფროსკლასელი ბიჭებიც დაინტერესებულან და უნდათ, გოჩას ღრანჭი გვერდზე

მოვუქციო. ახლა, მათთვის მთავარია, ერთმანეთი რაც შეიძლება მეტად შეგვაჯავრონ, რადგან ჩხუბი დაუნდობელი იყოს. ოხ, როგორ მეზიზღებიან ეს ნაძირალა და ბინძური სანახაობის მოყვარული ბიჭები. თავად არაფერს წარმოადგენენ, სუსტები და მხდალები არიან, სამაგიეროდ მსგავსი ორთაბრძოლების გაჩალიჩებით უფროსკლასელთა მონონებას, მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას იმსახურებენ. ბრაზი მომდიოდა, რომ მათ ნებას ვემორჩილებოდი. რამდენჯერმე დავაპირე, ჩხუბზე უარი მეთქვა და სასეიროდ შეყრილი, აღტყინებული ბრბო გამეწბილებინა, მაგრამ უკანასკნელ წამს, საიდანაც მოთრეული თავმოყვარეობა მძლევდა და მათ გასართობად მაინც ვჩხუბობდი. მერე კი, კმაყოფილ ბრბოს მზერას რომ მოვაველებდი, ბოლმა მახრჩობდა, რომ საკუთარ თავს ვერ ვაჯობე, კიდევ ერთი ბიჭი მაცემინეს და ტაკიმასხრად მაქციეს.

გაზაფხულის ნათელი დილაა. რაღაც მოუსვენრად ვარ. არა, ცემა-ტყევის არ მეშინია, ეს გაღიზიანება უფროა, რადგან როგორც მსურს, როგორც შინაგანი ხმა მკარნახობს, ისე ვერ ვიქცევი. მუშტი-კრივზე უარის თქმის შემთხვევაში კი მათ საშინელი იარაღი გააჩნიათ – პატივმოყვარეობის შელახვა. ამდენად, გამოსავალი არ ჩანს და სწორედ ეს მიფორიაქებს სულს.

– ბექა!

გავჩერდი, მივიხედე. კოტე მორბის, ხელს მიქნევს. ეს ერთი იმათგანია, ვინც ჩხუბის ამბებს აკვარახჭინებს.

– გოჩას ზედ უნდა გადაუარო, – სულმოუთქმელად მითხრა.

არაფერი ვუპასუხე. აკაციის ხეს მოტკბო სურნელი ასდის. უცებ კოტე შედგა, ხელი მკერდზე დამადო:

– აუ, იცი, გოჩამ შენზე რა იბაზრა?

– არ მაინტერესებს, – მოკლედ მოვუჭერი და გზა განვაგრძე.

კოტე ფეხდაფეხ მომყვება, ენას არ აჩერებს:

– შეგაგინა!

ყურადღებას არ ვაქციე.

– ე, ხომ არ გეშინია?

– მიდი რა, საქმე ნახე! – გაბრაზებით ნათქვამმა დაამოშ-  
მინა.

სკოლის ალაყაფის კართან კოტეს ამფსონები ატუზულან.  
დამინახეს თუ არა, ჩემკენ წამოვიდნენ.

– მესამე გაკვეთილის მერე იჩხუბებთ, – მითხრა დათომ.

– გოჩას სკოლელი შემხვდა, დიდი არაფერი დამრტყმე-  
ლიაო, – გამამხნევა ვაჟამ.

– მაღალია, ყბაში აჭამე, – გამოცდილი მწვრთნელივით  
მირჩია ლაშამ.

– მოვიდა? – იკითხა კოტემ.

– ჰო, კლასში ავიდა, დამანდრაჟებული ჩანს, – დამცინავად  
თქვა დათომ და გამომცდელად გამომხედა.

რა სიხარულით, რა ამაზრზენად ემზადებიან ჩხუბის საყ-  
ურებლად.

შარშან, პარალელურ კლასში ახმახი ბიჭი გადმოვიდა.  
ჩემდა გასაკვირად წამქეზებელნი დუმდნენ. მალე ყველაფერი  
ცხადი გახდა.

– ტუალეტთან კახა გელოდება, – მითხრა კოტემ.

კახა სკოლაში ყველაზე გავლენიანი ბიჭი იყო. სადავო  
საკითხების გადასაწყვეტად მას მიმართავდნენ, მისი ეშინო-  
დათ და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. კახასთან დამეგობრება  
არ მიცდია, რადგან მასთან სიახლოვე სიამაყეს არ მომანიჭებ-  
და. მძულდა მის გარშემო შემოკრებილი ნაძირალების ხროვა,  
რომელნიც კლასიდან კლასში დაძრწოდნენ, თავიანთი კერ-  
პისტვის ძალადობით ხურდა ფულს აგროვებდნენ და კაცურ  
საქციელად მონათლულ სხვა ათას არაკაცობას სჩადიოდნენ.

ახალგადმოსული კახას ნათესავი გამოდგა.

– ხვალ იჩხუბებთ, – კახამ ტუჩები მოღრიცა და თვალები  
მონკურა.

– ვიჩხუბებ, – რაც შეიძლება მშვიდად ვთქვი და ტუალეტის  
კედელთან მორჩილად ჩამწკრივებულ ბიჭებს მზერა მოვავლე.

– ლადო ჩემი ნათესავია, გაიგე? – სიტყვა კიდევ უფრო  
გატყლარჭა და რატომღაც გაიღიმა.

– ვიცი.

– ხოდა, ხვალ გაილახები, გაიგე?

კედელზე აკრული ბიჭები თვალებში შესცივინებენ, გაფაციცებით უსმენენ და სიგარეტს მორიდებით ეწევიან. ყველაფერი გულისამრევად გამოიყურება. შიში არ გამკარებია, რადგან ვიგრძენი, რომ ბრბოსთან დაპირისპირების, მათი სურვილის წინააღმდეგ წასვლის კარგი საშუალება მომეცა.

– ვნახოთ!

– სიმონ, ეტყობა, ვერ გამიგე. ლადომ უნდა გაგლახოს, გაიგე? – კახამ ხელი გაიშვირა და მის თითებში უმაღ სიგარეტი აბოლდა.

ვდუმვარ.

– ლადომ უნდა გცემოს, თუ არადა უფრო მაგრად იცემები, გაიგე? – კახამ პასუხის მოლოდინში სიგარეტი მოქაჩა, ტუჩები მკაცრად მოკუმა, თავი დალუნა და წარბსქვემოდან ამომხედა.

– გავიგე.

კახამ კედელთან ატუზულებს კმაყოფილებითა და სიამაყით გადახედა, სიგარეტი ორი თითით მოისროლა და ნელში ოდნავ გაღუნული ნელი ნაბიჯით გაგვშორდა. ოხ, როგორ ვერ ვიტან ძველბიჭობის გამომხატველ ამ ხელოვნურ პოზას.

გათენებას მოუთმენლად ველოდი. დილით ადრე ავდექი, კარგად ვივარჯიშე, ტანი წყლით დავიზილე და სკოლაში გახალისებული წავედი. ლადო აუცილებლად უნდა ვცემო, თანაც ძალიან მაგრად. ასეთი ყინი არასდროს მქონია. კახასაგან განწირულს წამქეზებელნი აგდებით მეპყრობიან.

სკოლის უკან, ხეებით დაფარული პატარა ფერდობი ბიჭებით გაივსო. კახას წყალობით გამარჯვებული წინასწარ ცნობილია, მაგრამ მაინც მოუთმენლად ელიან სანახაობის დაწყებას – ჩემს გაბითურებას. აი, ისინიც გამოჩნდნენ და ფერდობი აუჩქარებლად ჩამოიარეს. კახამ ლადოს მხარზე ხელი დაჰკრა, თვალი ჩაუკრა, ჩემზე ანიშნა და რალაც გადაულაპარაკა. ლადო თავდაჯერებულად გამოიყურება. ეგრევე მეტაკა და მუშტი მომიქნია. უკან დავიხიე და დარტყმა ავიცდინე. დარიგებულია,

ჩემი „დუხზე“ აყვანა უნდა. ლადო წინ მოიწვეს და ხელებს არიფულად იქნევს. ჩხუბისა არაფერი გაეგება და მშვიდად, გამიზნულად ვმოძრაობ. უშედეგო იერიშზე გადმოსულსა და წინ წამოხრილს ფეხი აერია და წონასწორობა დაკარგა. მუხლისთავი მკერდში ამოვკარი და უკან გადაქანებულს მუშტი დავანე.

ბრბომ დაიგმინა.

ლადო მუხლზე წამოდგა, გასისხლიანებულ ცხვირზე მაჯა გაისვა და გაოგნებული თვალებით კახა მოძებნა, რომელიც სიბრაზისაგან ბოლთას სცემდა.

უცებ კოტემ მოირბინა:

– ეე, რას შვრები, აზრზე მოდი!

ხელი ვკარი და ისიც სადღაც გაშპა.

მონინალმდეგის დაჩაგვრა არასდროს მიცდია. ახლა კი შურისძიების ჟინით შეპყრობილმა ფეხზე წამომდგარს მუშტი ვაჯახე და მოწყვეტით ჩაკეცილს ფეხი ჩავაზილე. მოსეირენი გაიტრუნენ. მიუხედავად იმისა, რომ კახა სასტიკად იძიებდა შურს, თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი, რადგან მათი სურვილის წინააღმდეგ წავედი.

ჩემდა გასაკვირად, კახა ახლოც არ გამკარებია. ალბათ, სამი წლით პატარა ბიჭების საქმეში ჩარევა, თანაც, როდესაც არ ვტყუოდი, საკუთარი ავტორიტეტის შელახვად მიიჩნია ანდა მიხვდა, ნათესავი ის ბიჭი არ იყო, მომავალში მისი ადგილი დაეკავებინა და სკოლის „განაბად“ ქცეულიყო. მოკლედ, სკოლა ისე დაამთავრა, რომ ჩემთვის არაფერი დაუშავებია.

გოჩა ბოლო მერხზე ზის. აღელვება არ ემჩნევა. გოგონებს უკვირთ და ალბათ ვერც ვერასოდეს მიხვდებიან, ბუნებით წყნარსა და გულკეთილს რა მაჩხუბებს.

ფანჯარასთან, ბოლოსწინა მერხზე დავჯექი. გვერდით ლაშა მომიჯდა. უკანა მერხზე დათო და ვაჟა დასხდნენ. მოპირდაპირე კედელთან ჩამწკრივებული რიგის უკანასკნელ მერხზე გოჩას კოტე მიუცუცქდა.

მუდამ მოძრავი და ენერგიული ფიზიკის მასწავლებე-

ლი კლასში მკვირცხლად შემოვიდა. მასზე ამბობენ, ყოფილი მოკრივე თუ მოჭიდავეაო. მის გამარჯვებებზე არაფერი გვსმენია, თავადაც დუმდა. ალბათ, ცელქი ბიჭების დასაშოშმინებლად დააყრევინა ეს ხმები. კლასს მაინც ვერ იჭერს, ფუსფუსსა და ლაპარაკს ვერ სპობს. წამქეზებელნი გამალიზიანებელ სიტყვებს მესვრიან. კოტეც მაგრად მუშაობს. რამდენჯერმე გოჩას მზერა დავიჭირე. არა, მის თვალებში ზიზლი არ გამოსჭვივის. გოჩა ფიზიკის მასწავლებელს ყურადღებით უსმენს. ეგ კი არა, საკლასო ამოცანა პირველმა ამოხსნა და მასწავლებელი გააოცა.

შესვენების შემდეგ კართან მისვლამ ერთდროულად მოგვინია. მან გზა დამითმო. ასე არავინ მოქცეულა. წამქეზებელთა მიერ დამუშავებული მეტოქეების მხრიდან მუდამ აგრესიას ვგრძნობდი. რით ავხსნა გოჩას ასეთი საქციელი? ან ფიზიკურად ძალიან ძლიერია და საკუთარ თავში დარწმუნებული უბრალოდ დამცინის, რადგან ორიოდ საათში საქვეყნოდ გამანადგურებს ანდა თვალთმაქცობს და ასეთი ქცევით ჩემს მოდუნებას ცდილობს.

მესამე გაკვეთილზე ქართულის მასწავლებელმა დაძაბული ჩურჩული ვერა და ვერ დააცხრო. გასაგებიცაა, სულ მალე ბიჭებს კარგი სანახაობა ელით. ამ წუთებში არა მხოლოდ ჩვენი კლასის, არამედ მთელი სკოლის სალაპარაკო თემა ერთია, ვინ გაიმარჯვებს. დაუსრულებლად კამათობენ და სანაძლეოებსაც ჩამოდიან. გოჩას თავი კვლავ ღირსეულად უჭირავს. ვცდილობ არ ავლელდე.

ზარის ხმაზე კლასი ერთბაშად წამოიშალა.

ფერდობზე ტევა არ არის. ჩემგან გამარჯვებას ჩვეული ბრბო ყიჟინით შემეგება. გოჩამ თხელი კურტაკი აუჩქარებლად გაიხადა და ხის ტოტზე დაკიდა. ვერც ზიზლი შევამჩნიე და ვერც გაბოროტება. გადავწყვიტე, თავიდანვე აქტიურად არ ვიჩხუბო, არამედ ახლო ბრძოლაში მეტოქის ძალა მოვსინჯო. ფეხებში მოხერხებულად შევეუვარდი და ორივე ხელით დავეპაჩე. მან კუნთები დაჭიმა და ნაქცევის საშუალება არ მომცა. ახლა

წელზე წავეპოტინე, მაგრამ აქაც ხელი მომეცარა. უკან დავიხიე და წამსვე იერიშზე გადავედი. პირველივე მოქნეული მუშტი თვალთან ვაჯახე. არ დაიბნა, მეორე და მესამე დარტყმა მოხდენილად აიციდინა და საპასუხოდ ყბაში ისეთი მგლიჯა, რომ წამით თვალთ დამიბნელდა და პირში სისხლის ჟანგიანი გემო ვიგრძენი. მოსეირენი ყურისნამღებად აღრიალდნენ. სისხლი გადმოვაფურთხე და შეტევაზე გადავედი. თავი კვლავ კარგად დაიცვა. როგორღაც მოვახერხე და ხელები წელზე მოვხვიე. თუ მინას მოვწყვიტე, უთუოდ წავაქცევ. არაფერი გამომდის და ვატყობ, ძალაც მეცლება. უცებ, იყვირეს, დირექტორი მოდისო და ფერდობზე მოკალათებულნი უხალისოდ აიშალნენ. გოჩა ჩემს კურტაკს დასწვდა, გამომინოდა და მერე ტოტიდან თავისი ჩამოხსნა. სპორტულ მოედანზე გადავინაცვლეთ. ზოგი მე მამხნევებს, ზოგნი კალათბურთის ფართან მდგარ გოჩას უპარტყუნებენ ხელებს. წამქეზებელნი და სხვა ბიჭები გაცხარებით კამათობენ. ბოლმა მახრჩობს, რადგან ჩემს გარეშე უნდა გადწყვიტონ, კიდევ როდის ვიჩხუბებ და კვლავ მათ სურვილს უნდა დავმორჩილდე.

– ხვალ, გაკვეთილების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, – მამცნო კოტემ.

– მაგარი ვილაცა ჩანს, მაინც უნდა დაუჭოჭო, – დამმოდღვრა ლაშამ, მაგრამ ვატყობ, ჩემი გამარჯვების აღარ სჯერა.

არაფერი მითქვამს, ალაცაფის კარიდან გამოვედი და იქაურობას სწრაფად გავშორდი.

კარგად მესმოდა, რომ გამარჯვება ძალიან ძნელი იქნებოდა და პირველად შევიგრძენი დამარცხების, შეურაცხყოფის სიმწარე. ახლა ცხადად წარმომიდგა ჩემდაუწებურად გალახულთა, დამცირებულთა სულიერი მდგომარეობა და კიდევ უფრო შემძულდა მოსეირეთა ბრბო.

ლამით ცუდად მეძინა. ბუნდოვანი აზრები მანუხებდა, რალაც მოჩვენებები მესხმოდნენ, დამცინოდნენ, კისერზე თოკს მახამდნენ და აქეთ-იქით დამათრევდნენ. ვიკლაკნებოდი, ვიგრიხებოდი, ვცდილობოდი, თავი დამეხსნა, განვთავისუფლე-



ბულიყავი, მაგრამ ვეებერთელა მოჩვენებები თითის ქნევით მემუქრობდნენ და შეურაცხყოფისა და უძლურებისგან სული მეხუთებოდა.

დაღლილს გამეღვიძა. ვცდილობ, გოჩას განცდები, მისი ნამდვილი ხასიათი ამოვიცნო. ჩხუბმა მხოლოდ იმაში დამარწმუნა, რომ იგი ფიზიკურადაც და სულიერადაც ძალიან ძლიერია. ან ის თავაზიანად გამოწვდილი კურტაკი რაღას ნიშნავს? ყბაში მოხვედრილი მუშტი კი ახლაც მტკივა. ნუთუ ისეთი ცინიკოსია, რომ ჩემს საბოლოო გადათელვას განგებ აჭიანურებს, რათა მეტი დაგემოვნებით მომიღოს ბოლო?

ფერდობზე სანახაობის მოლოდინით აღგზნებული ბრბო მოუთმენლობისგან ღელავს. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, ხელმეორედ უნდა ვიჩხუბოთ. აქეთ-იქიდან გამამხნეველ სიტყვებს მესვრიან. არადა, ამ არამზადებს ერთი სილა რომ გაულანუნო, შიშისაგან ჩაისვრიან.

– მოვიდა, ახლავე ჩამოვა და დავინყებთ! – რომაელი კეისარივით მბრძანებლურად თქვა კოტემ.

ეს უკვე მეტისმეტია.

– რას დავინყებთ? – გულუბრყვილოდ ვიკითხე.

– ჩხუბს! – დააზუსტა დათომ და იდიოტივით გაიღრიჭა.

– ჩხუუუბს! – სიტყვა გავწელე.

– ჰო, აბა რას? – ვაჟამ მხრები აიჩეჩა.

– ვინ უნდა იჩხუბოს, მე თუ თქვენ?

დაიბნენ.

– შენ, აბა ვინ?! – დროზე გამოერკვა კოტე.

– მე უნდა ვიჩხუბო, არა?

– ე, ხო არ გეშინია? – დამცინავად თქვა ლაშამ.

– მე მეშინია? – ავფსიხდი.

– გეშინია! – ერთდროულად თქვეს.

წლობით ნაგროვებმა ბოღმამ ერთბაშად ამოხეთქა. მუშტი პირველად კოტეს ვგლიჯე, დათოს მუცელში წიხლი ამოვკარი და ორად მოკეცილს ხელი მოვუნაცვლე. ლაშა ყბაში მოხვედრილმა მუშტმა ძირს დასცა, ვაჟასაც კაი მაგარი დაფუნიავე.

ბრბო სიცილით გაიგუდა. წამქეზებელთაგან ყველაზე თავ-  
მოყვარე კოტე გამოდგა, წინააღმდეგობის განწევა სცადა და  
უშნოდ ამიხტა. ამან კიდევ უფრო გამახელა და მინაზე ზურ-  
გით დავათხლიშე. კმაყოფილი ვიყავი, რომ ეს ნაძირალები სა-  
ჯაროდ გავლახე, მაგრამ მოსეირე ბრბოსთვის რა უნდა მო-  
მეხერხებინა? აი, გოჩაც გამოჩნდა და კვლავ მათთვის უნდა  
მეჩხუბა. ძალიან გამიჭირდება, წამქეზებელთა ცემაზე დახარ-  
ჯული ენერგია გოჩასნაირ ჯანიან ბიჭთან აუნაზღაურებელი  
დანაკლისია. წელში გავიმართე და დასახვედრად მოვემზადე.  
გოჩა მომიახლოვდა, შედგა. ბრბო აღრიალდა. ვდგავართ და  
ერთმანეთს შევყურებთ.

– მაგრად მიბეგვე, – გოჩამ წელათრეულ კოტეზე მანიშნა.

– დაიმსახურეს, – გაბითურებულ წამქეზებლებზე გამელი-  
მა.

– ეგეთები მეც შემომელახნენ, – გოჩამაც გაიღიმა და ხელი  
გამომიწოდა.

მოსეირენი გაისუსნენ. ხელი ჩამოვართვი და ერთმანეთს  
გადავეხვიეთ. მერე განბილებულ, კუდამოძუებულ ბრბოს  
გავხედეთ და გამარჯვებულები გულიანად ავხარხარდით.



## საშობაო ამბავი

ზამთრის უღონო მზე ჩავიდა და ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა. პატარა ქალაქის დათოვლილ ქუჩაზე ძველ, გაქუცულ ქურთუკში გახვეული კაცი მიაბიჯებდა და ფანტელები გახურებულ სახეზე ადნებოდა. ქრისტეშობის ღამე იდგა. სანთლის დასანთებად კაცი დანგრეულ ეკლესიისკენ ამაველ აღმართს აუყვავა. ქალაქის ცენტრში ხალხი ახალაშენებულ ტაძარში იკრიბებოდა, მაგრამ კაცს გულმა ძველი, მიტოვებული ეკლესიისკენ გაუწია. უცებ თოვა შეწყდა, ღრუბლები გადაიყარა და მთვარის შუქზე ბორცვზე წამომართული ტაძარი გამოჩნდა. კაცმა ნახევრად დანგრეული გუმბათის გარშემო მანათობელი სფეროები შენიშნა. მერე ქურთუკის ჯიბიდან სანთელი ამოიღო, ასანთის ღერი გაჰკრა, სანთელს მოუკიდა, ეკლესიის კედელზე მიამაგრა, პირჯვარი გადაიწერა და კვლავ მანათობელ სფეროებს ახედა. სფეროები ძირს დაეშვნენ და კაცის წინ სამ ფრთიან არსებად გარდაისახნენ.

– ვინ ხართ! – გაოცდა კაცი.

– ღვთის ანგელოზები, – უპასუხა ულამაზესმა მწვანეთვალემა ანგელოზმა, – ჩვენ ქრისტეშობის ღამეს დედამიწაზე ჩამოვდივართ. გადავწყვიტეთ, ვინც დანგრეულ, მიტოვებულ ეკლესიასთან სანთელს დაანთებდა, ნებისმიერი ერთი სურვილი აგვესრულებინა.

– ნებისმიერ სურვილს ამისრულებთ? – დაეჭვებით იკითხა კაცმა.

– ნებისმიერს, – ღიმილით დაეთანხმა ქერათმიანი ანგელოზი, რომელსაც მთვარის შუქზე მბზინვარე გრძელი კულულები მხრებზე შემოდგომის შეყვიითლებული ფოთლებივით ეყარა.

კაცს სიხარულისგან სახე გაუნათდა და დაუფიქრებლად წამოიძახა:

– გარდაცვლილი დედა დამიბრუნეთ!

– დედას ვერ დაგიბრუნებთ, ეგ ღვთის საქმეა, – იუარა ოქროსფერფრთიანმა ანგელოზმა, – შეგვიძლია ახალი სახლი დაგიდგათ, ზარდახშა ძვირფასეულობით აგივსოთ...

– ცოტა ხნით მაინც შემახვედრეთ დედას!

– ადრე თუ გვიან იმ ქვეყნად ყველანი წახვალთ და დედას მაშინ შეხვდები. ისეთი რამ ინატრე, შენს გაჭირვებულ ოჯახს შეგებას რომ მოუტანს, – დაარიგა მწვანეთვალემა ანგელოზმა.

– დედას შემახვედრეთ, თუნდ ერთი წუთით, პატიება უნდა ვთხოვო!

– პატიება?! – შესძახა ოქროსფერფრთიანმა ანგელოზმა.

– დედას, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს ჩემთვის უყოყმანოდ გაიღებდა, სიყვარული და სითბო დავაკელი, მის გადასარჩენად თავი არ გავწირე. პატიება თუ არ ვთხოვე, მთელი ცხოვრება დავიტანჯები.

– ნება შენია! – ერთხმად თქვეს ღვთის ანგელოზებმა.

ირგვლივ ყველაფერი სქელმა ნისლმა შთანთქა, მერე კი ნელ-ნელა იწყო გაფანტვა. კაცმა აჩქარებით მომავალ დედას მოჰკრა თვალი, მისკენ სირბილით გაეყანა და გადაეხვია.

– დედა, ძალიან მომენატრე, – კაცს აღლევებისგან გული გამალებით უცემდა.

– ვიცი, რისთვისაც მოხვედი, – ქალმა შვილს თვალებში აღერსით ჩახედა.

– მაპატიე! – კაცმა დედას აკანკალებული ხელი ჭალარა თმაზე გადაუსვა. – მაპატიე, გთხოვ.

– ცხოვრებაში არაფერი გინყენინებია. ახლაც სიმდიდრეს ჩემთან შეხვედრა ამჯობინე, შენით ყველანი ვამაყობთ, – ქალმა მარცხნივ გაიხედა. ნისლში ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვლილი მამა და უახლოესი ადამიანები ილანდებოდნენ. კაცმა მათკენ წასვლა სცადა, მაგრამ დედამ ხელით შეაჩერა. – სულ რამდენიმე წამილა დაგვრჩა!

– დედა, ყველა ტკივილი დამიამდა, შენთან დავრჩები, – კაცმა თავი დედის მკერდში ჩარგო.

– ჩვენზე ნუ იდარდებ, აქ ძალიან კარგად ვართ. შინ დაბრუნდი, ცოლ-შვილს მოუარე! როდესაც ღმერთი ინებებს, მაშინ მოხვალ ჩვენთან.

დედის მხურვალე ცრემლები კაცს ყელში სასიამოვნოდ ეღვრებოდა. იგრძნო, დედა სწრაფად ილეოდა, სუსტ მხრებზე ხელები მთელი ძალით შემოაჭდო და როდესაც აცახცახებული თითებით საკუთარ ქურთუკს ჯაებლაუჭა, მიხვდა, დედა გამქრალიყო.

ნისლი გაიფანტა და კვლავ ეკლესია და ნახევრად დანგრეული გუმბათი გამოჩნდა. კაცმა ანგელოზები ველარსად დაინახა და შინისკენ გაემართა. სახლში კი ცოლი და ოთხი შვილი ელოდა. ძნელია შობის ღამეს ოჯახში ხელცარიელი შესვლა და ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით გაიფიქრა: „იქნებ, ჯობდა ანგელოზებისთვის დამეფერებინა და ოქროს მონეტებით სავსე ქისა მენატრა“. კაცმა ძველი ქურთუკი გაიხადა თუ არა, ტანზე რალაცამ ცივად დასუსხა, თითქოს მაისურში მინის წვრილი ნამსხვრევები ჩაუყარესო. შენუხებული საწოლ ოთახში გავიდა და მაისურის გახდისთანავე სხვადასხვა ზომისა და ფერის ბრილიანტები იატაკზე მიმოიფანტა.

– დედის ცრემლები! – შეჰყვირა გაოგნებულმა კაცმა და სარკმელს გახედა, საიდანაც მწვანეთვალემა ღვთის ანგელოზი ღიმილით იმზირებოდა. კაცი სარკმლისკენ წავიდა, მაგრამ ანგელოზი ადგილს მოსწყდა და უსასრულობაში ვარსკვლავად აიჭრა. ცა კვლავ ღრუბლებმა დაფარა, ქარმაც წამოუბერა და ირგვლივ მსხვილი ფანტელები აფარფატდნენ.

კაცს ალილოს გალობა შემოესმა და მისი სახლისკენ მოძრავი ხუთი ჩირაღდანი დაინახა. მერე იატაკზე დაიხარა, ხუთი ყველაზე მსხვილი ბრილიანტი ამოარჩია და მგალობელი ბავშვების შესაგებებლად ცოლ-შვილთან ერთად აივანზე გავიდა. გალობა სულ უფრო და ურო ძლიერდებოდა და ზამთრის სუსხსა და მონყენილობას ფანტავდა.

ქრისტეშობის ღამე თენდებოდა.



## ოჯახური იდილია

1

სალამოს ბინდბუნდია. მე და ჩემი ძმა უბნელებთან ერთად ქუჩაში ფეხბურთს ვთამაშობთ. უცებ პატარა ბიჭმა მოირბინა, ხელი საპარიკმახეროსკენ გაიშვირა და სიცილით მითხრა:

– კოტემ შენი და სარდაფში ჩაიყვანა.

უმალ გავიქეცი, ქუჩის ბოლოში, გაუქმებული სარდაფის სინესტისაგან დამპალი ხის კიბე ჩავირბინე და მიხურულ კარს მივანყდი. კარი შიგნიდან ჩაეკეტათ. ბრახუნი ავტეხე, ვერაფერს გავხდი. კიბე ავირბინე: იმედი მქონდა, ჩემზე ერთი წლით უფროსი ძმის დახმარებით კარს შევანგრევდით და კოტეს მაგრად მივბეგვავდით. მომცრო საპარიკმახეროსთან ატუზული უსაქმური, გაურკვეველი პროფესიისა და ასაკის კაცები დამცინავი ღიმილით მიყურებდნენ.

– სალოლ, კოტე! ამ კვირაში უკვე მეორე გოგო მოაყუჩა! – კმაყოფილებით აღნიშნა ვილაცამ, რასაც ხარხარი მოჰყვა.

შეურაცხყოფილს ცრემლი ყელში მომებჯინა. ბადრის ხმა-  
მალლა ვეძახდი, მაგრამ იგი არ მპასუხობდა. ისევ სარდაფში  
ჩავედი. ღია კარიდან შმორის სუნი მეცა. ამოვედი. კაცები სი-  
ცილით იხოცებოდნენ. შინისაკენ გავიქეცი და ალაყაფის კარ-  
თან მშვიდად მდგარი ძმის დანახვისას წონასწორობა დავკარგე.

– სად იყავი, რატომ ხმას არ მცემდი? კოტესი შეგეშინდა?!  
– ვუყვირე.

– ბურთს გამოვედევნე, არაფერი გამიგია, – თავი დახარა.  
ჩემდაუნებურად სილა გავანანი.

– მშიშარა, მშიშარა, მშიშარა!.. – სიტყვებს ვიმეორებდი და  
ხელებს გამეტებით ვიქნევდი.

– გეყო! – ბადრიმ უკან დაიხია.

დავიხარე, თავი მუცელში ვატაკე და ნაქცევა დავუპირე.  
ფეხები გაჩაჩხა და ზურგზე მუშტები დამიშინა. ლოყით ბლან-  
ტი, თბილი სითხე შევიგრძენი. უცებ დედის კივილი ჩამესმა. იგი  
ფანჯრის რაფაზე გადმონოლილიყო და ხელებს საფეთქლებთან  
იჭერდა. ვილაცამ ძმას დამაშორა და წინ ღონივრად მიბიძგა.  
წაგზარბაცდი, წონასწორობა დავკარგე და ძირს დაცემულმა  
უკან მიხედვა მოვახერხე. მეზობლის კაცმა ხელი შარვალზე  
შეიწმინდა და შეიგინა. ბადრი ონკანთან მიიყვანეს, სახეზე წყ-  
ალი შეასხეს. სახელოსნოს ფანჯარაში მამა დავინახე. მან თავი  
დახარა და სიგარეტს მოუკიდა. ბოლმა მახრჩობს, – რატომ არ  
ხტება მამაჩემი ფანჯრიდან და მეზობლის კაცს სამაგიეროს  
რატომ არ უხდის-მეთქი. მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი.

– შვილო! – გაფითრებულმა დედამ ფეხზე წამომამყენა და  
ონკანთან დაკუზულ ბადრისკენ გაიქცა.

ცას ავხედე. ღამურები უშნოდ დაფრინავდნენ.

ალაყაფის კარში შევედით და სახლამდე ვიწრო, ბეტონის  
ფილებით მოკირწყლული ბილიკი გავიარეთ. მე და ბადრი თავ-  
ჩაქინდრულები წინ მივდივართ, დედა უკან მოგვეყვება. ბილიკი  
ორივე მხრიდან ყვავილებითაა დამშვენებული.

სახელოსნოს კარი შეღებულია. მამა ზურგით ზის და ხატ-  
ავს: დიდ ტილოზე გამოსახულ დედამინაზე ბავშვები, მათ უკან



კი უფროსები, ალბათ, პატარების მშობლები დგანან. ბავშვებს წაგრძელებული ფორმის მრავალფერი საჰაერო ბუშტები უჭირავთ. როგორც უფროსებს, ისე ბავშვებს საჰაერო ბუშტებივით წაგრძელებული თავები აქვთ. ყველაფერი ზღაპრული და ძალიან ლამაზია. არ მესმის, მომხდარის შემდეგ როგორ შეუძლია მამას ასე მშვიდად მუშაობა! – რამდენიმე დღეში მისი ნახატების პერსონალური გამოფენა იხსნება.

– ანა! – მამამ ჩაახველა, – ტელევიზორი ჩართე. ფეხბურთი არ გამოგრჩეს, აუცილებლად დამიძახე.

გიჟურმა სურვილმა შემიპყრო, რომ სახელოსნოში შევვარდე და დახატული თუ დაუხატავი ტილოები ნაფლეთებად ვაქციო, რათა ამ საყდრულ მდუმარებაში ცხოვრებამ მთელი ძალით იკივლოს.

სასტუმრო ოთახში შევედი. ხმას არავინ ვიღებთ. დედამ ტელევიზორი ჩართო და ჭურჭლის კარადიდან ხილით და ტკბილეულით სავსე ლარნაკი გადმოდგა. ბადრი მაგიდასთან მივიდა, კამფეტები ჩაბლუჯა, დივანზე დაჯდა და ჭამას თვალდახუჭული შეუდგა. მე ფანჯარასთან დავჯექი და ქურაში გადავიხედე. ალაყაფის კარში ქეთიმ შემოირბინა. ის ჩემზე სამი წლით უფროსია, სკოლას წელს ამთავრებს.

სანამ კოტეს სამაგიეროს არ გადაუხვდი, ვერ დავმშვიდედი. კოტე ჩვენი უბნელია, ქეთის პარალელურ კლასში სწავლობს. იგი მუდამ იბლინძება, ცდილობს, ყველა აბურად აიგდოს, დაჩაგროს.

ქეთიმ ვაშლი აიღო, სავარძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მისი უდარდელობა მაგიჟებს. მერე ადგა და სამზარეულოსკენ გაემართა. დავედევნე, დერეფანში შევაჩერე და მუქარით ვუთხარი:

- კოტეს ვცემ!
- თუ შეძლებ, სცემე, – აგდებით მიპასუხა.
- მე პატარა აღარა ვარ.
- მართლა? – გულწრფელად გაიოცა.
- კოტეს მოგკლავ!

– ვერ მოკლავ, – გაიცინა და გამშორდა.  
 სასტუმრო ოთახში დავბრუნდი და ბადრის ხმამალა ვუთხარი:  
 – ბურთს დაედევნე, არა?  
 – ჰო, ბურთს დავედევნე და შენი ხმა არ გამიგია.  
 – ტყუი! ყველა დამცინოდა, ბიჭებმაც გაიგეს... კარგად  
 იცოდი, რაც ხდებოდა.  
 – არ ვიცოდი.  
 მამა შემოვიდა და ზეთის საღებავების სუნი შემოიყოლა.  
 – რა გაჩხუბებთ, სადაცაა ფეხბურთი დაინყება. – ვაშლი  
 აიღო და სავარძელში მოხერხებულად მოთავსდა.  
 დედამ ვახშამზე მიგვიპატიჟა. ბადრი იმავე წამს წამოდგა  
 და სამზარეულოსკენ გაემართა. მამა არ განძრეულა. მე საძილე  
 ოთახში გავედი.  
 ძილგამკრთალმა ღამით ძმა გავადვიძე და პირობა და-  
 ვადებინე, რომ დილით კოტეს დავხვდებოდით და ვცემდით.

## 2

სკოლისკენ მიმავალ ქუჩაზე ძველი, გაუქმებული საქვაბეა  
 და ჟანგისფერი შენობის შესასვლელთან დავდექით. პირქუში  
 იერსახისა და გაუცნობიერებელი შიშის გამო საქვაბის წინ ჩავ-  
 ლას ბევრი ერიდება და მოპირდაპირე ტროტუარზე მიმავალი  
 კლასელები გაკვირვებით გვიყურებენ. როდესაც გამვლელთა  
 რაოდენობა შემცირდა, საქვაბის მხარეს მშვიდად მომავალი  
 კოტე გამოჩნდა. მას ორად მოკეცილი ჩანთა ილღიაში ამოე-  
 ჩარა. ისე ჩაგვიარა, ზედაც არ შემოუხედავს.

– კოტე! – დავუძახე.  
 გაჩერდა, შემობრუნდა და მუქარით მკითხა:  
 – რა გინდა?!  
 – შიგნით შევიდეთ, იქ ვილაპარაკოთ!  
 – მიდი, ბიჭო, ტოლი ნახე, – აგდებით მითხრა.  
 – თუ არ გეშინია, გამომყევი, – საქვაბისკენ წავედი.  
 ძველი, დაჟანგული მიწები და ონკანები აფეთქებულ ტანკ-  
 სა თუ თვითმფრინავს მაგონებს. კოტე წინ დამიდგა.

– გუშინ სარდაფიდან გამეპარე, ახლა ვერსად წამიხვალ! – დავემუქრე.

– ნადი, შე ნაბიჭვარო! – მან მკერდზე მიბიძგა.

ხელი მთელი ძალით მოვიქნიე და მუშტი ყბაში ვგლიჯე. არ ელოდა. გაოგნებულს ერთი კიდევ მოვდე და ძლიერმა საპასუხო დარტყმამ ძირს დამცა. გაჭირვებით წამოვდექი და იქაურობა მოვათვალიერე. ბადრი არსად ჩანდა. კოტემ ჩანთა აიღო, ორად გაკეცა, იღლიაში ამოიჩარა და ღინჯად გავიდა საქვაბიდან.

შინ ნაშუადღევს დავბრუნდი.

ბადრი სავარძელში მოკალათებულიყო და ტელევიზორს უყურებდა. ქეთი დივანზე ფეხმორთხმით იჯდა და მოდების ჟურნალს ათვალიერებდა.

– გაგალამაზა? – სიცილით მკითხა ქეთიმ.

პასუხი არ გამიცია. ბადრი გატრუნული იჯდა. კედელზე დაკიდებულ სარკესთან მივედი: ცალი თვალი ჩალურჯებული მაქვს. ქეთი სამზარეულოში გავიდა. სარკეში ჩემკენ მზირალი ძმა დავინახე, შევტრიალდი და ხმამაღლა ვუთხარი:

– რად გაიპარე?

– არ გავპარულვარ, პირველ გაკვეთილზე საკონტროლო წერა გვქონდა და დაგვიანებულს მასწავლებელი აღარ შემიმკვებდა.

– დილით რატომ არ მითხარი?

– არ მახსოვდა, საქვაბესთან გამახსენდა.

ვეცი, ხელები პერანგის საყელოში ჩავავლე. ოთახში შემოსული დედა მოგვვარდა და ჩალურჯებული თვალის დანახვისას ელდა ეცა!

– მე არ მიქნია, სკოლიდან ეგრე მოვიდა, – ბადრიმ დედა ვითარებაში სწრაფად გაარკვია.

ხმაურზე შემოსულმა მამამ მხარზე ხელი მომიცაცუნა, თმა ამიჩეჩა, დაუსტვინა და ოთახიდან გავიდა. დედამ დივანზე დამსვა, ბინტი რალაც ხსნარში დაასველა, დასიებულ თვალზე დამადო და თავზე მომიალერსა, რაც ძალიან მესიამოვნა და რატომღაც ცრემლი მომადგა.

დილით სახლიდან ადრე გამოვედი. საქვების ღუმლიდან ნამწვი გამოვიღე, შუაზე გადაჭრილ რეზინის ბურთში ჩავყარე და კართან, კედელზე მიდგმულ, მორყეულ მაგიდაზე ფრთხილად დავდე. კოტეს მოუთმენლად ველოდი. ვიცოდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი და არ ვღელავდი. სკოლაში მიმავალმა მოსწავლეებმა ისე ჩაიარეს, საქვებიდან არ გამოვსულვარ. მინებჩამსხვრეული სარკმლიდან მარტოდ მომავალი კოტე გამოჩნდა. ქუჩაში გავედი. დამინახა და შედგა.

– ცოტა ხნით შემოდი, რალაც უნდა გითხრა!

– გუშინდელი არ გეყო? – აგდებით მიპასუხა და ჩემკენ წამოვიდა.

საქვებში შევედი. მაგიდიდან გადაჭრილი ბურთი ავიღე და ზურგს უკან მდგომ კოტეს ნამწვი სახეში შევაყარე. მან თვალზე ხელები აიფარა და შეიგინა. ფეხსაცმლის წვერი წვივში მოვარტყი. კოტემ დაიგმინა და წამით გაითიშა. მუშტი სახეში ვაჯახე. უკან დაიხია, ხელები გაშალა და როგორღაც წონასწორობა შეინარჩუნა. ის ბრმასავით იდგა. კოტეს შეურაცხყოფის ამბავი სხვებსაც რომ გაეგოთ, მისთვის თვალი უნდა დამეღილავენბინა. მეორე დარტყმა უფრო ძლიერი გამომივიდა: იგი უკან გადაქანდა, ღუმელს ზურგით მიასკდა და მუხლებში ჩაიკეცა. არავითარი სიბრაღული არ მიგრძვინია. შემეძლო, მეგობრები დამეხმარებინა, მაგრამ კოტე ასე უფრო დავამცირე. მერე მივუახლოვდი და თავი ავუწიე. იგი უაზრო სიტყვებს ბუტბუტებდა. მუშტი თვალში დავუმიზნე და კიდევ ერთხელ ვგლიჯე. კოტე ჩემს ფერხთით ეგდო, შეურაცხყოფილი და თავლაფდასხმული. ცრემლში აზელილი ნამწვითა და სისხლით დასვრილი თითები პერანგზე დავუსვი და საქვებიდან გამოვედი.

რალა თქმა უნდა, კოტე იმ დღეს სკოლაში არ მოსულა. კარგად მესმოდა, იგი ამ შეურაცხყოფას არ შემარჩინდა და ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი.

მამა სახელოსნოში გატაცებით მუშაობს, ბადრი გაკვეთილებს ამზადებს, ქეთი ტელეფონით ვილაცას ელაპარაკება,

დედა სამზარეულოში საქმიანობს. სასტუმრო ოთახში სავარ-  
ძელში ჩავეჯექი და მამაჩემის ნახატს შევხედე. სურათზე ოჯახის  
წევრები მაგიდას შემოვსხდომივართ, მამა ჩიბუხს აბოლებს და  
ოცნებაში წასულს თავი ოდნავ მაღლა აუნწევია. დედა ქსოვს და  
რალაცაზე ფიქრობს. მე და ქეთი ვხატავთ. ბადრი წიგნს კითხუ-  
ლობს. ხელში ყველას საჭაერო ბუშტები გვიჭირავს. ნახატის  
ჩარჩოზე მიკრულ ლითონის ფირფიტაზე ქართულ, რუსულ და  
ინგლისურ ენებზე წერია: „ოჯახური იდილია“.

#### 4

მამა კარგ გუნებაზეა. ხვალ ნახატები საგამოფენო დარბა-  
ზში უნდა გადაზიდოს. ქალაქში გაკრული აფიშები პერსონალ-  
ური გამოფენის გახსნის თარიღს იუნწყებიან.

მე და ბადრი სკოლაში ერთად მივდივართ. საპარიკმახე-  
როსთან თავშეყრილი უსაქმურები ღიმილით მიყურებენ.

– ყოჩაღ, ლევან, კოტესთვის მაგარი სინიაკი დაგისვია, –  
მაქებს ერთ-ერთი მათგანი.

არაფერი მიპასუხია. ჩემი შელახული ღირსება აღდგენილ-  
ია. – მთელი სკოლა კოტეს გალახვაზე ლაპარაკობს. ბევრს ეს  
ამბავი არ სჯერა და დალილავებულ თვალზე მაცქერდებიან.  
კოტეს კლასელი ბიჭები მტრულად მიყურებენ, მაგრამ მის გა-  
რეშე ვერაფერი გადაუნწყვეტიათ.

სკოლიდან მარტო ვბრუნდები. საცხოვრებელი სახლის  
სადარბაზოსთან ოთხი ბიჭი გამოდის და გზას მილობავენ.  
კოტეს მეგობრები ვიცანი.

– ნამოდი, პატარა საქმე გვაქვს! – ჯინსის კურტაკიანი ბიჭი  
სიტყვებს განწელვით წარმოთქვამს.

– მე თქვენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, – ვამბობ აუ-  
ღელვებლად, რადგან ასეთ შეხვედრას ველოდი.

– იქ კოტე გელოდება! – მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა  
დაბალმა, აკურატულად ჩაცმულმა ბიჭმა.

– თუ რამის თქმა უნდა, გამოვიდეს!

– მორჩი ბაზარს! – მუქარით თქვა მაღალმა, ჯიბიდან დანა  
ამოიღო და გადახსნა.

კედლისკენ დავიხიე. ძველი სახლის სარდაფის ფანჯრის დამცველი რკინის ცხაური ტროტუარიდან ამოგლეჯილი იყო. უმაღლ შიგ ჩავხტი და მინებჩამსხვრეული ფანჯრიდან სარდაფში შევვარდი. ბნელ კუთხეში კატამ თვალები დააკვესა. კარისკენ გავიქეცი. კოტეს მეგობრები სარდაფში წამინამზე შემოცვივდებიან... ბოქლომით დაკეტილი კარის ღრიჭოდან ეზოს ნაწილი მოჩანს. უკან დავიხიე, ადგილს მოვწყდი და კარს მხრით დავეჯახე. ბოქლომი გატყდა. თავი ველარ შევიმაგრე და ეზოში გავვარდი. კარის გვერდზე მჯდომი ბერიკაცი ფეხზე წამოხტა და შეშინებული თვალებით მომაჩერდა. მას ხელში კრიალოსანი ეჭირა. უაზროდ გავუცინე და ალაყაფის კარისკენ სირბილით წავიქედი.

კოტეს მეგობრები ადრე თუ გვიან ხელში ჩამიგდებენ და კარგი დღე არ დამადგება. ვირთხასავით მალულ ცხოვრებას კი ვერ შევურიგდები. მათს დასაშინებლად საჭიროა ძალა, – და ჩემს ცნობიერებაში წარმოისახა მამაჩემის რევოლვერი. იარაღის ხმარება ვიცოდი, მამაჩემმა ტყეში რამდენიმეჯერ მიზანში მასროლინა. უცებ სარდაფიდან გამოვარდნილი კოტეს მეგობრები და მათი დანახვით გაცეცხული კრიალოსნიანი ბერიკაცის სახე წარმოვიდგინე და ჩემდაუნებურად გამეცინა. ქეთი ოთახში ისე შემოვიდა, ვერ გავიგე. მისმა აღელვებულმა ხმამ შემაკრთო და ფიქრებიდან გამომიყვანა.

– მხეცი ყოფილხარ, მხეცი! – სანამ ქეთი საჭირო სიტყვებს მოძებნიდა, გაცეცხლებული თვალები მომაპყრო, – შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ!.. – კიდეც რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სლუკუნის აუვარდა და ოთახიდან გავიდა.

სახელოსნოში მამაჩემის მეგობარი მხატვრები გამოფენისთვის შერჩეულ ნახატებს ათვალიერებდნენ.

– ვა, ლევან? როგორ ხარ, ბიჭო? – შემეკითხა ერთი მათგანი.

მხრები ავიჩიჩე.

– ლევან, თვალი ვინ ჩაგილურჯა? – გაიცინა სქელმა, ყელზე ხილაბანდშებმულმა კაცმა.

– მე თუ მკითხავთ, ეს ნახატი ექსპოზიციის ცენტრში უნდა მოთავსდეს, რადგან მასში კარგად ჩანს შემოქმედის მთავარი თემა, იდეა. სწორედ ეს ნახატი უნდა იქცეს გამოფენის ერთგვარ გასაღებად, – მჭერმეტყველებდა კუბოკრულკოსტიუმისანი კაცი.

სახელოსნოდან გამოვედი. სასტუმრო ოთახში შემოსულმა ბადრიმ მზერა მომარიდა. იგი ჩემთან ლაპარაკს გაურბის. მე-ცოდება, რადგან მან ვერ შეძლო საკუთარ თავში შიშის დაძლევა და ჯერ სამარცხვინოდ მიიმალა, ხოლო საქვაბეში კოტეს შემატოვა. საკვირველია, მაგრამ ახლა მასზე ნაწყენი არა ვარ. პირიქით, მინდა მივიდე, გადავებვიო და ვანუგეშო, რადგან ვხედავ, რარიგ ნუსხს საკუთარი უმწეობის გამო. ასეც მოვიქეცი. მივედი, მხარზე ხელი მოვხვიე, მაგრამ სათქმელი დამეკარგა.

– რაც უნდა მოხდეს, არ მიგატოვებ! – გულწრფელად მითხრა ბადრიმ. ვხვდები, რა მტანჯველი ფიქრი უძლოდა ასეთ გადანწყვეტილებამდე მისვლას.

## 5

კოტე სკოლაში არ ჩანდა. გაკვეთილიდან გამოსულს მისი კლასელი მომიახლოვდა და მითხრა, რომ საქმის გასარჩევად ტუალეტში შევყოლოდი. ერთ-ერთ საკლასო ოთახთან ბადრის მოვკარი თვალი, იგი ჩემკენ წამოვიდა. თანაკლასელი ბიჭებიც მიახლოვდებოდნენ. ტუალეტის მოსაცდელში შევედი. ბრახუნის ხმა გაისმა და მიხურულ კართან სამი ბიჭი აისვეტა. კოტეს დალილავებული ადგილის დასაფარავად, მზის სათვალე ეკეთა. ზურგს უკან ორი მეგობარი ედგა. მან რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ კარს მოაწყდნენ და შემოსვლა დააპირეს.

– დროზე! – კოტეს შეძახილზე მომვარდნენ. მათ თითებზე კასტეტები უკეთიათ და ცდილობენ, სახეში არ გამარტყან. ბრახუნთან ერთად ბადრის ყვირილი ჩამესმა. ძლიერ ტკივილს ვეღარ გაეუძელი და მოცელილივით დავეცი.

– ეყო! – ამბობს კოტე.

კარი გაიღო. ბადრი შეშინებული მომვარდა. ჩემი კლასელები კოტეს მეგობრებს გადაუდგნენ, მაგრამ ასაკით პატარები

და ფიზიკურად სუსტები ადვილად ჩამოიცილეს და ტუალეტიდან გავიდნენ. ღია კარიდან იყურებიან და დამცირებულსა და გალახულს სიბრალულით დამცქერიან. წამოვინიე, წამოვდექი. სხეული მტეხს. ფეხქვეშ გათელილი სიამაყე სასწრაფო შურისძიებისკენ მიბიძგებს და რევოლვერი მახსენდება.

– ნუ გეშინია, კარგად ვარ! – ვამშვიდებ ბადრის, – გაკვეთილზე შედი! მაგათ თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს, ახლა აღარაფერს მერჩიან. სახლში წავალ.

– მეც წამოგყვები!

წინააღმდეგობა არ გამიწევია. მკერდთან გამოგლეჯილ პერანგზე სასკოლო ჩანთა ავიფარე და ეზოში გავედი. სამასწავლებლოს ფანჯრიდან დირექტორის ხმა მოგვესმა:

– სად იპარებით? ახლავე უკან დაბრუნდით!

მისი განწინმატებული ძახილისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია და ეზოდან გამოვედი.

შინ არავინაა. მამამ საგამოფენო დარბაზში ნახატები უნდა გადაზიდოს და სატვირთო მანქანის მოსაყვანადაა წასული. დედა, ეტყობა, ბაზარშია. ქეთი სკოლიდან არ დაბრუნებულა. რევოლვერი სასპორტო ჩანთაში ჩავდე. ბადრისთვის ჩემი განზრახვა არ გამიმხელია და სახლიდან გავეპარე. არ მინდა, რაიმე უსიამოვნებას გადავკიდო.

კოტეს და მის მეგობრებს საპარიკმახეროსთან გადავანყედი. ისინი ტროტუარს ხმამაღალი ლაპარაკით მოუყვებოდნენ. ჩემს დანახვაზე შედგნენ და გაკვირვებით მომაჩერდნენ.

– ვა, ცოცხალი ხარ? – სიცილით თქვა კოტემ.

– კარატეზე დადიხარ? – დამცინავად თქვა სქელმა, ტყავის ქურთუკიანმა ბიჭმა და სასპორტო ჩანთას დააცქერდა.

საპარიკმახეროსთან თავშეყრილი უსაქმურები ჩვენკენ იყურებიან.

– ქეთის ხათრით, თორემ უნდა მომეკალი. ჭკუით იყავი, სხვა დროს არაფერი შეგეშალოს, გაიგე? – გამაფრთხილა კოტემ.

რევოლვერი ამოვიღე, ჩანთა ძირს დავაგდე და იარაღი



ორივე ხელში დავიჭირე. ღიმილი სახეზე შეეყინათ. – იქვე მდგარ საგზაო ნიშანს ვესროლე: მინა ჩაიმსხვრა, საპარიკმახეროსთან კაცები დაფაცურდნენ, ერთი მათგანი აკაციის ხეს ამოეფარა. შიშისაგან წამხდარი ბიჭები ერთმანეთს ეკვრიან.

– დაიჩოქეთ! – ვიყვირე და იარაღი შევმართე.

ასფალტზე მუხლებით დაეცნენ და მავედრებელი მზერა მომაპყრეს. იქნებ ტყვია მივუშვა და ყველაფერი ამით გავათავო?..

– კარგი, გვაპატიე! – დაძაბულობას ველარ გაუძლო სქელმა, ტყავის ქურთუკიანმა ბიჭმა.

– არ ისროლო, რა! – მეხვეწება მეორე.

სახეგაფითრებული კოტე ხმას არ იღებს. რევოლვერი ჰაერში ვისროლე. ისინი გვერდზე გადაქანდნენ და თავები ჩაჰკიდეს. უცებ მოშორებით მდგარი ქეთი დავინახე. იგი რამდენიმე ნაბიჯით მომიახლოვდა. ვგრძნობ, მის თვალებში ჩაბუდებული სიძულვილი მე მეკუთვნის. – „შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ“, – გამახსენდა ქეთის ნათქვამი. ცხადია, ჩემს დას კოტე უყვარს. მე რომ ახლა კოტე კიდევ უფრო დავამცირო, მის შეურაცხყოფას ქეთი არასოდეს მაპატიებს. მოსალოდნელი სიამოვნება, ბიჭების დამცირებას რომ უნდა მოჰყოლოდა, უკვალოდ გაქრა. ერთი სურვილილა მამოძრავებს – ქეთის სათუთი გრძნობების გადარჩენა. ასეც შეიძლება, იარაღი ჯიბეში ჩავიდო და იქაურობას გავეცალო, მაგრამ მინდა ქეთის თვალში კოტე გაბედულ, უშიშარ ბიჭად გამოჩნდეს. დაჩოქილებს მივუახლოვდი და რევოლვერი კოტეს ხელთან მივუტანე, მაგრამ იგი იარაღის წართმევას ვერ ბედავს. რევოლვერი ლამის ხელზე შევახე და საპარიკმახეროსაკენ შევტრიალდი. კოტემ როგორც იქნა, გაბედა და რევოლვერიან ხელში მეცა. წინააღმდეგობა არ გამინევიდა, იარაღს თითები გავუშვი...



## ყულაბა

სათამაშოების მაღაზიის ვიტრინაში გამოკიდებულ ცისფერთვალა, ოქროსთმიან თოჯინას მონუსხული მივაჩერდი.

– ლამაზია, არა? – მამას ხელზე დავეჭიდე.

– ლამაზია.

– მიყიდე, რა.

მამამ ცხვირსახოცი შუბლზე გადაისვა. ვგრძნობ, ძალიან, ძალიან უნდა რომ მიყიდოს. დედა კი მეტყოდა, სამაგისო ფული სად არისო, ხელს ჩამავლებდა და წამიყვანდა. მამა დაიხარა და ღიმილით მითხრა:

– მოდი, თოჯინისთვის ფული შევაგროვოთ. ყულაბას გიყიდი.

პატარა ვარდისფერ ყულაბას ციცქნა ბოქლომი ადევს, რომელიც კიდევ უფრო ციცქნა გასაღებით იღება. მამამ ყულაბაში ხურდა ფული ჩააგდო, გააჩხაკუნა და გასაღები გამომიწოდა:

– აივსება და თოჯინა ვიყიდოთ.

– მალე აივსება? – გასაღები გამოვართვი.

– თუ კარგად მოიქცევი, კარგად ისწავლი და დედას არ გააბრაზებ, მალე აივსება.

დედამ გასაღები არ მანდო, თავად შეინახა და ყულაბა სასტუმრო ოთახის ფანჯრის რაფაზე დადგა. ფანჯრიდან აკაციის აყვავებული ტოტი მოჩანს. ყულაბაში ფულს მამა ყრის, ხან ბიძაჩემი ჩააგდებს ხოლმე.

აკაციის ყვავილი დაჭკნა, სადაცაა ყულაბა აივსება და მამა თოჯინას მიყიდის.

სკოლიდან დაბრუნებულმა მამას ხუთიანის მიღება ვახარე. ასეთ დროს იგი ჯიბეს მოიჩხრეკს და სასტუმრო ოთახის ფანჯრისკენ მიდის.

– ყოჩაღ, – შემაქო მამამ და რატომღაც საძილე ოთახში გავიდა.

დედამ ქურთუკი გამხადა და ალერსიანად მითხრა:

– ხელები დაიბანე და ისადილე.

ასეთი კარგი საჭმელები ღიღი ხანია არა გვქონია. გემრიელად ვისადილე.

– დღეს მამას მეგობრები გვესტუმრებიან, – დედამ გულში ჩამიკრა და მაკოცა.

სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მივირბინე და ყულაბა ავიღე. ცრემლი წამსკდა. მამა კარის ჩარჩოს მიეყრდნო და თვალი ამარიდა. მერე მომიახლოვდა და გასაღები გამომიწოდა:

– შენ გქონდეს. ნუ გეშინია, მალე ავაგსებთ.

– უფრო კარგად მოვიქცევი და უფრო მალე აივსება, არა?

– ჰო, შვილო.

აკაციის ტოტზე თოვლის ფიფქები დასკუბდნენ. მალე თოჯინას ვიყიდით.

დედა ორი დღეა ავადმყოფობს. მამამ ექიმი მოიყვანა. ექიმმა წასვლისას თავზე ხელი გადამისვა:

– დედა მალე მორჩება, – ხელი ახლა ლოყაზე მომითათუნა და მამას მიმართა, – ეცადეთ ავადმყოფის ოთახში სითბო იყოს.

მამამ ექიმი გააცილა, მალევე დაბრუნდა, მომიახლოვდა,

ხელები ერთმანეთში გადახლართა, მერე ფართოდ გაშალა და სავარძელზე ჩამოჯდა. ძალიან ღელავს, რალაცის თქმა უნდა. ჯიბიდან ციციქნა გასაღები ამოვიღე და გავუწოდე.

– წამალი ვიყიდოთ... – ლულულუღებს.

მერე თბილად ჩავიცვით და ქუჩაში გავედით. აფთიაქში წამალი ვიყიდეთ. ავტობუსის გაჩერებასთან ახმახ კაცს ყვავილები ჩაუბლუჯავს.

– მამა.

– რა გინდა?

– დედას ყვავილები წავუღოთ.

მამამ ძალიან ლამაზი ყვავილები იყიდა. მაღაზიის ვიტრინასთან შევდექით. ცისფერთვალა, ოქროსთმიან თოჯინას შევეყურებთ. მერე ქუჩას უხმოდ მივუყვებით. თოვს. ძალიან ცივა. ყვავილებს ხელი დავაფარე და მამას გავუღიმე.



### ფერთა მაგიის ამაზვი

ნიკო ფიროსმანი ბეგო იაქაევის დუქნის უკანა ეზოს ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. ნიკომ ერთადერთ ფანჯარას ახედა, საიდანაც მთვარის შუქი შემოდის. მერე ლამფა აანთო, სახატავ ტილოდ გაჭიმულ შავ მუშამბასთან მივიდა და ლამფა დაბალ, სამფეხა სკამზე დადგა. მოქეიფე თავადებს ხატავდა. შორს თეთრი ცხენი ბალახობდა. უცებ მუშამბაზე ფერები ჩამოდნა, თითქოს საღებავმა დუღილი დაიწყოს და ნახატი ამოძრავდა – თავადებმა ყანწები გამოცალეს, თეთრი ცხენი კი ყალყზე შედგა და დაიჭიხვინა. საღებავები ერთმანეთში აიზილა, მუშამბის მარჯვენა კუთხისკენ ასრიალდა და რუხ მასად შეიკუმშა. მერე თითქოს იფეთქაო, ფერებად გაიფანტა და წითელპერანგა მეზადური გამოსახა. მეზადურს ქარის დაქროლვისას წითელი პერანგი უფრიალებდა. ნახატი კვლავ რუხ მასად იქცა და ახლა მუშამბის მარცხენა კუთხეში გაშეშდა, თუმცა ისევ ფერებად დაიშალა და თეთრ დუქანთან

ეტლად ჩამოდგა. იქიდან ყარაჩოხელები ჩამოვიდნენ, მეარლნეს რალაც უთხრეს და დუქნისკენ გაეშურნენ. მათ ნყალზე მიმავალი ბავშვებიანი დედაკაცი მიჰყვა. ფერები კვლავ ერთმანეთში აირია. ნიკოს გოგონამ გაუცინა და ბუმტს ხელი უშვა. ბუმტი აფრინდა, მუშამბას გასცდა, ფერებიც აიყოლა და ჭერთან დაეკიდა. მერე ფერები ერთბაშად ჩამოქანდა და ოთახში ჟირაფმა მოიღერა ყელი. ჟირაფი ისევ რუხ მასად იქცა, კედელს მისაკდა და ოთახში ორთქლმავალი შემოგრიალდა. ნიკოს მოეჩვენა, რომ ვაგონის სარკმლებიდან მომლიმარი მგზავრები ხელს უქნევდნენ. ოთახი ორთქლმავლის კვამლით აივსო და ძველმარკინიგზელმა ლიანდაგის განძელების მძაფრი სუნი შეიგრძნო. რუხი მასა ახლა კარს მიანყდა და ვეება დათვად გადაქცეული საზარლად აღრიალდა. მხატვარი კედელს აეკრა. უკანა თათებზე ამართული და ტორმოღერებული დათვის თვალეში ნიკომ ქორბუდა ირემი დალანდა და წარმოსახვის ძალამ პირქუში ცხოველი იატაკზე საღებავებად დაღვენთა. მერე ფერებიდან ირემი გამოიძერწა, რომელიც ლომად იქცა, ლომი კი არწივად. არწივი მკაცრი მზერით ეძებდა ოთახიდან გასასვლელს. ნიკომ კარი გააღო. არწივმა ფრთები დაიქნია, ვარსკვლავებით მოჭედოილ ცაში აიჭრა და ირაო შეკრა. მერე ყუმბარასავით გასკდა, ფერებად გაიბნა და ცა პალიტრად, სამყარო კი უზარმაზარ სახატავ ტილოდ იქცა.

მთვარისკენ, რომელიც ნიკოს არაერთხელ დაუხატავს, საჰაერო ბურთი აფრინდა. ნიკო ოცდახუთი წლის იქნებოდა, თბილისში, პოლონელი მფრინავები – და-ძმა დრევენციკები საჰაერო ბურთით რომ აფრინდნენ და პარაშუტებით გადმოხტნენ. ნიკოს ძალიან უნდოდა საჰაერო ბურთის კალათში ჩაჯდომა და უსასრულოდ ფრენა შორეული ვარსკვლავებისკენ.

ცა ფერადი საჰაერო ბურთებით მოიფინა. ბურთებს შორის ბაგირები გაიბა. ბაგირებზე აკრობატები დასეირნობდნენ, გრძელი ჯოხებით წონასწორობას იცავდნენ და რთულ ილეთებს ასრულებდნენ. აქა-იქ მაიმუნებმაც გაირბინეს და საჰაერო ბურთებზე ჩამოეკიდნენ. ორთაჭალელი ტურფები პარაშუტე-

ბით ეშვებოდნენ. დიდი დათვის თანავარსკვლავედთან აქტრისა მარგარიტა თაიგულს ღიმილით დასჩერებოდა. იქვე, უზარმაზარ სანახელში გლეხები ყურძენს წურავდნენ. ცაზე ჩარდახიანი ურმების მწკრივი გაიჭიმა, მლოცველები გუმბათგაბრწყინებული ეკლესიისკენ მიუყვებოდნენ გზას. უცებ, თითქოს მინაზე აკვარელით ნახატს წყალი გადაავლესო ციდან საღებავები ჩამოირეცხა, ფერები ერთი წერტილისკენ აიტყორცნა და მოციმციმე ვარსკვლავად შეიკრა. მერე ვარსკვლავი ცას მოსწყდა, უკან ვერცხლისფერი კუდი გაიყოლა და ის იყო ფუნკულიორის თავზე კომეტასავით უნდა ჩამწვარიყო, რომ სააღდგომო ბატკნად გარდაისახა. ამას წითელი კვერცხების წვიმა მოჰყვა.

მაინც რა არის მხატვრობა? კეთილი ჯადოქრობა თუ ღვთისგან მონიჭებული შესაძლებლობა შექმნა საკუთარი სამყარო? იქნებ ორივე ერთად? – გაიფიქრა ნიკომ და ფუნჯმომარჯვებული ოთახში შებრუნდა.

## შინაარსი

აუცილებლად ალაპარაკდება... ზაალ ბოტკოველი.....	3
გულთან სატარებელი მიწის ამბავი.....	6
უცნაური ბიჭი .....	10
უარი.....	16
სულის შარავანდი.....	18
ტყავის ქურთუკი.....	20
საახალწლო ფოიერვერკი .....	26
ნიკას მზე .....	33
თმის სარჭი .....	38
მანქანაში.....	47
ქანაანელი ასულის ცრემლი .....	49
ასო-ბგერათა აყალმაყალის ამბავი.....	56
დურბინდი .....	60
ძნელი ყოფილა მწერლობა .....	66
ჯვარზე გაკრული მზის ამბავი.....	70
ფრთამოტეხილი ანგელოზის ამბავი.....	75
მსუნაგი .....	79
გლადიატორები .....	81
საშობაო ამბავი .....	90
ოჯახური იდილია.....	94
ყულაბა.....	105
ფერთა მაგიის ამბავი .....	108



გამომცემლობა „მერიდიანი“,

აღ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com) ტ. 239-15-22



საბარძეველს  
კულტურის, სამრეწველო  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო



შეიქმნა  
საბარძეველს  
CREATIVE GEORGIA

იხილეთ საბარძეველს კულტურის,  
სამრეწველო და ახალგაზრდობის  
სამინისტროს და „შეიქმნა“-ს  
საბარძეველს ბელაშვილი



9 789941 154160